სპორტი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 26 სექტემბერი 1998 №173 (708) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 10 ჩემპიონატი

8 ტური

25 სექტემბერი, პარასკევი

დინამო	1
ბათუმი	1

26 სექტემბერი, შაბათი

გურია
ლოკომოტივი
დილა
იბერია
სამგურალი
ვიტ ჯორჯია
მერანი
ოდიში
გორდა
კოლხეთი
სიონი
თსუ

27 სექტემბერი, კვირა

არსენალი
ტორპედო

დინამო	6	5	1	0	26:5	16
ტორპედო	6	4	2	0	18:7	14
დილა	7	4	1	2	9:6	13
ლოკომოტივი	7	3	4	0	9:4	13
იბერია	7	4	0	3	16:15	12
ბათუმი	8	3	3	2	17:10	12
კოლხეთი	6	3	1	2	12:9	10
მერანი	7	2	3	2	7:10	9
არსენალი	7	2	3	2	5:10	9
ვიტ ჯორჯია	7	2	1	4	7:8	7
გურია	7	2	1	4	8:15	7
სამგურალი	7	2	1	4	5:15	7
ოდიში	6	2	0	4	4:11	6
გორდა	6	1	3	2	5:5	6
თსუ	7	1	1	5	3:10	4
სიონი	7	1	1	5	9:20	4

გუშინ ეროვნულზე: „დინამო“ — „ბათუმი“.
დავით ჭიჭვეიშვილმა და „ბათუმმა“ ლევან ხომერიკს ერთი კი გაატანინეს, მაგრამ მისი „დინამო“ ფრეს დააჯერეს

ფიფამ სამართალი დაგვინუნა

თუმცა, ჩანს, დაგვინდო

გუშინ და გუშინწინ ფიფას აღმასკომი შეიკრიბა და იქით კორეა-იაპონიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისს გადაწვდა, აქეთ 17-წლამდელთა მსოფლიოს თასსა თუ დოპინგ-კონტროლს.

აბა, რა გასაკვირია, გუშინვე მედიისთვის გავრცელებულ რელიზში ფიფას პრეს-ოფისს „დინამო“ — „მრეტების“ დავის თაობაზე სიტყვაც რომ არ დასცდენია.

ქართული კლუბების დავა გიორგი ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებით, ცხადია, ჩვენ გვაღელვებს, თორემ სხვები აინუნშიაც არ აგდებენ.

ის კი არა, გუშინ ფიფას რომ შევეხმიანეთ, ხეირიანად ისიც ვერ გვიპასუხეს, საერთოდ განიხილეს თუ არა ეს საქმე. აღმასკომის გარდა სხვა კომიტეტთა სხდომებიც შედგა და თუკი დღის წესრიგში თქვენთვის საინტერესო საკითხი იყო, პასუხი თქვენი ფედერაციისთვის და მოდავეებისთვის უკვე გაგზავნილიც იქნებაო.

აქეთ ვეცით, ფედერაციის საერთაშორისო განყოფილებას მოვკითხეთ, რეიტინგ „დინამოს“ და, ცხადია, „მრეტებს“, მაგრამ ერთი, დადგენილი პასუხი ვერავისგან მივიღეთ. ფედერაციამ კი, სულაც, ფიფას ჩვენი აღმასკომის გადაწყვეტილება არც განუხილავსო. ყოველ შემთხვევაში, ამაზე თავად არაფერი უცნობებიათ და რომ შევეხმიანეთ, იგივე გვითხრესო.

ფარ-ხმალი იქნებ აქვე დაგვეყარა, ერთი სანდო წყაროდან მიღებული ცნობა რომ არა. ეს კია, იმის გარდა ვერა შევიტყვეთ, რომ საკითხი, სადაც ჯერ არს, იქ განუხილავთ და სფფ-ს აღმასკომის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებაც, „დინამოს“ რომ ამართლებდა, გაუუქმებიათ.

სამაგიეროდ, მსოფლიო ფეხბურთის მამების რისხვა-სანქციას, ჩანს, გადავურჩით, თორემ ამ ამბავს ფიფაში არც ჩვენ დაგვიმალავდნენ და არც სხვას.

ბადრი ძეძიგურაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

VI ტური

ჰამბურგი 1:0 ჰანზა
1:0 პანადიჩი (83)

მიუნხენი 2:0 ჰერტა
1:0 ოუაკილი (2), 2:0 ჰობში (46)

მეორე ბუნდესლიგა

VIII ტური

კარლსრუე 3:1 დიუსელდორფი
1:0 გუიე მინი (24), 1:1 ტარე (25პ), 2:1 კრიგი (52), 3:1 შვარცი (61)

ბერლინი 2:0 გიუტერსლო
1:0 კოვაჩევიჩი (75), 2:0 ისა (82)

საფრანგეთი

VII ტური

სოშო 1:0 პსჟ
1:0 დალე (83)

მონაკო 3:0 ლე ავრი
1:0 ტრეზეგე (29), 2:0 იკპება (52), 3:0 ტრეზეგე (80პ)

ლანსი 2:4 ნანტი
0:1 ლერუ (12პ), 0:2 ჟილე (31), 1:2, 2:2 ვერელი (41, 69), 2:3 სავინო (86), 2:4 მონტერუბიო (90)

ბორდო 4:0 რენი
1:0 ლასლანდი (10), 2:0 მუსამბა (29), 3:0 ჯამალი (49), 4:0 ვილტორდი (53)

სტრასბური 2:1 მონპელიე
1:0 ბერტინი (45), 2:0 კონტე (75), 2:1 ტიმოთე (77)

ლორიანი 1:1 მეცი
1:0 ბუაფია (78პ), 1:1 იესტროვიჩი (82)

ნანსი 0:0 ლიონი

შვეიცარია

XII ტური

ლოზანა 3:1 გრასჰოპერი
0:1 ყაველაშვილი (32), 1:1 პოტიგერი (56), 2:1, 3:1 რენი (77, 83)

ციურიხი 2:0 ლუცერნი
1:0 ლიმა (11), 2:0 ჩასოტი (59)

არაუ 1:4 სერვეტი
1:0 ივანოვი (24), 1:1 პიცინატი (81), 1:2 ბულმანი (84), 1:3, 1:4 ვარელა (88, 90)

ბელგია

VIII ტური

მუსკრონი 1:5 სტანდარდი
1:0 ვანდოორენი (21), 1:1 ბესენგეცი (22ს.ჯ.), 1:2 პაელდერმანი (55), 1:3 მორნარი (56), 1:4 დე კონდე (77), 1:5 რემაკლე (90)

ინგლისი

პირველი დივიზიონი

X ტური

ტრანმერი 0:0 სვინდონი

თურქეთი

VII ტური

ტრაბზონი 1:0 ფენერბაჰჩე

ავსტრია

X ტური

გრაცერი 3:1 ზალცბურგი

პორტუგალია

V ტური

სპორტინგი 3:0 ამადორა
1:0 ედმილსონი (23), 2:0 იორდანოვი (29), 3:0 ლეანდრო (83)

TBILISI LADIES OPEN

წელს 25 000 $

მომავალ კვირაში ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიაში Cartu, Tbilisi Ladies open, ჩვენებურად თბილისის ქალთა ღია პირველობა ჩატარდება.

ტრადიციულად ქცეული ეს ტურნირი წლეულს ფინანსურად მომძლავრდა — საპრიზო ფონდი 10-დან 25 ათას დოლარამდე გაიზარდა და შესაბამისად უფრო ძლიერ შემადგენლობასაც მოუყარა თავი — ორგანიზატორები რამდენიმე ჩოგბურთელს კლასიფიკაციის მეორე ასეულიდან ელიან.

ტურნირის საზეიმო გახსნა ხვალ, დღის 2 საათზე მოეწყობა, კვირასვე დაიწყება საკვალიფიკაციო მატჩები, რომლებიც სამშაბათამდე გასტანს. ნახევარფინალებსა და ფინალებს კი იქით შაბათ-კვირას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი გვაჩვენებს.

DAVIS CUP by NEC

გუშინ შვედებისა და ესპანელების ნახევარფინალურ მატჩში იონას ბიორკმანმა მოუგო ალექს კორეტხას 6:3, 7:5, 6:7 (5:7), 6:3. ტომას იოჰანსონმა დაამარცხა კარლოს მოია 7:5, 7:6 (7:4), 7:6 (8:6).

გუშინვე დაიწყო იტალია — აშშ-ის შეხვედრაც: ერთეულთა პირველ მატჩში ანდრეა გაუდენციმ სძლია ჟან-მაიკლ გემბილს 6:2, 0:6, 7:6 (7:0), 7:6 (7:4)

სტუ-შევარდენი საქმეზე კარის წინააღმდეგ

7 და 9 ოქტომბერს საქართველოს უცვლელი ჩემპიონი სტუ-შევარდენი ევროპის ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში ესპანურ „ბარსელონას“ ბარსელონაში ეთამაშება. ჩვენი ხელბურთელების მეტოქე ესპანეთის მეფის სიძე ინიაკი ურდანგარინიც იქნება. სურათზე ის და მისი მეუღლე ინფანტა კრისტინა არიან აღბეჭდილი.

იხილეთ მეცხრე გვერდი

ურისკოდ შამპანურს რა გემო აქვს

თბილისი
25 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
1500 (ტევადობა 60 000)

დინამო 1:1 გათუმი

1-0 ხომერიკი (20), **1-1** ტულუში (44პ)
დინამო: გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, დ. მუჯირი (კვარაცხელია 67), კიკნაძე, ალექსიძე (ა. სახვაძე 86), აშვეთია (გ. შენგელია 73), ცქიტიშვილი, ხომერიკი
სათადარიგონი: სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ბ. შენგელია, ლ. მელქაძე
გათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, თორლაშვილი (ვერემჩუკი 75), სიჭინავა, კანტიძე, გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია
სათადარიგონი: მალაყმაძე, ფუტკარაძე, აფხაზავა, ნადირაძე, ყულეჯიშვილი, რომანაძე
გაფრთხილება: დიდავა (22), გადელია (75), ვერემჩუკი (80)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

მამუკა კვანტალიანი

გუშინ „ეროვნულზე“ საქართველოს ორი საუკეთესო კლუბი დაუპირისპირდა ერთმანეთს. მატჩი მშვიდობიანად დასრულდა. ამ თამაშმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ჩვენი ფეხბურთის ნამდვილი სახე.

„ბათუმმა“ ჩემპიონს თასი წაართვა, მერე ესეც არ იკმარა და სუპერთასიც დაისაკუთრა. სტუმრები მასპინძლებს არც გუშინ დაეჩაგვრინნენ. „დინამომ“ ვერც ამჯერად დაძლია ბათუმური სინდრომი და ჩემპიონატში პირველი ქულებიც დაკარგა.

„ბათუმი“ თავისებური ხელწერის გუნდია. რა ხანია ესენი ერთი და იგივე სტილში ბურთაობენ, შემადგენლობაც სხვებთან შედარებით სტაბილური ჰყავთ და არც გამოცდილება აკლიათ. სხვა რა უნდა ინატრო, ნაკრების ერთ-ერთი მეკარე, რომელიც მუდამ შემართული და თავგანწირული დგას კარში, გამოცდილი და მრავლისმნახველი ლიბერო, ტექნიკური გამთამაშებელი და აგრესიული თავდასხმა.

„დინამო“ ახალგაზრდული გუნდი კია, მაგრამ რომელზე ვთქვათ, გამოცდილება აკლიაო. გვარამაძეც ნაკრების მეკარე, ტოგონიძის კოლეგა, ნაკრებისვე მცველები და ნახევარმცველი, ახალგაზრდული გუნდის თავდამსხმელები თუ ჰავბეკები. ბევრი არა, მაგრამ ამ ბიჭების ზურგზე არაერთ ორთაბრძოლას გადაუვლია.

მაშ, რა უშლიდათ ხელს, სწრაფი, გააზრებული, ფიცხელი ბრძოლა გაეჩაღებინათ. თითქოს არაფერი, მაგრამ სტადიონზე მისულმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა მაინც დუნე თამაში იხილა. თითქოს სეზონი გუშინ დაიწყო და გუნდები ოფიციალურ მატჩში კი არა, არამედ რიგით საკონტროლო შეხვედრაში ამოწმებდნენ ძალებს.

ერთი შეხედვით, ასეთ ქცევას ორივე გუნდისთვის გააჩნია გამართლება. „ბათუმი“ გასვლით შეხვედრას თამაშობდა ჩემპიონთან და თბილისიდან ქულის წაღებითაც დაკმაყოფილდა.

ჩვენს ჩემპიონატში ოდინდელი პრიზი „გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის“ ახლაც რომ არსებობდეს წლეულს მას ალბათ „დინამო“ დაიმსახურებდა. თბილისელებმა წლეულს პირველი ოთხი თამაში ისე მოიგეს თავიდან 0:1-ს რომ აგებდნენ. ზუგდიდში კი „ოდიშმა“ გატანა აგრემც ვერ მოახერხა.

გუშინ ჩემპიონს პირველი გოლის ფაქტორის დაძლევაზე სავარჯიშო მეტოქე ნამდვილად არ ჰყავდა. „დინამომაც“ არ გარისკა, თავადვე დაწინაურდა და რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, ვერ მოიგო.

„დინამოს“ ცხვირწინ „ტილბურგთან“ უეფას თასის განმეორებითი შეხვედრა ელის, სადაც სამბურთიანი სხვაობის გაქვითვასა და შემდეგ წრეში გასვლასაც აპირებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება კაცმა იფიქრო, ფეხბურთელებმა ტრავმებს და სხვა მოულოდნელობებს თავი აარიდესო, მაგრამ ასეა კი ყოველივე? თუ ასეა, ძალიანაც ცუდი. სპარინგ-მატჩს „დინამოსთვის“ არავითარი ხერი არ მოუტანია, პირიქით, შეიძლება ითქვას, თავისებური შიშიც ჩაუნერგა.

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე ნელ ფეხბურთს არ თამაშობენ, როგორც ჩვენში. არსად იმდენი საგოლე მომენტი არ მიაქვს ქარს, რამდენიც ჩვენს ჩემპიონატში.

ვერაფრით შევითვისეთ დაცვაში გამართული თამაში, წამით ყველაფერში ვაგვიანებთ და მეტოქის შესაჩერებლად მხოლოდ სარმებს ვიყენებთ.

წარმოუდგენლად ბევრი შეხება გვჭირდება ბურთთან, მის საბოლოოდ დასამორჩილებლად, ნახევარმცველი პასის მიწოდებას გადაწყვეტს და ტრიბუნაზე მყოფმა უბრალო გულშემატკივარმაც იცის მისი მისამართი.

ცოტა ხანში შემთხვევით ავტოგოლები თუ გავა, თორემ ვერც მეკარესთან პირისპირ დარჩენილებს გაგვიტანია და არც ცარიელ კარში ვარტყამთ სწორად.

გუშინ ასე იყო და როცა ამგვარად ვირჯებით, საერთოდ რისი პრეტენზია გვაქვს, გაუგებარია.

„დინამო“ თავიდანვე ცდილობდა, შეეტია, „ბათუმი“ ტრადიციულად ბურთის დიდხანს კონტროლით აპირებდა, ჩემპიონის კარს დამუქრებოდა.

იყო დარტყმები და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, შორეულიც, მაგრამ თუ ბურთი კარის ჩარჩოში ხვდებოდა, მეკარეები ეუფლებოდნენ. უმეტესობა კი არაზუსტი გამოდიოდა.

კიდევ ერთი საფიქრალი, რომელიც ამ ბოლო დროს ჩვენი მწვრთნელების ტკივილად ქცეულა. მცველები თუ თავდამსხმელები ფეხით თამაშს უარობენ და ხშირხშირად ხელებს იშველიებენ. მსაჯებიც ხან წითლებს აფრიალებენ, ხან ყვითლებს, ხანაც ჯიბისკენ ხელის წაღება „ეზარებათ“.

„ტილბურგის“ დასახვედრად ვემზადებითო, ვამბობთ და ბოლო რეპეტიციაზე სირბილს ვერიდებით. ან ივანე მახარაძის გამოყვანა რაღა იყო. თავისთავად მისი საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეს, მაგრამ იგი ხომ ჰოლანდიელებს ვერ შეეტოქება, ტილბურგში ორი გაფრთხილების გამო გაგვიძევეს.

გუჩუას ზუგდიდში აუნთეს „წითელი“, გუშინ, ბუნებრივია, არც უთამაშია. დაგვღუპავს არაკორექტული, უხეშობის ზღვარზე თამაში. მცველს ცოტა ეშმაკობაც უნდა შეგეძლოს.

ვინმეს პირადად ჩემი აზრი თუ აინტერესებს, ვიტყვი, ალექსიძეს შეუძლია სოლიდური ფეხბურთის თამაში, მოულელად იბრძვის, მაგრამ რატის ბოლო დროს ერთფეროვნება დასჩემდა, ფლანგზე გაჭრილი, მხოლოდ მარცხნივ იწევს, ერთხელ გამოუვიდა, ორჯერ, მერე რომელი ჭკუათმყოფელი მცველი გაგიშვებს, მესამეჯერ ვეღარ წახვალ.

არადა, რატი უდიდეს სამუშაოს ასრულებს, „დინამოს“ შეტევათა უმეტესობა მისი ფლანგიდან იწყება. უფრო მეტი მრავალფეროვნებაა საჭირო, მეტი არასტანდარტული ქმედებები საქმეს ერთიორად წაადგება.

ივანე მახარაძე თემურ გადელიას იოლად ვერ გასცდა



მურთაზ ხურცილავა: არადა, ცხვირწინ „ტილბურგთან“ მატჩია

მუჯირი ფორმაში ვერაა, მხოლოდ ერთხელ გაიბრწყინა ადრინდელივით, მთელი სტუმართა დაცვა აიყოლია და მარჯვნივ წასულმა ხომერიკს დიდებული ფარული პასი მიაწოდა. თამაშის შემდეგ ვფიქრობდი, როგორ მოახერხა იმ მომენტში ლევანმა გატანა. მატჩის ფინიშისკენ ორი ისეთი მომენტი გააცუდა, მოწინააღმდეგე მცველებსაც გაუკვირდათ.

ვერც აშვეთიამ ითამაშა შთამბეჭდავად. მიხო ისევ შორსაა საჯარიმოდან და, ბუნებრივია, სახიფათოც ვერ იქნება.

თუ ყველაფერს შევაჯამებთ, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ ტილბურგში და მართლა გვარამაძეს ვუთხრათ მადლობა.

რა ვთქვათ „ბათუმზე“. ტოგონიძე ადრინდელივით კარგი იყო. ნიკა ფაქტობრივად წარმართავდა თამაშს.

მალხაზ მახარაძეს წლები ალბათ აკლდება. თამაშობს კაცი და გუნდისთვის შეუცვლელი ფეხბურთელია.

სასარგებლოდ ირჯებოდნენ თორლაშვილი და კანტიძე. სანამ დაიღლებოდნენ, მოედნის შუაგულის კონტროლი არ დაუკარგავთ. თუმც მალე კი დაიღალნენ.

მუდამ მებრძოლები არიან ჭიჭვეიშვილი და მაჭუტაძე. დათოს მხოლოდ ერთ მომენტზე თუ ვუსაყვედურებთ, როცა პოზიციურად შემცდარმა, ხომერიკს კარში თავისუფლად დაარტყმევინა. პაატას კი თანაგუნდელთაგან მეტი მხარდაჭერა სჭირდება, თორემ ყველა ბურთის მიღება კარისკენ ზურგით მდგარს უწევდა.

რუსია წარმოუდგენლად სწრაფი კია, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ ისიც სწორხაზოვანი მოთამაშეა. არასტანდარტული ქმედებები მისგან მოულოდნელიც კია. თუმცა, ბათუმელთა საპასუხო გოლი, რომელიც ტულუშმა თერმეტმეტრიანიდან გაიტანა, მისი დამსახურება გახლდათ.

მამუკამ კარგად ისარგებლა დიდავას და ჯელაძის შეუთანხმებელი მოქმედებით, ჯელაძეს სისწრაფეში აჯობა და მცველმაც ფეხი გამოსდო. არადა, რუსია მაინცდამაინც სახიფათოს არას აკეთებდა. საჯარიმოში ბათუმელთაგან არავინ იყო და ზვიადიც გვერდზე რომ მიჰყოლოდა, გვარამაძის დახმარებით შეტევის განეიტრალება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

დანარჩენ სტუმრებს გამოსარჩევი და თვალში საცემი ბევრიც არაფერი უკეთებიათ.

ბოლოს მსაჯობაზე ვთქვათ. თითქოს გასაგიჟებელიც არაფერი მომხდარა და პრეტენზიაც არავის გამოუთქვამს, მაგრამ თამაშის ერთ-ერთი ეპიზოდი ყურადღებას მაინც იმსახურებს. ეს მეორე ტაიმში იყო. რუსიამ მინდვრის შუაგულიდან მიიღო პასი და გვარამაძისკენ დიდი სასწრაფით დაიძრა. თავდამსხმელს გზად მეკარე გადაეღობა. რუსიამ ბურთი გაიგდო და საჯარიმოს ხაზთან წაიქცა. გვარამაძე ჩაუხტა ფეხებში.

შილაკაძემ ჯარიმა დანიშნა. სწორედ ამიტომ შეიძლება შედავება. თუ დარღვევა იყო, ჩვენ სხვაგვარად მოგვეჩვენა, მაშინ გვარამაძეს წითელი ბარაღიც ეკუთვნოდა ბოლო იმედის ჯარიმისთვის.

ამიტომ უფრო მეტი კონცენტრიცაა საჭირო: როცა მსაჯს წამის მეათედები გეძლევა რთულ სიტუაციაში გასარკვევად, რა თქმა უნდა, ძნელია სწორი გადაწყვეტილების მყისიერად დაფიქსირება, მაგრამ სხვაგვარად არ გამოდის, მსაჯი ხარ პასუხისმგებელი ყველა შეცდომაზე, მოედნის ბატონ-პატრონად არბიტრი ითვლება და მისმა ქმედებამ არავინ უნდა აზარალოს.

არაფერი შეგეშალოთო

ერთ საყურადღებო ინფორმაციას საფეხბურთო კლუბთა მოხელეებს მივაწვდით, რომელიც ფეხბურთელებთან დადებულ კონტრაქტებს შეეხება.

ამას წინათ ფიფამ დაადგინა, თუ ფეხბურთელი კლუბიდან კლუბში აგენტის ჩაურევლად გადავიდა, ესე იგი თუ ხელშეკრულება ფიფას მიერ ლიცენზირებული აგენტის გარეშე დაიდო, მაშინ ამ უკანასკნელს სრული უფლება ეძლევა, რომ საქმეში ჩაერიოს და კონტრაქტი საერთოდ გააუქმოს, უკეთეს შემთხვევაში კი კლუბებს შორის მოლაპარაკება თავის შეხედულებისამებრ წარმართოს. მოკლედ, ფიფამ ლიცენზირებულ აგენტებს უფლებები გაუფართოვა და ყველა კონტრაქტში ჩარევის უფლება მისცა, თანაც კლუბებზეც იზრუნა. ხელშეკრულებებს ხშირად არასწორად აფორმებთ და დადგენილებაც ამიტომ მივიღეთო, დაამშვიდა ფიფამ კლუბები.

კოგა ინასარიძე

ჩეხეთში კაცი გვყოლია...

უცხოეთში რომ ბევრი ქართველი ფეხბურთელია გადახვეწილი, ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. მათი უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყნების დაბალ დივიზიონებში ასპარეზობს. რა თქმა უნდა, გამონაკლისები არიან — ჩვენებურებმა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების უმაღლესი ეშელონებიც დააჭაშნიკეს. მათ რიცხვს ცოტა ხნის წინ, გოჩა ტრაპაიძეც მიემატა. თბილისის „დინამოში“, „ბათუმში“, ბოლნისურ „სიონში“ გოჩას შთამბეჭდავი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მალე ჯემალ ჩიმაკაძის მეცადინეობით ტრაპაიძემ ჩეხეთის მეორე ლიგაში ამოყო თავი. წლევანდელი საფეხბურთო სეზონის წინ კი გოჩა ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში მონაწილე პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა. მისი ახალი კლუბი კი დიდი ვერაფერშვილი გამოდგა. „კარვინა“ წელს გადავიდა რჩეულთა შორის, ჩემპიონატის პირველ მატჩშიც გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეხვედრა ზედიზედ წააგო და აუტსაიდერთა შორისაც დამკვიდრდა. კლუბის საერთო წარუმატებლობის ფონზე ჩვენებურის თამაშს ჩეხეთში დიდი რეზონანსი გამოუწვევია. იქაური პრესა საკმაოდ კარგ შეფასებას აძლევს ტრაპაიძეს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებს. ეს ყველაფერი გოჩას მენეჯერმა, ჯემალ ჩიმაკაძემ გვიამბო. ბატონი ჯემალი მალე ჩეხეთში მიემგზავრება, რათა ტრაპაიძის შესაძლო ტრანსფერთა ვარიანტები საფუძვლიანად განიხილოს. ჩიმაკაძეს დასაფიქრებელი და გადასაწყვეტი ნამდვილად აქვს — გოჩათი ბევრი ევროპული კლუბია დაინტერესებული ისეთი ქვეყნებიდან, როგორც გერმანია, ინგლისი და თურქეთია. თუმცა ქართველი ფეხბურთელის გადაბირების ყველაზე დიდი სურვილი ჩეხეთის გიგანტებს — „სპარტას“ და „სლავიას“ გამოუმჟღავნებიათ. თითოეულ მათგანს უნდა, მეორე წრიდან ტრაპაიძე თავიანთ რიგებში იხილოს. მოკლედ, ყველა წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ გოჩამ უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს. ჩვენთან საუბარში ჯემალ ჩიმაკაძემ განაცხადა, ცდას არ დავაკლებ, რათა ძმები არველაძეების მსგავსად, ტრაპაიძემაც ბოლომდე გამოამჟღავნოს თავის შესაძლებლობები.

როგორც ჩანს, გოჩას ჩეხეთში ყოფნის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერად გამოუყენებია, ვინ იცის, მართლაც ახდეს ბატონ ჯემალის სიტყვები და ტრაპაიძემ თავისი სიტყვა ბოლომდე თქვას დიდ ფეხბურთში, მით უფრო, რომ ნიჭი და მონდომება ნამდვილად არ დაეწუნება.

პაატა კვანტალიანი

ვის სურს მონათმფლობელობა ფედერაციას თუ დინამოს?

რომან შოთაძე: ბავშვების წასვლას წინ ველარაფერი დაუდგება

ნოდარ ანდრიაძე: მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი მოხდა. ლაპარაკია ჭაბუკი ქართველი ფეხბურთელების თურქეთში გაყიდვაზე. თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა ბობოხიძემ, სირაძემ და თავბერიძემ ამ სკოლასთან შეუთანხმებლად თურქეთს მიაშურეს სათამაშოდ. ამასთან დაკავშირებით „დინამო“ — „ბათუმის“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენცია გამართეს „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ, მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ და 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორის მოადგილე ოთარ შენგელიამ.

თავიდან სიტყვა რომან შოთაძემ აიღო.

— მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა და ამას უყურადღებოდ არ დავტოვებთ. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ არანაირი პრეტენზია გაფორმებული კონტრაქტის ავ-კარგიანობაზე არა გვაქვს, მთავარია ის, რაც მოხდა. ეს ბიჭები 35-ე სკოლას ეკუთვნიან, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ ვინც სკოლასთან ხელშეკრულებას დადებს შეუძლია ნებისმიერ თამაშზე ხუთი კაცი წამოიყვანოს და გუნდში ათამაშოს. ეს თვით დებულებაში წერია და არაფერი გასაკვირი ამაში არ არის. მართალია, ფეხბურთელებს კონტრაქტი სკოლასთან გაფორმებული არ ჰქონიათ, მაგრამ ისინი სკოლის აღსაზრდელები არიან, იქ სწავლობენ და ასე ხელის ერთი მოსმით მათი წაყვანა არ შეიძლებოდა. საერთოდ ზრდასრული ფეხბურთელის ტრანსფერი მანამდე არ ხორციელდება, სანამ გარკვეული საბუთები და ფული არ იქნება წარდგენილი. ახლა კი მოხდა სულ სხვაგვარად. 22 სექტემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ნოდარ ანდრიაძის ხელმოწერით გაიგზავნა თანხმობა სამი ფეხბურთელის ტრანსფერზე, რომელთა ასაკი 16-17 წელს არ აღემატება. თვითონ კი ამბობენ, სტაჟირებაზე გავგზავნეთო, მაგრამ სტაჟირებისას არანაირი ტრანსფერი საჭირო არაა. მაგ დროს ფეხბურთელი მიდის კლუბებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

ბობოხიძე და თავბერიძე ხელფასსაც კი იღებდნენ ჩვენგან. ბოლო ერთ თვეში ეჭვები გაგვიჩნდა, რომ რაღაც ხდებოდა, კონკრეტულად კი არ ვიცოდით. ამას ვერც ვიფიქრებდით, რადგან ჩვენ არავის არ ვაიძულებთ „დინამოში“ თამაშს. თუ არ უნდოდათ, ეთქვათ, სახვეწარი არავისთან არაფერი გვაქვს.

ამის ასე დატოვება არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ბავშვების მასობრივი გადინება და მომავალ თაობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. თვითონვე ებრძვიან ვითომ მოთამაშეების სუსტ საფეხბურთო ქვეყნებში წასვლას, მაგრამ ვინ ებრძვის და ვინ არა, კარგად ჩანს. ეს ყველაფერი მიგვიყვანს ჩვენი ჩემპიონატის და ფეხბურთის დაღუპვამდე. რა ფეხბურთიც გვაქვს, ყველა ვხედავთ. ასე თუ გაგრძელდა, ესეც აღარ გვექნება. ახლა ახალგაზრდა ბიჭებისგან მაინც ვიღებთ შევსებას, მალე კი აღარც ისინი გვეყოლება. ეროვნულ ნაკრებში, თამამად შემიძლია განვაცხადო, ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელები ვეღარ მოხვდებიან.

ოთარ შენგელიამ ორი დღის წინ ეს ამბავი რომ გაიგო, ანდრიაძეს პასუხი მოსთხოვა, მან კი ყველაფერი ლევან გორხელაშვილს დააბრალა, რომელიც სატრანსფერო საქმეებს განაგებს. თავად გორხელაშვილმა გვითხრა, 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელის ტრანსფერი აღმასკომის დადგენილებით აკრძალულია, შესაძლებელია მხოლოდ სტაჟირება, თუ საქმე არ ეხება მოწინავე საფეხბურთო ქვეყანაში გადასვლას. ასეთად შვიდი ქვეყანაა მიჩნეულიო. ფედერაციამ კი ტრანსფერზე თანხმობა განაცხადა, რის შედეგადაც ფეხბურთელები თურქების საკუთრებაში გადავიდნენ. ეს ყველაფერი კი პირადად ნოდარ ანდრიაძემ გააკეთა.

ამის შემდეგ სიტყვა მურთაზ ხურცილავამ აიღო.

— მართალია, საზღვარგარეთ ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე აქ, მაგრამ ასე არ შეიძლება. მაშინ წავიდეს ყველა. ანდრიაძე ახლა ამბობს, თითქოს ეს ბავშვები გუნდიდან გავუშვი, მე ყოველ წელს რაიონებში დავდივარ და იმედისმომცემ ბიჭებს ვეძებ, როგორ შეიძლება, უარი მეთქვა ისეთ ნიჭიერ ფეხბურთელზე, როგორიც ბობოხიძეა. მათ წასვლაში დიდი როლი შეასრულეს მშობლებმაც, მათ ბავშვები დამალეს და მოგვატყუეს, თითქოს ავად იყვნენ. მე მაშინვე დავეჭვდი, მაგრამ როცა ყველაფერი გაირკვა, უკვე გვიანი იყო.

ნოდარ ანდრიაძეს დასდო ბრალი ოთარ შენგელიამაც:

— ანდრიაძე ქართული ფეხბურთის ხსნას ბავშვთა საფეხბურთო ლიგაში ეძებს, მაგრამ რა ლიგაზეა საუბარი, როცა ბავშვები აღარ გაჩერდებიან საქართველოში. გუნდები შევსებას ჩვენი სკოლის დამამთავრებელი კლასებიდან იღებენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ამასაც ვეღარ შევძლებთ. ამიტომ ეს საკითხი ყველას სატკივარია, ასე დატოვება არ შეიძლება. ფაქტობრივად ეს ბავშვები მამლუქებად იქცნენ. მშობლებს კი ჰგონიათ, შვილებს კარგს უკეთებენ.

პრესკონფერენცია რომან შოთაძემ დასრულა.

— ასი და ორასი დოლარის გულისთვის შვილის გაშვება არ შეიძლება. მით უმეტეს, თურქეთში. თურქები რისი გადამხდელებიც არიან გოჩა ჯამარაულის მაგალითზეც ნათლად გამოჩნდა. მას ხელფასი საერთოდ არ მისცეს. თურქებს ბოლომდე არველაძეების ჯამაგირიც არ გაუსტუმრებიათ და ბავშვებს მისცემენ რამეს?

ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა გავიროცა საქმე ბოლომდე არა აქვთ შესწავლილი? თანაც შოთაძე, რომელსაც პასუხისმგებელი თანამდებობა უკავია, რატომ აძლევს თავს უფლებას ამგვარი განცხადება გააკეთოს! და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

ჩვენთან მოვიდნენ ბავშვების — სირაძის, ბობოხიძის, თავბერიძის — მშობლები და დახმარება გვთხოვეს. ბობოხიძე და თავბერიძე, თუ არ ვცდები, „დინამო 2“-ში თამაშობდნენ. ისინი 35-ე სკოლიდან გადავიდნენ იქ და ირიცხებოდნენ მაისამდე. შემდეგ, როცა კლუბის მწვრთნელთა შემადგენლობა შეიცვალა, ეს ფეხბურთელები გუნდიდან გაუშვეს და 3-4 თვის განმავლობაში ბავშვები ხელფასს არ იღებდნენ. ფაქტობრივად ქუჩაში აღმოჩნდნენ.

ამის შემდეგ მოვიდნენ ჩვენთან მათი მშობლები განცხადებებით, რომელშიც დეტალურად აღწერეს ყოველივე და გვთხოვეს, სფფ-ს დახმარება აღმოეჩინა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ საკითხში ჩავერიეთ და ვნახეთ ის კონტრაქტები, რომლებიც „დინამო 2“-ს ბავშვებთან ჰქონდა გაფორმებული 1997 წელს. სამწუხაროდ, სფფ-ს იურიდიული სამსახური არ ჩარეულა ამ საქმეში და არც გადაუმოწმებია ყოველივე. აღმოჩნდა, რომ 15 წლის ბავშვებს გაუფორმეს 5-წლიანი კონტრაქტები, რაც ფიფას და უეფას რეგლამენტით აკრძალულია. ამ რეგლამენტით 18 წლამდე ფეხბურთელთან კლუბს შეუძლია მხოლოდ 3 წლამდე ხელშეკრულების გაფორმება. ასე რომ, საშინელ დარღვევასთან გვაქვს საქმე და შესაძლებელია ამ კონტრაქტების გაბათილება. ჩვენ დღეს ამ საკითხის შემსწავლელი კომისია შევქმენით და მის დასკვნებს აუცილებლად გადავცემთ პროკურატურას, რადგან საქმე გვაქვს კრიმინალთან.

გავესაუბრეთ მშობლებს, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ მათ კონტრაქტის გაფორმებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ. თანაც ბოლო თვეების განმავლობაში ბავშვებს ხელფასებიც არ აუღიათ.

ახლა ისმება კითხვა, სჯობდა ისინი ქუჩაში დარჩენილიყვნენ, თუ გაგვეგზავნა უცხოეთში, უფრო კარგ პირობებში?

მათ შორის ერთ-ერთი ბავშვის მამა, სოსო სირაძე მწვრთნელად მუშაობს 35-ე სკოლაში. გუშინ ყველა გამოვიძახეთ — სკოლის დირექტორი ბატონი ანდრო თურქია, მოადგილე ოთარ შენგელია, მშობლები, სფფ-ს იურისტი ევგენი მეტრეველი და ძალიან მაღალ დონეზე განვიხილეთ ეს საკითხი. დავარწმუნეთ მშობლები, რომ დიდი შეცდომები იყო დაშვებული.

რაც შეეხება შოთაძის განმარტებას, ანდრიაძემ ბავშვები გაგვიყიდაო, ჯერ როგორი ადამიანი უნდა იყო, რომ ასეთი რამ განაცხადო? ესე იგი მან მონათმფლობელობა დააბრუნა და რასაც თავად აკეთებენ, ყოველთვის ის ელანდებათ.

არავითარი კონტრაქტები არ გაფორმებულა. ეს არის მხოლოდ ექვსთვიანი სტაჟირება. წავიდნენ მშობლები, რომელთაც საკმაო ხარჯები გაიღეს ამისათვის, გაიგეს ყველაფერი და მოელაპარაკნენ „ერზურუმსფორის“ ხელმძღვანელობას. ბატონი სოსო თავად მწვრთნელია და გაოცებული დარჩენილა, როგორ უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს ბავშვების მომზადება იმ პროფესიულ კლუბში, კვებიდან დაწყებული ვარჯიშებით დამთავრებული.

ვიმეორებ, არავითარი კონტრაქტები. არიან მხოლოდ ექვსთვიან სტაჟიორებაზე და მათ მშობლები უწევენ კონტროლის მორიგეობით. ეს ქალაქი საქართველოს საზღვართანაც ახლოა და იქ უფრო ქართველები ჭარბობენ. მთავარი ისაა, რომ ნორჩები შესანიშნავ პირობებში იმყოფებიან.

მოლაპარაკების თანახმად, თუ მათ ეს ბავშვები მოეწონებათ, ორი თვით ადრე, ესე იგი ოთხი თვის თავზე, დაუდებენ კონტრაქტებს. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხელშეკრულების გაფორმებაში აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა მშობლებმა და 35-ე სკოლის დირექტორმა ბატონმა ანდრო თურქიამ. საკონტრაქტო თანხის 3 პროცენტს, როგორც ეს ფიფას და უეფას რეგლამენტითაა განსაზღვრული, სკოლა მიიღებს, როგორც კომპენსაციას.

ამის შემდეგ როგორ შეიძლება, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობდნენ ეს ადამიანები? როგორ შეიძლება ასეთი ურცხვი განცხადებების გაკეთება მათი მხრიდან? თვითონ იყვნენ ყოველთვის ჩვენი ბიჭების გაყიდვით დაინტერესებულნი და ასე ჰგონიათ, ყველა მაგათნაირია. ხომ გაგიგონიათ, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი მხრიდან არანაირ მსგავს ფაქტს, რასაც ეგენი მაბრალებენ, ადგილი არ ჰქონია, ეს არის ცილისწამება და ისინი ამის გამო პასუხს აგებენ...

ვანო ოჭროპირიძე

გიო აბვლედიანის

ეროვნული სვეტი

რო გაეტანა. რო არ გაეშვა

„რო გაეტანა“ ფეხბურთის მოყვარულთა ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამია. საფეხბურთო საკითხებზე კამათში ის სიტუაციის გამწვავების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გახლავთ.

„რო გაეტანა, საქმე სხვაგვარად წავიდოდაო“, მილიარდჯერ უთქვამთ გულშემატკივრებს. იგივე შეიძლება ითქვას „რო არ გაეშვას“ შესახებ. ესეც განთქმული ფრაზაა, მაგრამ, როგორც წესი, ფეხბურთის მოყვარულებს ავიწყდებათ ხოლმე, რომ სოკერი ულმობელი თამაშია და საბოლოო შედეგისთვის „რო“-ს მნიშვნელობა არა აქვს. ეგებ გულშემატკივრისთვის ეს „რო“ გადამწყვეტიც იყოს, რახან საყვარელი გუნდის დაცვისთვის სჭირდება, მაგრამ ანგარიშისთვის „რო“ ცარიელი ადგილია.

როგორც ქართული საფეხბურთო რეპორტაჟის კლასიკოსებისგან მართებულად გვსმენია: „ასე ძალზედ წმირად ხდება ფეხბურთში, ვერ გაგაქვს შენ, გააქვს მოწინააღმდეგეს“. ამიტომ „რო გაეტანა, რო არ გაეშვა“ თამაშის დრამატულობას კი აღწერს, მაგრამ წაგებულ გუნდს ვერაფერში ეხმარება.

საქართველოს ფეხბურთის მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ მარცხის გასამართლებლად „რო არ გაეშვას“ ვერავინ ამბობს, იმიტომ რომ, თუ ქართული კლუბი გამვებას დაიწყებს, ამ ტერმინის ხმარება უხერხული ხდება. რომელი ერთი არ უნდა გაეშვა? ამას ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, არამედ იმიტომ, რომ კარგახანია „რო არ გაეშვა“, ჩვენი ფეხბურთის მისამართით არ თქმულა.

ამიტომ ჩვენთვის მთავარი საყრდენია „რო გაეტანა“. ეს ძალიან დასანანია, რომ კაცმა უნდა გაიტანოს და ვერ გააქვს, ხალხს კი „რო გაეტანა“ შერჩება ხოლმე.

ცუდად მესმის, როცა ჩვენი ფეხბურთისგან ითხოვენ დიდ გამარჯვებებს და თუ რომელიმე ქართული კლუბი მოიგებს, ამას გრძელვადიან მნიშვნელობას მიანიჭებენ ხოლმე. ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა თავისი ათასი მიზეზით, გამორიცხავს დიდ შედეგებს. ასევე საკვირველია ისიც, რომ ბევრ ფეხბურთელს ჰგონია, რომ „რო გაეტანა“, მისი თამაში ნამდვილი ფეხბურთი იქნებოდა.

ნამდვილი ფეხბურთი... რას ნიშნავს ეს სიტყვები? ალბათ იმას, რასაც ნაფხულში ვუყურეთ. მაგრამ არა მხოლოდ ამას. ეს ძალიან დიდი ნამდვილი ფეხბურთია. მაგრამ არსებობს პატარა ნამდვილი ფეხბურთიც, რომლის ყურება, ქომაგობა და განცდა ერთი სიამოვნებაა. ყველა ვერ იქნება „იუვე“, „ბარსა“, „რეალი“ და „მანჩესტერი“. მაგრამ არის უამრავი პატარა და ნამდვილი, რომლებიც იშვიათად ამობენ „რო გაგვეტანას“. თუმცა, როცა ამბობენ, ყოველთვის სათქმელია, იმიტომ, რომ მათი ფეხბურთი ნამდვილი ფეხბურთია.

„რო გაეტანა“ და „რო გაეშვა“ არ უნდა იყოს მთავარი საფეხბურთო სიტყვები.

თუმცა, ამას ისევ ისა სჯობს, სტადიონზე წავიდეთ. აუცილებლად უნდა წავიდეთ სტადიონზე და სიმღერებიც დავაგუგუნოთ. ევროპულ ტურნირს შერჩენილ ერთადერთ ქართულ კლუბს, თბილისის „დინამოს“ ბრძოლა აქვს გადასახდელი. წელს „დინამომ“ თავი დადო „ატლეტიკის“ წინააღმდეგ. თბილისში რომ ლევან ხომერიკს შეკარემ აუღო, იმის გამო ალალად შეიძლებოდა თქმა, „რო გაეტანაო“, იმიტომ რომ იმ საღამოს ნაღდი თამაში იყო.

„ატლეტიკთან“ თავდადებული „დინამო“, „ვილემ II“-მ 3:0 დაამარცხა. ეს მოულოდნელი იყო გულშემატკივრებისთვის „ატლეტიკის“ შემდეგ. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „რო გაგვეტანა“ საქმეს უშველის? საქმეს გატანა უშველის და თუ იქნება კიდევ ერთი საღამო ნამდვილი ფეხბურთისა და თუ არ დაგვენანება ამ სიტყვების თქმა, ფეხბურთი სიხარულად გადაიქცევა.

სხვანაირად კი, „რო არ გაეშვა“, „რო გაეტანა“, ფეხი რო არ გადებრუნებოდა, ავტობუსი რო მოსულიყო, თვითმფრინავი რომ გვყოლოდა, კარი რომ სარაგბო დაედგათ, ფუჭი სიტყვებია.

ფუჭი სიტყვებით კი ფეხბურთი არ იქმნება და რაც მთავარია, არ იგებს.

მანჩესტერელებს მერდოქი დაავიწყდათ, ლივერპულელებს — არა

მანჩესტერი 2:0 ლივერპული

1:0 ირვინი (193), 2:0 სქოულზი (79)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბექემი, გიგზი, ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (ბათი 88), იორკი, სოლსკიერი (კოული 69)

ლივერპული: ფრიდელი, მაკატირი, ბები, მაკმანამანი, ოუენი, რედნეპი, რიდლე (ფაულერი 75), ბერგერი, ინისი, ბიორნებიუ, კარაგერი

გაფრთხილება: გიგზი, ფ. ნევილი, სტამი, სქოულზი, კარაგერი, ინსი, ბერგერი, რედნაპი

მსაჯი: ს. ლოჯი

ხუთშაბათის მატჩი ინგლისური ფეხბურთის ორ გრანდს, „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ლივერპულს" შორის პირველისთვის ერთგვარი სარეპანლიტაციო გამოდგა. როგორც გახსოვთ, პრემიერლიგის წინა ტურში ოლდტრეფორდელები დედაქალაქში „არსენალს" ესტუმრნენ და იქიდან შინ კუდამოძუებულნი დაბრუნდნენ. საყვარელი გუნდის მიერ სამი უპასუხო გოლის გაშვების შემდეგ მანჩესტერელი ფანობა „ლივერპულთან" მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდა.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა გააფთრებული შეტევებით დაიწყო, რამაც სულ მალე, მე-19 წუთზე, გამოიღო შედეგი — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთისთვის საბრძოლველად ჰაერში ჯეისონ ბაკატირი და პოლ სქოულზი ახტნენ, როდესაც ისინი მიწაზე დაეშვნენ, შეხვედრის არბიტრს სტუმართა მცველის ხელით თამაში უკვე დაფიქსირებული ჰქონდა. ამ ფაქტმა (პენალტის დანიშვნამ) ლივერპულელთა მხრიდან მატჩის შემდეგ დიდი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ეს იმ წუთას დენი ირვინს საერთოდ არ ანაღვლებდა. მან აუღელვებლად შეარხია ბრედ ფრიდელის კარის ბადე. ანგარიში გაიხსნა და სტადიონზე მისული უამრავი გიუმაუიც სიხარულით მეცხრე ცას ეწია. თუმცა, მატჩის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ სათამაშო იყო. პირველ ტაიმში სხვა რაიმე საინტერესო არ მომხდარა. რაც შეეხება მეორე ნახევარს, იგი „ლივერპულმა" გაცილებით უკეთ დაიწყო, ბურთიც დაიჭირა, დაცვასაც მეტი ყურადღებით მოეკიდა და მეტოქეს რამდენჯერმე საკმაოდ მწვავედაც შეუტია. ამ აქტიურობას შედეგად ის მოჰყვა, რომ სტუმართა გერმანელ ლეგიონერს, შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გოლის გამტან (მაშინ იგი დორტმუნდის „ბორუსიის" ღირსებას იცავდა) კარლ ჰაინც რიდლეს ასპროცენტიანი მომენტი შეექმნა, მაგრამ იმ დღეს ფორტუნა ალბათ, მაინც უფრო მანჩესტერელებისკენ იყო და რიდლემ ეს შანსი ვერ გამოიყენა.

სწორედ ამ მომენტში მოხდა გარდატეხა. შესაძლებლობების გამოუყენებლობით თავგზააბნეული სტუმრები აირიენენ, ამით უმალ ისარგებლეს „ალისფერმა ეშმაკუნებმა" და ზედიზედ რამდენჯერმე მწარედ „უკბინეს" მეტოქეს. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ ჯერ სქოულზს, შემდეგ კი შავკანიან ენდი კოულს. საბოლოოდ მოსახდენი მოხდა და შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ამ ორი ფეხბურთელის სწრაფი იერიში პირველის ზუსტი დარტყმით დასრულდა. დარჩენილ დროში გუნდებს განსაკუთრებით აღარ უაქტიურიათ და შემდგომში კრიტიკის ობიექტად ქცეული მსაჯის საფინალო სასტვენმა ტაბლოზე 2:0 დაფიქსირა. შედეგად ფერგიუსონმა და მისმა შეგირდებმა ერთბაშად ორი კუდღელი დაიჭირეს — „არსენალთან" მარცხის შემდეგ გულნატკენი ქომაგებიც მოიმადლიერეს და მეშვიდე ადგილიდან ერთბაშად ოთხი საფეხურით ზევით, მესამეზე აინაცვლეს.

REUTERS მანჩესტერიდან

ლივერპულელმა კარაგერმა მეტოქე იორკი შეაჩერა, ირვინი და სქოულზი არა

ახლა ორიოდ სიტყვა ზემოხსენებულ მსაჯობაზეც ვთქვათ. უფრო სწორად, მატჩში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს მოვუსმინოთ. პირველ რიგში „დაზარალებულთა" თავკაცის, რიო ევანსის პოზიციას გაგაცნობთ, რომელიც თავის უარყოფით ემოციებს ვერაფრით მალავდა: „ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ჩვენ („ლივერპულს") რაღაცას გვერჩიან. დღევანდელი შემთხვევა მიმდინარე სეზონში არც პირველია და, ჩვენდა სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ — არც უკანასკნელი. თითქმის ყველა შეხვედრაში არბიტრები რატომღაც მეტოქეთა სასარგებლოდ ცდებიან, რასაც შემთხვევითობას ნამდვილად ვერ დავარქმევ. დღესაც ასე მოხდა. არა, მე არ ვამბობ, რომ მაკატირს ხელში ბურთი არ მოხვდა. იგი სქოულზთან ერთად ჰაერში იმყოფებოდა და ბურთისთვის იბრძოდა, ამიტომაც ეს უნებლიე ხელით თამაში იყო. ხოლო ეს რომ თერთმეტმეტრიანი არ არის, არბიტრმა ჩემზე კარგად უნდა იცოდეს. იმასაც ვიტყვი, რომ მსაჯთა შეცდომები საერთოდ გახშირდა, რაც ინგლისური ფეხბურთის განვითარებას დიდ პრობლემებს შეუქმნის".

მასპინძელთა შოტლანდიელმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა, რომელიც აშკარად ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ის, რაც მაკატირმა საკუთარ საჯარიმოში ჩაიდინა, უფრო ხელბურთს ჰგავდა. კი, იგი ჰაერში იმყოფებოდა, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი ნამდვილად არ არის. ასე რომ, ვფიქრობ, მატჩში უსამართლო არაფერი მომხდარა და ჩვენ ღირსეულად გავიმარჯვეთ".

შეხვედრის მონაწილე ფეხბურთელთაგან აზრი მხოლოდ გარი ნევილმა გამოთქვა, ვინც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. თუმცა მას მსაჯობაზე ხმა არ ამოუღია, მან ერთობ ოპტიმისტური სიტყვა წარმოთქვა: „მეტად სამწუხაროა, რომ წინა ტურში ცუდად ვითამაშეთ და სამარცხვინოდ წავაგეთ, მაგრამ არა უშავს, ასე ხდება ხოლმე, გუნდი ხან კარგად თამაშობს, ხან ცუდად. ამის დასტურად დღევანდელი მატჩიც იკმარებს. წინ კი თითქმის მთელი სეზონი გვაქვს და ჩემპიონობის ვინმესთვის დათმობას ნაღდად არ ვაპირებთ".

დაბოლოს, მწვანე მინდორზე მომხდარი ამბებისა და მატჩისშემდგომი რეზონანსიდან სტადიონის ტრიბუნებს დაკუბრუნდეთ. საქმე ისაა, რომ საყვარელი კლუბის გაყიდვით განაწყენებულმა მანჩესტერელებმა, კერძოდ ერთმა საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა „ლივერპულთან" შეხვედრისას საპროტესტო აქციის გამართვა გადაწყვიტეს, რაც იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ შესვენებამდე 15 წუთით ადრე ანტიმერდოქული სიმღერა უნდა შეესრულებინათ. მაგრამ მატჩი ისეთი დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომ გულშემატკივრებს რუპერტ მერდოქი სულ გადაავიწყდათ და „იუნაიტედის" გამამხნევებელი სიმღერები დააგუგუნეს. ამ დროს კი იმ ადგილებიდან, სადაც სტუმართა ფანობა ისხდა, გაისმა ფოლკლორული ნაწარმოები, რომლის მისამღერი ასეთი იყო — „თქვენ თქვენი სული მიჰყიდეთ SKY-ს".

დავით კოვზირიძე

უსახური ფრე და შელახული რეპუტაცია

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა და იუგოსლავიის ნაკრების ამხანაგურ შეხვედრას, რომელიც ქალაქ სან ლუისში გაიმართა, ბრაზილიაში დიდი და ამავდროულად უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა. ფეხბურთის გულშემატკივართა და სპეციალისტთა აზრით, საზიზღარი მსაჯობის გარდა თავად გუნდიც მეტად უხეიროდ ირჯებოდა. თუმცა აქცენტი მაინც სიდრაკ მარინიოზე იყო გადატანილი, კაცზე, ვინც აღინშნულ მატჩს სჯიდა. შეხვედრის დასრულებისას ბრაზილიელმა ტელეკომენტატორმა განაცხადა, იუგოსლავიას დღეს თორმეტი ფეხბურთელით დავუპირისპირდით, სირცხვილი ჩვენო.

მაინც რა ჭაა ამისთანა მარინიო? ამ კითხვაზე მშვენივრად უპასუხა ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ჟურნალისტმა, მარიო გუედესმა: „მოედანზე ბრაზილიელთაგან საუკეთესო მსაჯი იყო. მან იუგოსლავიელების სასარგებლოდ ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, სულ ტყუილად გაუგდო მათ მოთამაშე და კარიოკამ გოლი რომ გაიტანა, ის ჯაირმაც თითიდან გამოწოვა. მოკლედ, სირცხვილს გადაგვარჩინა. მეტი რა უნდა ექნა?" — კითხულობს აღშფოთებული გუედესი.

ბრაზილიურ პრესაში ფეხბურთის კონფედერაციასაც გადასწვდნენ. მედიის წარმომადგენელთა მთავარი ბრალდებები ის იყო, რომ მატჩს საჭიროზე ნაკლები ყურადღება დაუთმეს და ნორმალური, კვალიფიციური და, რაც მთავარია, უცხოელი არბიტრი არ გამონახეს. ამ უკანასკნელზე თავად ჟურნალისტებმა გასცეს პასუხი — ეტყობა, საცოდავ კონფედერაციას ფული არ ეყო ასეთი მსაჯის ჩამოსაჰვანადო.

ახლა ისევ მარინიოს დავუბრუნდეთ. მასზე კიდევ ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა ფლავიო პრადომ თქვა, იუგოსლავიელებმა რომ ვერ მოიგეს, სწორედ მისი დამსახურებაა.

ჟურნალისტებს არც ფეხბურთელები ჩამორჩნენ. 1970 წლის დიდი გუნდის წევრები რიველინო და ჯერსონი აღშფოთებას ვერ მალავდნენ. ყველაფერში მსაჯია დამნაშავე, მან გააფუჭა თამაში. ის რომ არა, მატჩი სულ სხვანაირი გამოვიდოდა, შეიძლება წაგვეგო კიდეც, მაგრამ სამართალი ხომ მაინც იზეიმებდა და ჩვენს ნაკლსაც უკეთესად დავინახავდით. ახლა კი მხოლოდ უსახური ფრე და შელახული რეპუტაცია შეგვრჩა ხელთ" — აღნიშნა სატელევიზიო გამოსვლაში რიველინომ. მისმა თანაგუნელმა კი პროტესტი პრესის მეშვეობით გამოთქვა: „მსაჯი თითქმის ყველა შეხვედრაში ცდება მეტ-ნაკლებად, ისიც ხომ ადამიანია, მაგრამ მარინიოს საქციელს მხოლოდ არაადამიანური შეიძლება ვუწოდოთ".

ბრაზილიაში მსაჯის გარდა, ბუნებრივია, ეროვნული გუნდის თამაშზე, ფეხბურთელებზე და ახალდანიშნულ ვანდერლეი ლუქსემბურგოზეც საუბრობენ. ამ უკანასკნელზე ყველაზე ნაკლებად — პირველი მატჩია და მსაჯობა ჯერ ადრეაო. აი, ფეხბურთელებზე კი მწარეც ითქვა, ტკბილიც. გულშემატკივრები რივალდოსა და დენილსონის ცუდი თამაშით ყოფილან უკმაყოფილონი, ამავდროულად, მათ საქებარი სიტყვები არ დაიშურეს გოლის ავტორ მარსელინო კარიოკაზე და შეცვლაზე შესულ დებიუტანტ ალექსა და ჯეკსონზე. აღინიშნა ისიც, რომ ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა — არ იყვნენ ლეონარდო, ჟუნინიო, რონალდო, რობერტო კარლოსი და ბევრი სხვა, თითქმის მთელი გუნდი. მათ ლუქსემბურგომ დასვენების საშუალება მისცა. თუმცა გაირკვა, რომ ოქტომბერში კოლუმბიელებთან საბრძოლველად ახალი მწვრთნელი ნიუ იორკში უძლიერეს შემადგენლობას ჩაიყვანსო.

ნოდარ კასრაძე

ფეხბურთის ჩვენებური გეოგრაფია

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის „რაინშტადიონის" მესვეურებმა სარბიელის რეკონსტრუქცია გადაწყვიტეს. ამის მთავარი მიზეზი 2006 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომლის მასპინძლობისთვის გერმანელები და ინგლისელები იბრძვიან. დიუსელდორფელებმა კი თადარიგი ნაადრევად დაიჭირეს, რათა გერმანიის მასპინძლად არჩევის შემთხვევაში ქვეყნის საფეხბურთო კავშირს „რაინშტადიონის" კანდიდატურა წარუდგინონ. რაც შეეხება თავად გარდაქმნებს, მთლიანად უნდა გადაიხუროს ტრიბუნები, რომელიც 60000 კაცს იტევს. გადასხვაფერდება VIP-თა ლოჟაც, დაგეგმილია აგრეთვე მცირე კოსმეტიკური სამუშაოები. გერმანელთა ვარაუდით, ყველაფერი ოთხ წელიწადში უნდა დასრულდეს.

ინგლისური „ჩარლტონ ატლეტიკის" მეკარეს სამი ილიჩს შეეძლო ექვსი ქვეყნის ნაკრებიდან აერჩია რომელში უნდა თამაში. აირჩია კიდეც — მშობლების ქვეყანა, იუგოსლავია. „უკვე 26 წლის ვარ და დროა სერიოზული გადაწყვეტილება მივიღო"— თქვა ილიჩმა, რომელიც ავსტრალიაშია დაბადებული, თან მალე ბრიტანეთის პასპორტსაც მიიღებს. ბრიტანული პასპორტი კი იმას ნიშნავს, რომ მის მფლობელ ფეხბურთელს გზა ინგლისის, უელსის, შოტლანდიის და ჩრდილო ირლანდიის ნაკრებებისკენ აქვს ხსნილი.

გერმანიის პირველი ბუნდესლიგელი ბერლინის „ჰერტას" პრეზიდენტი, 48 წლის მანფრედ ცემაიტატი ერთი კვირის წინ რომ გადადგა, უკვე გაცნობეთ. მისი შემცვლელი თითქოს მეორე დღესვე გამოჩნდა. ბერნდ შიპჰორსტი „ჰერტას" ქომაგებს ევროთასების საგზურსაც კი შეეპირდა, მაგრამ ნამდვილი პრეზიდენტის ვინაობა ახლახან გაირკვა. იგი „მერსედესის" დირექტორი, 50 წლის ვალტერ მიულერია. დირექტორატში შევლენ აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტი იორგ ტომასი, მენეჯერი დიტერ ჰოენესი და ფინანსური მმართველი, ინგო შილერი.

ბოსნიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას" თავდამსხმელ სერგეი ბარბარესის ბუნდესლიგის წინა ტურში „ნიურნბერგთან" მიღებული წითელი ბარათის გამო ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცა. პირველი მატჩი ბარბარესმა უკვე გამოტოვა ოთხშაბათს თასზე „ბალკეს" წინააღმდეგ, რომელიც დორტმუნდელებმა დამატებით დროში 1:0 მოიგეს.

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ცენტრალურმა ნახევარმცველმა მეჰმეთ შოლმა ამ დღეებში კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა და ამჯერად ორი თვით ჩამოშორდა ბუნდესლიგის სათავეში მყოფ „ბაიერნს". 27 წლის ფეხბურთელის ოპერაცია მიუნხენის კლინიკაში ჩატარდა. ახლა მას რვა დღის განმავლობაში საავადმყოფოში წოლა მოუწევს, მსუბუქად ვარჯიში კი დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ შეეძლება. შოლი ბოლო წელს ტრავმებმა გატანჯა და ამის გამო ბევრიც გაუცდა. ახლა ფეხბურთელი თითქოს ფორმაში შედიოდა, მაგრამ კვლავ ბედმა უმუხთლა

ფრანგი ნიკოლა ანელკა ლონდონის „არსენალის" თავდასხმაში უდმივად დატვირთული რომ არ იყოს, გუნდის მწვრთნელს არსენ ვენგერს კიდევ ერთი ფორვარდის შეძენი აქვს განზრახული. ანელკა „მეთოფეთა" ავანგარდში ცნობილ ჰოლანდიელთან, დენის ბერხკამპთან არის შეწყვილებული, მაგრამ ვენგერი შიშობს, რომ 19 წლის ყმაწვილი მთელ სეზონს ვერ გაუძლებს. „ფრთხილად უნდა ვიყო ნიკოლა რომ არ გადაიწვას. მართალია, ლიბერიელი კრისტოფერ ვრეც ჩემს განკარგულებაშია, მაგრამ იგი უფრო იმ ყაიდის მოთამაშეა, მე მეორე თავდამსხმელს რომ ვუწოდებ, ამიტომ ერთი ფორვარდიც მჭირდება" — განაცხადა ვენგერმა.

ავსტრიულ „გრაცს" შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის მომდევნო შეხვედრაში მილანის „ინტერის" წინააღმდეგ, 17 წლის გოლკიპერის მოედანზე გაყვანა დაჭირდეს. საუბარია ალექსანდრ კანცევიჩზე, რომელიც „სან სიროზე" იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ „გრაცის" ძირითადმა მეკარემ პოლ კაზიმიუ სიდორჩუკმა ტრავმა ვერ მოიშუშა. წესით სიდორჩუკის შემცვლელი ნიგერიელი აბიოეუნ ბარუკა უნდა იყოს, მაგრამ მასაც მუხლი სტკივა, საბოლოოდ ყველაფერი ხვალ, კვირას გადაწყდება.

გერმანიის ეროვნული ნაკრები 1999 წლის 1-დან 10 თებერვლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართავს ტურნეს, რომლის დროსაც ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში ორ ამხანაგური მატჩი შედგება — პირველად, 6 თებერვალს გერმანელები მასპინძლებს შეეჯიბრებიან, 10-ში კი — არგენტინის ეროვნულ ნაკრებს. ეს ტურნე გერმანელთა ახალი თავკაცის, ერიხ რიბეკისა და მისი თანაშემწის, ული შტილიკეს მოთხოვნით დაიგეგმა.

რუმინული კლუბის, კრაიოვას „უნივერსიტატიას" მწვრთნელი ილიე ბალიჩი ერთი წლით დისკვალიფიცირებულია. მიზეზი: მან ჯერ მსაჯი ცემა, მერე კი იმ ჟურნალისტს გაარტყა, მისი ქალიშვილის ლოენასა და მისივე ფეხბურთელის სუვენ ტრიჩას ქორწილს ვიდეოკამერით რომ იღებდა.

გერმანიის ნაკრებში ჭიპმოჭრილმა ნახევარმცველმა ანდრეას მიოლერმა განაცხადა, რომ გუნდის ახალი მწვრთნელის ერიხ რიბეკის თავკაცობით მზადაა ისევ გავიდეს საერთაშორისო სარბიელზე. „მე მას ავუხსენი, რომ მწამს მისი პატიოსნების, ჩემდამი ალალი დამოკიდებულების და ამიტომაც მივუბრუნდები ნაკრებს" — განაცხადა 31 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მერე განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდს ახლოსაც არ გაეკარებოდა. მიოლერს ნაკრებში 82 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

ინგლისის ნაკრები შვედეთისას რომ ეთამაშა ევრო 2000-ის შესარჩევში, იმ დღეს 26 წლის ალბიონელი გულშემატკივარი დააპატიმრეს. ეს კაცი, კემერონ კალუნი სტოკჰოლმის პოლიციამ სტადიონ „რასუნდას" მინების ლეწვისთვის დაიჭირა. სასამართლო 1 ოქტომბერსაა დანიშნული. შეგახსენებთ, რომ შვედეთმა ინგლისს 2:1 მოუგო.

ესპანელი ნახევარმცველი რაფაელ მარტინ ვასკესი დათანხმდა გერმანიის ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კარლსრუეს" ხელმძღვანელებს გუნდიდან წასვლის თაობაზე. მარტინ ვასკესი მეორე ბუნდესლიგურ კლუბში მექსიკური „ატლეტიკო სელაიაიდან" მივიდა, თუმცა გამთამაშებლის პოზიციას ვერ მოერგო და გერმანიიდან წასვლა გადაწყვიტა. თავის დროზე 33 წლის ფეხბურთელს მადრიდის „რეალსა" და მარსელის „ოლიმპიკში" უთამაშია.

საბერძნეთი — საქართველო
14 ოქტომბერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში

750 დოლარად გთავაზობთ 4-დღიან მოგზაურობას
საბერძნეთში ფეხბურთზე დასასწრებად.
თქვენი მხარდაჭერა ჩვენების გამარჯვების საწინდარია

ფირმა „ჰებე"

თავისუფლების მოედანი 7. ტელ: 92-15-59, 99-79-35.

PARMA vs JUVENTUS

ისტორია გრძელდება

„ყოველთვის, როცა „იუვენტუსს“ ვამარცხებთ, იტალიის საფეხბურთო ელიტას ვუახლოვდებით. ჩვენ გავიმარჯვებდით ხოლმე, მეტოქე კი ხშირად გვამარცხებდა. ის, რისი მიღწევაც „პარმას“ უხაროდა, ტურინელთათვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ასეა, დიდი და ყველაზე პოპულარული კლუბი მაინც სულ სხვაა, გაცილებით საინტერესო და ძლიერი, ვიდრე ჩვენი პატარა „პარმა“ — იტალიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის, პარმას ისტორიკოსი, ქალაქის სპორტული ცხოვრების მემატიანე ჯანფრანკო ბელე თავის წიგნში — „ყველაფერი „პარმას“ შესახებ: წუთიდან წუთამდე“ — იტალიის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან დაპირისპირებას სწორედ ამგვარად აღწერას.

მართალია ბელე. ის, რაც „პარმასთვის“ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, „იუვენტუსისთვის“ თითქმის ყოველდღიური მოვლენაა. თუნდაც ეს შეხვედრა ავიღოთ — პარმაში „ბებერი ქალბატონის“ სტუმრობა გარკვეულწილად მოვლენაცაა, იტალიის ჩემპიონთათვის კი პირველობის მორიგი თამაშია. ეს მუდამ ასე იყო და ალბათ ასეც იქნება. ეტყობა, ბუნებამ ინება ასე.

კვირას ტურინის „იუვენტუსი“ მეცხრედ ესტუმრება რვა წლის წინ იტალიის საფეხბურთო ელიტაში აღზევებულ პარმას და ქალაქის ფეხბურთელთა გუნდისთვის ძლიერების დამტკიცებას შეეცდება. თავის მხრივ „პარმაც“ ძალას არ დაიშურებს „სკუდეტოს“ მფლობელთა დასამარცხებლად — გასულ სეზონში მასპინძლებმა მარჩელო ლიპის ბიჭები ვერ დაამარცხეს, ახლა კი ზედიზედ ორი ფრეს შემდეგ გამარჯვება უდავოდ სასარგებლო იქნებოდა.

— მას შემდეგ, რაც „იუვენტუსიდან“ „პარმაში“ გადავედი, უცნაური გრძნობა დამეუფლა. ჩემს განცდას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, მაგრამ როცა ძველი კლუბის წინააღმდეგ ვთამაშობ, ძალების მოზღვავებას ვგრძნობ. შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ისეთ მატჩებში, როგორიც დავუშვათ „იუვენტუსთან“ ან „მილანთან“ დაპირისპირებაა, თავი უნდა დავდო. ძალიან მიყვარს „იუვე“, პატივს ვცემ ყველა ტურინელს, მაგრამ ხომ კარგად ვიცით ყველამ, რომ სპორტმა შეცოდება არ იცის. მე „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებ, თავს დავდებ. „იუვენტუსის“ დამარცხება მაინც სულ სხვა, არნახული შეგრძნებაა — დინო ბაჯო ერთი ხანობა ასევე ექსიუვენტუსელ რობერტო ბაჯოს ძმად რომ საღდებოდა, რაც შავ-თეთრებიდან წავიდა, კიდევ უფრო პოპულარული გახდა. თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ხანდახან ასეც ხდება.

რაც იტალიის მორიგი ჩემპიონატი დაიწყო, „პარმამ“ ვერც ერთი მეტოქე ვერ დაამარცხა. მეტიც, ბურთი რაა, იმის გატანა ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, კლუბი ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მაინც ითვლება. ჯერ სერია A-ს მეორე ტურია და იმიტომ. „იუვენტუსს“ რაც შეეხება, გუნდი, როგორც ჩანს, ახლაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს — მათ პირველი ორი მატჩი მოიგეს, მაგრამ ეს შედარებით სუსტ მეტოქეებთან დაპირისპირება იყო, მეტ-ნაკლებად პირველი სერიოზული გამოცდა კი სწორედ „პარმასთანაა“.

— ბოლო წლებია, მუდამ პირველობისთვის ვიბრძვით. არა აქვს მნიშვნელობა, ეს შინაური სარბიელი იქნება, თუ ევროტურნირები. „იუვენტუსი“ დაარსების დღიდან ქვეყნის უძლიერეს გუნდად ითვლებოდა და ახლაც ასეა. კლუბს გაჩენის დღიდან გამარჯვებები დაანთლაეს. ამიტომაცაა, დროთა სვლის მიუხედავად, ჩვენ მუდამ მწვერვალზე რომ ვართ — ტურინელი კლუბის სადიდებლადა წარმოთქმული ეს სიტყვები ნახევარმცველ ანჯელო დი ლივიოს ეკუთვნის. ფეხბურთელს, რომელმაც ამ სეზონში სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა. სხვათა შორის, მანვე „პარმას“ შესახებ განაცხადა, მაგ გუნდთან დაპირისპირება ძალიან მსიამოვნებს, ბრძოლის ჟინი მივლის იმიტომ, რომ „იუვენტუსისთვის“ ბრწყინვალე 1995 წელს უეფას თასი დაგვაკარგინესო.

სიტყვამ მოიტანა და „პარმა“-„იუვენტუსის“ დაპირისპირებაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

1989 წელს იტალიის პატარა, არაფრით გამორჩეული ქალაქის საფეხბურთო კლუბის — „პარმას“ აქციების დიდი პაკეტი მძლავრმა ბიზნესმენმა, ამავდროულად რძის პროდუქტების მწარმოებელი ცნობილი კომპანიის — „პარმალატის“ პრეზიდენტმა სტეფანო ტანმიმ შეისყიდა. ის დღე იყო და ის დღე, სერია B-ში დასარჩენად მებრძოლ გუნდს უმალ დაეტყო მოძლიერება. მოვიდნენ ახალ-ახალი, ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელები, რამაც, ცხადია, „პარმას“ ქვეყნის საფეხბურთო ელიტისკენ გაუკვლია გზა.

რვა წლის წინ უსახელო და უტიტული „პარმა“ იტალიური ფეხბურთის გრანდებს შეეჭიდა. კლუბის დებიუტი სერია A-ში სწორედ „იუვენტუსის“ წინააღმდეგ შედგა — გადაიჭედა „სტადიო ენიო ტარდინი“, 30 ათასიან სტადიონზე ხუთი ათასით მეტმა ქომაგმა მოიყარა თავი. ისტორიული პაექრობის ხილვა ბევრს სურდა. იმ ხანებში „იუვენტუსი“ ძველებურად ვერ ნავარდობდა და სულაც არ იყო გამორიცხული, ლიგის დებიუტანტებს მხოლოდ სახელშერჩენილი მეტოქისთვის ძლიერი წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ სასწაული მაინც არ მოხდა — მატჩის ბოლო წუთზე, როცა ანგარიში 1:1 გახლდათ, რობერტო ბაჯომ მასპინძლებს პენალტი გაუტანა — 1:2 და სტუმრებმა იმარჯვეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სერია A-ს დებიუტანტი „პარმა“ უმოკლეს დროში ჯერ ლიდერთა რისხვად იქცა, მერე კი ძლიერთა მარაქაშიც გაერია. ერთი ხანობა ისე კარგად წავიდა საქმეები, გუნდი ზედიზედ სამი სეზონი ევროთასის ფინალებს თამაშობდა. მოკლედ, ცხოვრება პარმაში, გენიალური კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდის მშობლიურ ქალაქში, დუღდა და გადადუღდა. სხვათა შორის, 1913 წლის 16 დეკემბერს, როცა „პარმა“ დაარსდა, მას თავდაპირველად ვერდის პატივსაცემად „ვერდი კლაბი“ უწოდეს. გუნდს „პარმა“ 1970 წლის 1 იანვარს ეწოდა, ქალაქის ორი პატარა კლუბის „პარმასა“ და „პარმენსეს“ გაერთიანების შემდეგ.

რაც პარმელები იტალიის უძლიერესთა შორის ამაღლდნენ, გუნდმა ხუთი დიდი გამარჯვება მოიპოვა — 1992 წელს ქვეყნის თასი და სუპერთასი მოიგო. მომდევნო სეზონში თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა, 1994 წელს ევროპის სუპერთასი დაისაკუთრა, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი უეფას თასი არ დაუთმო არავის. ამ ხუთი აღსანიშნავი გამარჯვებიდან „პარმამ“ ორი — ქვეყნისა და უეფას თასები სწორედ „იუვენტუსთან“ პაექრობაში მოიპოვა. აი, კიდევ ერთი მიზეზი, რაც ხვალინდელ დაპირისპირებას ერთობ საინტერესოს ხდის.

— ვშიშობ, ჩვენ ვერასდროს მოვიგებთ ჩემპიონობას. შეიძლება მოვიპოვოთ ევროთასები, ქვეყნის თასი, მაგრამ გახდე იტალიის ჩემპიონი, ეს ძალიან რთული რამეა. ეს მთელი მეცნიერებაა. განა იშვიათად ყოფილა შემთხვევა, ძლიერი კლუბები „სკუდეტოს“ გარეშე რომ დარჩენილან? ასეთნი მრავლად იყვნენ, გული მიგრძნობს, რომ მათ შორის ჩვენც ვართ. „სკუდეტოს“ რომ მოუგო, ამას უნდა იმსახურებდე. მხედველობაში მარტო ძლიერი ფეხბურთელების შესყიდვა და ბევრი გოლის გატანა არ მაქვს. ცხადია, ყველაფერთან ერთად ესეც საჭიროა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია შენი წარსული. თუ არ ხარ კარგი, ძლიერი და სახელოვანი კლუბი, თუ შენ ხალხს არ უყვარხარ, თუ ვერ ამაყობ წარსულით, ისე „სკუდეტოს“ ვერც მიუახლოვდები, უფრო სწორად, თავად არ მიგიშვებს ახლოს — ეს სიტყვები იმავე ჯანფრანკო ბელეს წიგნიდანაა ციტირებული. გარკვეულწილად მემატიანის თქმულშიც არის სიმართლე — მართლაც მარტო ფული არ წყვეტს ყველაფერს. მთავარი წარსული და აწმყოა — მომავალს რომ განაპირობებს.

„პარმა“ კარგი კლუბია. მდიდარი, ჰყავს ძლიერი ფეხბურთელებიც, საკმაოდ ბევრი გულშემატკივარიც, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონობისთვის ჯერ მაინც პატარაა, სულ რაღაც რვა წლის...

— მეტოქე მართლაც ძალიან ძლიერია. მე დიდ პატივს ვცემ მარჩელო ლიპის და მის აზრებს, მაგრამ ჩემსას მაინც ვიტყვი. „იუვენტუსი“ აგერ უკვე მეხუთე წელია, მუდამ მწვერვალზეა — სეზონი არ გაივლის რამე დიდი პრიზი არ მოიგოს. მეტოქეს არც ვთარავ და არც ცუდს ვუსურვებ, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ალმართს დაღმართი მოსდევს. ასე მგონია, ამ სეზონში „იუვეს“ ძალიან, ძალიან გაუჭირდება. ძნელია, ისეთ ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორც იტალიაა, კარგა ხნის მანძილზე ერთ მაღალ დონეზე იდგე. ხანდახან პატარა ჩავარდნაც აუცილებელია — ცოტა არ იყოს, უცნაური აზრია, მაგრამ „პარმას“ მწვრთნელი ალბერტო მალესანი, როგორც ჩანს, ასე ფიქრობს.

„იუვენტუსის“ თავკაც მარჩელო ლიპის რაც შეეხება, იგი ჩუმად ყოფნას არჩევს. დიდი ბრძოლების წინ გაჭიანურებული ტაქტიკოსი დუმილს ამჯობინებს. მწვრთნელმა სათქმელი მოედანზე უნდა თქვას, გუნდის საშუალებით. პრესკონფერენციები და რაღაც ამდაგვარი მოჩვენებითია, უბრალო ფორმალობაა.

ზემოთ „პარმას“ და „იუვენტუსის“ პირველი შეხვედრა ვახსენეთ, რომელიც 1990 წლის 6 სექტემბერს შედგა, მაგრამ მანამდე იყო კიდევ ერთი თამაში, რომელიც ბევრმა ეგებ არც იცის — 1925 წლის 21 მაისს იმ ხანებში იტალიის უძლიერეს კლუბ „იუვენტუსს“ „პარმას“ ერთ-ერთი პირველი თაობის ფეხბურთელები შეხვდნენ. ვინ გაიმარჯვებდა, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არაა — „ბებერმა ქალბატონმა“ მეტოქე გაანადგურა 6:0. მას შემდეგ დიდი ხანი გამოხდა. ის თამაშიც არაოფიციალურად ჩაითვალა, მეტოქეთა დაპირისპირების ათვლა კი სწორედ 1990 წლიდან ხდება. რვა წლის მანძილზე პარმელები თექვსმეტჯერ შეეწინააღმდეგნ „იუვენტუსს“ და მხოლოდ სამჯერ იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ სამივე გამარჯვება — ტურინელთა მასპინძლებმა მშობლიურ „სტადიო ენიო ტარდინიზე“ მოიპოვეს. დანარჩენი 13 შეხვედრიდან შვიდი მეტოქეს მოიგო, ექვსჯერაც ტოლ-სწორზე გაიყარნენ.

გასულ სეზონში პარმაში მეტოქეთა მატჩი ფრედ — 2:2 დასრულდა. მასპინძლები ძალიან ცდილობდნენ სახელოვანი მეტოქის დამარცხებას, მარიო სტანიჩის და მასიმო კრიპის პირველ ტაიმში შეგდებული ორი გოლით იგებდნენ კიდეც შეხვედრას, მაგრამ შესვენების შემდეგ გაგულისებულმა სტუმრებმა მაინც თავიანთი გაიტანეს — ალესიო ტაკინარდიმ 54-ე და ფილიპო ინძაგიმ 59-წუთზე გატანილი ბურთებით „იუვეს“ ქულა არგუნეს. ძალიან ლამაზი თამაში იყო. შეხვედრა, რომლის მსგავსიც წინა სეზონში ცოტა გაიმართა. იმ თამაშს ყველაფერი წინ უსწრებდა და თან სდევდა — დაძაბულობა, ინტერესი, გულშემატკივრობა, ერთი სიტყვით, თამაში იყო საუკეთესოთაგანი.

„პარმას“ საკლუბო ჟურნალი „იუვენტუსთან“ მოახლოებული თამაშის წინ წერს: „ჩვენივე დაუდევრობის გამო ტურინელების ბოლო სტუმრობისას გამარჯვება ხელიდან გავუშვით. ახლა ასე არ უნდა მოხდეს. დროა, გუნდმა საკუთარ თავში იპოვოს ძალა, რომელიც გიგანტის ძლევას, გამარჯვებას და პირველობას შეაძლებინებს. საშინელებაა, მთელი წლების მანძილზე ძლიერი, კარგი გუნდი გერქვას და ჩემპიონობას მაინც ვერ ეწიო. ახლა დროა, სკუდეტო „პარმამ“ მოიგოს“. საინტერესოა, შესაძლებელია ის, რასაც ჟურნალი წერს? ვერ გეტყვით. ამის შესახებ ყველაზე უკეთ ალბათ თავად პარმელებმა უწყიან.

„იუვენტუსი“ კი... ტურინელები მუდამ პირველობისთვის იბრძვიან. მათთვის შეუძლებელი არ არსებობს. ისეთი გუნდებისთვის, როგორც მარჩელო ლიპის კლუბია, ყველაფერი ხელმისაწვდომია, თუნდაც ბევრისთვის წარმოუდგენელი რამ. ასეთები ერთეულები არიან, თითზე ჩამოსათვლელნი.

მიუხედავად ამისა, ყველაფერი შესაძლებელია. გოლიათები ლილიპუტებსაც წაუცევიათ. იქნებ „იუვენტუსის“ სიძლიერეზე საუბარი გადამეტებულიცაა, მაგრამ ამ ეტაპზე ისინი „პარმას“ რომ ჯობნიან, ფაქტია. სატურნირო ცხრილი ნათლად ასახავს ძალების შეფარდებას.

ხვალ კიდევ უფრო ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

ხვალ „პარმა“ „იუვენტუსს“ ხვდება.

ხვალ დიდი მატჩია, ძალიან მნიშვნელოვანი.

ლაშა გოდუაძე

GUERIN SPORTIVO

შარშან პარმაში. მასპინძელი მარიო სტანიჩის ამ თავურ დარტყმას პირველი გოლი მოჰყვა. პარმელებმა მაინც ვერ მოიგეს...

პარმა

დაარსდა 1913 წელს
იტალიის თასი: 1992
იტალიის თასის ფინალისტი: 1995
იტალიის სუპერთასი: 1992
თასების თასი: 1993
თასების თასის ფინალისტი: 1994
უეფას თასი: 1995
ევროპის სუპერთასი: 1994
სტადიონი: „სტადიო ენიო ტარდინი“ 29 048
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ყველაზე მეტი მატჩი: იკო კოკონი (308)
ყველაზე მეტი გოლი სერია A-ში: ჯანფრანკო ძოლა (51)
უდიდესი გამარჯვება: 4:0 — ექვსჯერ ხუთ კლუბთან
უდიდესი დამარცხება: 0:5 — „იუვენტუსი“ (1990-91)
შარშანდელი ადგილი: 6
ბოლო მატჩის შედეგი: 0:0 — სტუმრად „ვენეციასთან“

იუვენტუსი

დაარსდა 1892 წელს
იტალიის ჩემპიონი: 1905, 26, 31, 32, 33, 34, 35, 50, 52, 58, 60, 61, 67, 72, 73, 75, 77, 78, 81, 82, 84, 86, 95, 97, 98
იტალიის თასი: 1938, 42, 59, 60, 65, 79, 83, 90, 95
იტალიის თასის ფინალისტი: 1973, 1992
იტალიის სუპერთასი: 1995, 97
ჩემპიონთა თასი: 1985, 96
ჩემპიონთა თასის ფინალისტი: 1973, 83, 97, 98
თასების თასი: 1984
უეფას თასი: 1977, 90, 93
უეფას თასის ფინალისტი: 1965, 71, 95
ევროპის სუპერთასი: 1984, 96
საკონტინენტთაშორისო თასი 1985, 96
სტადიონი სტადიო დელე ალპი (69 041)
მწვრთნელი მარჩელო ლიპი
ყველაზე მეტი მატჩი ჯამბიერო ბონიპერტი (444)
ყველაზე მეტი გოლი ჯამბიერო ბონიპერტი (178)
უდიდესი გამარჯვება: 9:1 „ინტერთან“ (1960-61)
უდიდესი დამარცხება: 1:7 „მილანთან“ (1949-50)
შარშანდელი ჩემპიონი
ბოლო მატჩის შედეგი 1:0 შინ „კალიარისთან“

— ეს რა გავიგე, ჩაწყობილი ყოფილაო.

— *რა ყოფილა ჩაწყობილიო?*

— მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ჩაწყობილი ყოფილაო?

— *ვინ თქვა?*

— მთელმა შეგნებულმა ქართველობამ.

— *ვის აუღია ფულიო?*

— ბრაზილიისთვის უთქვიათ, ჩვენ უნდა მოგვცეთო, თორე ყოფას გიტირებთო. რონალდო უარზე ყოფილა და ძალით ავად გაუხდიათ.

— *სისულელეა.*

— რატომ არის სისულელე, ბრაზილიის მომგები ვინ იყო?

— *ჩამოთვლა მეზარება.*

— ეგ კი არა, წინა შაბათს „რეალი“ — „ბარსაც“ ჩაწყობილი ყოფილა.

— *ვინ თქვა?*

— უბანში თქვეს გაგებულმა ბიჭებმა.

— *აზრზე მოსული ბიჭები არიან?*

— უაზრზემოსულესი.

— *რით ასაბუთებენ?*

— რაო და სონი ანდერსონმა რომ ბოლო გაიტანა, იერომ ფეხი არ დაუდოო.

— *რო დაედო, პენალტს დანაშაულდნენ და იეროსაც გააგდებდნენ.*

— მერე რაო? ერთი გაეგდოთ და გოლიც არ გავიდოდა.

— *ესე იგი, ჩაწყობილი იყო, არა?*

— რა იყო? არ გაგიგია, რომ აწყობენ?

— *რის? მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს?*

— ყველაფერი ჩაწყობილია. ტოტალიზატორები ჩალიჩობენ.

— *ესე იგი, ფეხბურთი აღარ არსებობს?*

— არა... რატომ?

— *თუ ყველაფერი ჩაწყობილია, ფეხბურთი სადღაა?*

— ეგ კი აღარ ვიცი.

— *უტვინო ყოფილხარ.*

— რატომ მლანძღავ?

— *ფეხბურთი სად არის?*

— არ ვიცი. ალბათ, ჟურნალებში.

— *უორლდ სოკერში და დონ ბალონში, არა?*

— ჰო.

— *და დანარჩენი ჩაწყობილია, არა?*

— ჰო.

— *და იტალიაში ვინ გახდება ჩემპიონი?*

— არ ვიცი.

— *როგორ არ იცი. ჩაწყობილი იქნება.*

— არ ვიცი, უბანში არაფერი უთქვამთ.

— *უბანში გაუზომიათ. ჭურჭლა გკითხოთ იმას ეცოდინება.*

— რატომ დამცინი?

— *ამხელა სათვალე ტყუილად გიკეთია?*

— სათვალე რა შუაშია?

— *თელეთელ მკითხავს არაფერი უთქვამს?*

— რა უნდა ეთქვა?

— *რა ვიცი, ხომ ჩაწყობილია და გკითხოთ იმასაცა.*

— გალისიური გუნდები შეკრულები არიანო.

— *ჰა-ჰა-ჰა. მოდი ეხლა ის მკითხე და დავამთავროთ.*

— რა გკითხო?

— *აი, გაზაზე რომ მეკითხები ხოლმე.*

— გაზაზე რას გეკითხები?

— *რა ვიცი, სისულელეებს.*

— აწი აღარ გკითხავ.

— *რატომ?*

— ხოში აღარ არი. აწი სულ ჩაწყობებზე გკითხავ.

— *და გაზა?*

— გაზა კისლავოდსკშია წყლებზე.

— *ხუმრობ?*

— მაინც ყველაფერი ჩაწყობილია.

— *რონალდოს ნემსი გაუკეთეს?*

— მაშ... ტოტალიზატორებმა.

— *შე საწყალო...*

გამოქვეყნდა სააგენტო „როიტერის“ მიერ შედგენილი ევროპული კლუბების მორიგი რეიტინგი, რომელშიც ყოველი ქვეყანა ჩემპიონატის დონიმ მიხედვით არის დაყოფილი. კლასიფიკაციაში კვლავ იტალიური გუნდები დომინირებენ მილანის მეთაურობით. მილანელებმა სერია A-ს პირველ ორ ტურში იმარჯვეს და ქულებით შესაბამისი აქვთ. ამ რეიტინგში საკუთარ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებისთვის მინიჭებული ქულების გარდა კლუბებს დამატებით ეწერებათ ქულები ევროტურნირებსა და ეროვნული თასის გათამაშებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

საუკეთესო 20 გუნდი

1. მილანი	იტალია	114.74
2. ბაიერნი	გერმანია	113.52
3. ფიორენტინა	იტალია	108.11
4. იუვენტუსი	იტალია	101.49
5. ბორდო	საფრანგეთი	92.02
6. ლიონი	საფრანგეთი	90.13
7. რომა	იტალია	89.66
8. უდინეზე	იტალია	89.66
9. მადრიდის რეალი	ესპანეთი	89.61
10. მალიორკა	ესპანეთი	85.64
11. ინტერი	იტალია	84.03
12. ბარი	იტალია	83.03
13. ბუქარესტის დინამო	რუმინეთი	79.87
14. კიევის დინამო	უკრაინა	79.55
15. ასტონ ვილა	ინგლისი	78.48
16. ფეიენოორდი	ჰოლანდია	78.14
17. რაპიდი	ავსტრია	78.00
18. სარაგოსა	ესპანეთი	77.82
19. პარტიზანი	იუგოსლავია	77.76
20. შახტიორი	უკრაინა	77.11

რეიტინგში ბოლო ხუთ ადგილზე მყოფი გუნდი

370. ტიუმენი	რუსეთი	10.92
371. სოშო	საფრანგეთი	10.26
372. ბოლონია	იტალია	7.80
373. საუთჰემპტონი	ინგლისი	7.49
374. კოპენჰაგენი	დანია	5.77

ზედიზედ მოგებული მატჩები

მოსკოვის ცსკა	რუსეთი	7
პარტიზანი	იუგოსლავია	7
ობილიჩი	იუგოსლავია	6
ბაიერნი	გერმანია	5
ფეიენოორდი	ჰოლანდია	5
ლეხი	პოლონეთი	5
შახტიორი	უკრაინა	5

სეზონის რეკორდი

ცსკა	რუსეთი	7
პარტიზანი	იუგოსლავია	7

წაგებული მატჩები

აიკ	შვედეთი	13
კიევის ცსკა	უკრაინა	9

სეზონის რეკორდი

მიოლდე	ნორვეგია	21

ზედიზედ წაგებული მატჩები

ჰალადაში	უნგრეთი	6
დარდანელი	თურქეთი	5
ქარაბუქი	თურქეთი	5
სოშო	საფრანგეთი	5

სეზონის რეკორდი

ტიუმენი	რუსეთი	18

ბოლო გამარჯვების შემდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობა

ლუცერნი	შვეიცარია	10
პრიკარპატიე	უკრაინა	10
იანგ ბოიზი	შვეიცარია	10

სეზონის რეკორდი

ტიუმენი	რუსეთი	19

ბომბარდირები წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში

სილვან ვილტორდი	ბორდო	7
ალსენი კეიტა	კორტრიკი	5
ოლაფ მარშალი	კაიზერსლაუტერნი	5
ერიკ ვან მიერი	ლიერსი	5
ბერნარ ვინკლერი	მიუნხენი	5

ჩემპიონატებში გოლების საშუალო მაჩვენებელი

1. ნორვეგია	3,67	13. შვეიცარია	2,79
2. იუგოსლავია	3,16	14. პორტუგალია	2,72
3. დანია	3,15	15. ავსტრია	2,70
4. რუმინეთი	3,13	16. შვედეთი	2,66
5. გერმანია	3,11	17. უკრაინა	2,56
6. თურქეთი	3,07	18. საფრანგეთი	2,48
7. უნგრეთი	3,06	19. რუსეთი	2,48
8. საბერძნეთი	3,03	20. იტალია	2,28
9. ბელგია	3,00	21. ინგლისი	2,27
10. ჩეხეთი	2,98	22. შოტლანდია	2,06
11. პოლონეთ	2,95	23. ესპანეთი	1,77
12. ჰოლანდია	2,88		

ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football 1963

ლევ იაშინი

კაცი უეფექტო და ძალიან დიდი

მიხეილ სუტგუოპი

ბევრად მეტი უნდა იყოს კაცი, ვიდრე კარგი მეკარე, კონტინენტის ყველა ფეხბურთელზე მაღლა რომ დააყენონ. ეს ჭეშმარიტება საკუთრივ მეკარის პროფესიიდან მოდის. რაგინდ ფასობდეს გოლკიპერის შრომა, გულშემატკივრის თვალი უპირველესად თავდამსხმელისკენ გარბის. თავდამსხმელისკენ გარბის ჟურნალისტის თუ მწვრთნელის თვალიც, მოკლედ, ადამიანს გოლის ნახვა სურს და აკი ფეხბურთის აზრიც ისაა, რომ ერთმა გუნდმა მეორეზე მეტი გოლი უნდა გაიტანოს.

ალბათ ვინმე იტყვის მწვრთნელი სხვაა, მას მეკარე და მცველი ფორვარდზე ნაკლებ არ სჭირდებაო, მაგრამ ვგონებთ საშუალო ფეხბურთელების პატრონ მწვრთნელს არჩევანი რომ დაუსვათ. ან კარგი გოლკიპერი აიყვანე, ან კარგი თავდამსხმელიო, არჩევანს ამ უკანასკნელზე შეაჩერებს.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მეკარე, რომელმაც ევროპელ ჟურნალისტებს თავი საუკეთესოდ აღიარებინა, იმ ეპოქაში თამაშობდა საფეხბურთო მინდორი კაშკაშა ვარსკვლავებით რომ იყო სავსე. თავად განსაჯეთ, მის წინ „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ მიიღეს სტენლი მეტიუზმა, ალფრედო დი სტეფანომ, რაიმონ კოპამ, ისევ დი სტეფანომ, ლუის სუარესმა, ომარ სივორიმ და იოზეფ მასპუსტმა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ლეგენდარული რუსი (ანუ საბჭოთა, როგორც მაშინ ამბობდნენ) მეკარე ლევ იაშინი ბრწყინვალეთა შორის ბრწყინვალე გახლდათ. აბა სად გაგონილა მეკარე „ოქროს ბურთს“ იგებდეს?!

არ გახლდათ იაშინი ეფექტების კაცი. ის რუსულად ძლიერი, კარის საიმედო დარაჯი იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითად 1957 წლის ამბავი გამოდგება. იმ წელიწადს მოსკოვის „დინამო“ ბრაზილიას გაეშურა და „მარაკანაზე“ „ვასკუ და გამას“ ეთამაშა. „მარაკანაზე“ მაშინ საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველად შედგეს ფეხი. შეხვედრა 1:1 დასრულდა, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ის გახლავთ, როგორ ითამაშა იაშინმა. მთავარი მერე მოხდა.

სამხრეთ ამერიკაში, მით უფრო ბრაზილიაში და მით უმეტეს იმხანად, ხალხი ჟონგლიორობას შედეგზე ნაკლებ პატივს როდი სცემდა. მეკარეებიც ასეთები ჰყავდათ ოკეანისგაღმელებს: ლამაზი ნახტომი, ბურთის ეფექტური გადაგდება... ამიტომ იაშინმა გულშემატკივრის გული დიდად ვერ მოიგო, თუმცა ძალიან კარგი პროფესიონალი რომ იყო, ყველა მიხვდა.

კარის რაინდობა მოსკოველმა გოლკიპერმა ტელესტუდიაში დაამტკიცა. დიახ, სწორედ ტელესტუდიაში, სადაც ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა იაშინი და სამი თავიანთი ცნობილი თანამემამულე თავდამსხმელი მიიყვანეს. თითო თავდამსხმელს თითო პენალტი უნდა დაერტყა. თუ გოლი არ გავიდოდა, იაშინი ფულს მიიღებდა, თუ გავიდოდა ამ თანხის ნახევარს პენალტისტს მისცემდნენ.

იმარჯვა იაშინმა და პირველივე დარტყმული უკუაგდო. ამან მეორე და მესამე თავდამსხმელზე ეტყობა იმოქმედა, მათ ნერვებმა და სიზუსტემ უმტყუნა და ორივეს დარტყმა მიზანს აცდა. როგორც წესი და რიგი იყო, ფული, 2500 კრუზეირო რუსმა მეკარემ მიიღო, მაგრამ როგორც ნაღდ კომუნისტს შეშვენოდა, მთელი თანხა ბრაზილიელ ობოლ ბავშვთა ფონდს გადაურიცხა.

არ ვიცით, მართლა წრფელი გულით გადასცა იაშინმა ბრაზილიელ ობლებს მოგებული თანხა თუ გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ასე თუ არ მოიქცეოდა, დაიბარებდნენ სადაც ჯერ არს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ასეთი რამ მოხდა.

ლევ იაშინი

დაიბადა 1929 წლის 22 ოქტომბერს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში.
გარდაიცვალა 1990 წლის 21 მარტს.
მეკარე
წონა: 82 კგ
სიმაღლე 1,87 სმ
კლუბი: „დინამო“ (მოსკოვი, სსრკ, 1950-70)
ტიტულები: სსრკ-ს ჩემპიონი — 1954, 55, 57, 59, 63; სსრკ-ს თასის მფლობელი — 1953, 1967, 1970; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1966, ევროპის ჩემპიონი — 1960, ოლიმპიური ჩემპიონი — 1956
ნაკრებში 78 მატჩი (1954-67)

ფაქტია კიდევ ერთი ამბავი. 1961 წლის საბჭოთა კავშირის ნაკრები ბუენოს აირესში არგენტინის ეროვნულ გუნდს ეთამაშა. მატჩის წინ მასპინძელთა მაშინდელი ვარსკვლავი, თავდამსხმელი ხოსე სანფილიპო ხალხს დაპირდა აუცილებლად გავიმარჯვებთ და ერთ გოლს მე გავიტანო. იმხანად სანფილიპო მართლაც ჩინებულ ფორმაში ყოფილა, მაგრამ დაიწყო თამაში და იაშინმა სასწაულების ჩადენას მიჰყო ხელი. არგენტინელები საბჭოთა დაცვას ჯობდნენ, მაგრამ მეკარეს ვერაფერს უხერხებდნენ და აღელდნენ, აღელვებული კაცის ამბავი კი მოგეხსენებათ. ერთ ეპიზოდში სანფილიპო იაშინთან პირისპირ შესულა, 6 მეტრიდან ძლიერადაც დაურტყამს, მაგრამ აქაც გოლკიპერს უმარჯვია, გამწარებულ თავდამსხმელს კი ლამის სტრესი მოსვლია.

არ იყო გასაკვირი 1963 წლის „ოქროს ბურთი“ იაშინს რომ ხვდა. არ იყო იმიტომ, რომ იგი წინა წლების გამოკითხვებშიც აგროვებდა ქულებს და მუდმივად „ელიტაში“ ტრიალებდა. 1956 წელს იაშინი მეხუთე გახლდათ, 1957-ში მეთერთმეტე, 1958-ში მეთორმეტე, 1959-ში მეთერთმეტე, 1960-ში მეხუთე, 1961-ში მეოთხე. მხოლოდ 1962 წელი იყო გამონაკლისი, მაშინ იაშინი „ელიტის“ გარეთ დარჩა.

ცალკე ვთქვათ 63-ის ამბები. რეფერენდუმი ასე დასრულდა: იაშინმა მიიღო 73 ხმა, ჯანი რივერამ — 56, ჯიმ გრივსმა — 51, დენის ლოუმ — 45, ხოლო ეუსებიომ — 19.

უმთავრეს მეტოქედ იაშინს იტალიელი რივერა ჰყავდა. სხვათა შორის, ბევრი სწორედ რივერას გამარჯვებას ელოდა, მაგრამ იაშინის სასარგებლოდ საქმე იმან მოატრიალა, რომ იმ წელიწადს საბჭოთა ნაკრები იტალიისას რომში ფრედ, 1:1 ეთამაშა და საუცხოო რუსმა მეკარემ სანდრო მაცოლას თერთმეტმეტრიანი დარტყმა აუღო. იმავე წელიწადს იაშინმა ლონდონში, „უემბლიზე“, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაში მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლით დაამახსოვრა ხალხს თავი.

ცხადია, როგორც ყველა ადამიანს, საბჭოთა გოლკიპერსაც ჰქონდა ჩავარდნები. 1962 წელს, ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მან ვერ გაიბრწყინა (ამიტომაც ვერ მოხვდა „ფრანს ფუტბოლის“ იმ წლის „ელიტაში“). ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მეტოქეებმა იმთავიდან გულისყურით შეისწავლეს თამაშის მისეული მანერა.

აღარ შეყავდათ იაშინი იდეალურ თუ სიმბოლურ ნაკრებებში, უნგრელებთან ამხანაგურ მატჩში კი (ეს უკვე 1963 წლის ამბავია) მისი შეცდომების გამო გაშვებული ორი გოლი საბჭოთა გუნდის დამარცხების მიზეზად იქცა.

ბევრია მოსაგონარი, მათ შორის 1970 წლის საბჭოთა კავშირის თასის ფინალიც. იქ რა მოხდა? რა და მოსკოვისა და თბილისის დინამოელების დაპირისპირება მართალია მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ქართველთა გუნდის მცველმა შოთა ხინჩაგაშვილმა უშორესი მანძილიდან თავისი კარიერის ერთადერთი გოლი გაიტანა... სწორედ იაშინის კარში.

უპრიანი იქნებოდა სხვა ამბავთა მოყოლაც, მაგრამ მოდით, გივი გამრეკელის წიგნიდან ციტატა მოვიტანოთ, ვგონებთ, ამით უფრო კარგად დავხატავთ იაშინის პორტრეტს. თავად იაშინის სიტყვებია: — ექსტრა კლასის მეკარე რომ იყო, უნდა გესმოდეს ფსიქოლოგია და იცოდე შეტევაზე გადმოსული ფორვარდის შესაძლებლობანი. ამიტომ დავიწყე თავდასხმაში თამაში და გავიარე მთელი კურსი ამხანაგებთან, რომლებიც ჩემი კლუბის შეტევის ხაზზე თამაშობდნენ. მოთელვა, კროსები, ფინტები, კარში დარტყმა ყველა მდგომარეობიდან, ადგილის შეცვლა, თავით თამაში, კარის შტურმი — ერთი სიტყვით ყველაფერი. მატჩის დროს არასდროს ვდუნდები. ყურადღებით ვაკვირდები ბურთის მოძრაობას მთელი 90 წუთის განმავლობაში. და ბოლოს ყველაზე მთავარი: ვფიქრობ, ზედმიწევნით უნდა იცნობდე მეტოქის თამაშის მანერას. ყველა ფეხბურთელს თავისებურად უნდა მიუდგე“.

ბევრად, უთუოდ ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო კაცი, ვიდრე კარგი მეკარე, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ რომ მიეღო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან იაშინის ნიჭისა და ოსტატობის დაუკნინებლად ერთი კითხვაც შეიძლება აგვეკიდოს: ნუთუ მისებრ დიდი მეკარე სხვა არავინ იყო? მაშ, გორდონ ბენქსი? მაშ, რიკარდო ზამორა?

უთუოდ იყვნენ დიდი მეკარეები, მაგრამ იაშინს ბედმა სხვა სტატუსი არგუნა. დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერს მისი სახელობის ჯილდო გადაეცემა.

სამკურნალოდ, 1964 წელს, ტრავმირებული იაშინი ჩეხოსლოვაკიაში ჩავიდა და იქ სტუმრად ეწვია ფრანტიშეკ პლანიჩკას, ოდინდელ მეკარეს, რომელსაც მას ხშირად ადარებდნენ, ხშირად კითხულობდნენ, ვინ იყო მათ შორის მჯობნი.

კომენტარი სთხოვეს პლანიჩკას. მან უპასუხა: „მე იაშინი მომეწონა არა მარტო როგორც მეკარე, არამედ როგორც ადამიანი“.

იქნებ რუსი მეკარის პიროვნებამაც განაპირობა მისდამი საგანგებო პატივისცემა.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ორ თვეზე მეტია გასრულდა, თუმცა ლაბარაკი და სჯა-ბაასი მის გარშემო კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. დღეს გვინდა შემოგთავაზოთ ჩემპიონთა თასისა და ოქროს ბურთის სამ-სამგზის მფლობელის, უდიდესი ჰოლანდიელი ფეხბურთელისა და არანაკლებ უდიდესი მწვრთნელის, იოჰან კრუიფის კომენტარები, რომელთაც იგი მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას აქვეყნებდა ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ყოველკვირეულ დამატებაში.

ფეხბურთი იმედს გვიცრუებს

იოჰან კრუიფი

მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი დამთავრდა. ორმოცდაათამდე მატჩი ვნახეთ და ხუთასამდე ფეხბურთელს, რომელთაგან უმრავლესობა უცილობელ ლიდერებად არიან მიჩნეულნი თავიანთ გუნდებში, ვაკვირდებოდით მოედანზე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მეხსიერებაში რაიმე საგანგებო, ახალი და კარგი არ ჩაგვრჩენია. რა თქმა უნდა, იყო ულამაზესი გოლები, უმშვენიერესი კომბინაციები, ვილაცის თამაშში უმაღლესი კლასიც ჩანდა... მაგრამ ეს ზღვაში წვეთია და ამის გარდა ვერ ვიტყვი, რომ ბევრი დადებითი რამაა გასაანალიზებელი. ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესოა ორგანიზაციისა და ატმოსფეროს მხრივ. ყველა სტადიონზე განსაკუთრებული სიტუაციაა, რაც დღესასწაულში მონაწილეობის სურვილს აღგიძრავს, მაგრამ ფეხბურთი ჯერჯერობით იმედს გვიცრუებს, სპექტაკლი, რომელსაც სულმოუთმენლად ველოდით, არ ჩანს.

დავიწყოთ იმით, რომ ოცდათორმეტი გუნდი ფინალური ეტაპისთვის ძალიან ბევრია. ამის დასტურად ისიც გამოგვადგება, რომ რამდენიმე მცირე სიურპრიზის გარდა ყველა შედეგი მოსალოდნელი იყო. კლასში ძალიან დიდი განსხვავებაა კარგ ევროპულ და სამხრეთამერიკულ ნაკრებებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. მაგალითად, მატჩის დაწყებამდე იყო ცხადი, რომ ჰოლანდიია სამხრეთ კორეას გაანადგურებდა ან რომ იაპონია, მიუხედავად საკმაოდ ორგანიზებული დაცვისა, დამარცხდებოდა, რადგან გოლების გატანა არ შეუძლია. სწორედ ესაა ძირითადი განსხვავება: მაშინ, როცა ძლიერი ეროვნული ნაკრებებისთვის სამი-ოთხი სახიფათო მომენტის შექმნა საკმარისია გოლის გასატანად, ისეთი გუნდები, როგორებიც არიან კორეა, იაპონია, სამხრეთ აფრიკა ან იამაიკა, არაშემტევნი არიან... აქ შეიძლება ვინმე შემომედავოს და თქვას, რომ ნიგერიამ, რომელიც არ შედის ტრადიციულად ძლიერი ნაკრებების სიაში, მეტად ადვილად დაძლია ჯგუფური ტურნირი, მაგრამ ეს მაგალითი არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ეჭვქვეშ ჩემს მტკიცებებს, რადგან ნიგერიის ნაკრების ყველა მოთამაშე ევროპაშია გამოწრთობილი.

უფრო შორსაც შეიძლება წავიდეთ. დღესდღეობით ბრაზილია და არგენტინა იმიტომ არიან უძლიერესთა რიგებში, რომ მათი საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ ევროპის უძლიერეს ჩემპიონატებში გამოდიან. არგენტინის პირველ მატჩში მოთამაშე თერთმეტი არგენტინელიდან არცერთი არ ეკუთვნის არგენტინულ კლუბს. ბრაზილიაც იგივე სიტუაციაში ჟუნიორ ბაიანოსა და ბებეტოს გამოკლებით. არგენტინა და ბრაზილია არაფერი იქნებოდნენ თავიანთი ევროპელი ლეგიონერების გარეშე. მეტსაც გეტყვით, მისი ფეხბურთელები თავიანთ საზღვრებს რომ არ გასცდენოდნენ და ისეთ ძლიერ ჩემპიონატებში არ ეთამაშათ, როგორებიც ძველ კონტინენტზეა, ისინი ამხელა ძალის ნაღდად არ იქნებოდნენ. აქვე დავამატებ, რომ ბრაზილიის ნაკრების თავკაცი ზაგალოლ ნამდვილად არაა მწვრთნელის ის ტიპი, რაც ბრაზილიას სჭირდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ზაგალო ვერ შეძლებს თავისი ფეხბურთელებიდან მაქსიმუმის გამოწურვას, რადგან ის ფეხბურთს ევროპული მენტალიტეტით ვერ აღიქვამს.

ამავე მიმართულებით გავაგრძელოთ მსჯელობა. თუ დაუსვია ვინმეს თავისი თავისთვის კითხვა — რატომ ჰყავს არგენტინას ასეთი სიძლიერის დაცვა? იმიტომ, რომ მისი უკანა ხაზის მოთამაშეები სენსინი (პარმა), აიალა (ნაპოლი), ძანეტი (ინტერი), შამოტი (ლაციო), პინედა (უდინეზე) იტალიის ჩემპიონატში გამოდიან. ქვეყანაში, სადაც კატენაჩიო გამოიგონეს. თითქოს ეს არ კმაროდა და დანიელ პასარელასაც გაუგორებია ბურთი სერია A-ში. რა თქმა უნდა, მე არ ვცდილობ არგენტინელთა და ბრაზილიელთა ღირსებების დაკნინებას, მაგრამ არც იმას უნდა ავუქციოთ გვერდი, რომ ბრძოლისუნარიანობას და ევროპულ რიტმში თამაშს თავიანთი საუკეთესო ტალანტების მიგრაციის ხარჯზე აღწევენ.

მთელი ეს ანალიზი იმისთვის დავიწყე, რათა მეჩვენებინა, რომ ფინალურ ეტაპზე ამდენი გუნდის თავმოყრა მხოლოდ და მხოლოდ აბსურდია. ერთადერთი, რასაც 32-გუნდიანი ჩემპიონატი ფეხბურთს შემატებს, ესაა უინტერესო თამაშები სანახაობის საზიანოდ.

როცა ორი ნაკრების შეხვედრისას მათ შორის კლასში ძალიან დიდი განსხვავებაა, მატჩის დაწყებიდან მის დამთავრებამდე რაც არ უნდა მოხდეს, ვერაფერს შეგვმატებს. საბოლოოდ, როცა მერვედფინალებში გასულ თექვსმეტ გუნდს უყურებ, ძალაუნებურად იფიქრებ, რომ უკეთესი იქნებოდა, დრო დაგვეზოგა და პირდაპირ ამ სტადიიდან დაგვეწყო გათამაშება. მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთში, ისევე როგორც სპორტის ბევრ სხვა სახეობაში, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება, საჭიროა სხვადასხვა კონტინენტების წარმომადგენლების მონაწილეობა, წარმომადგენლებისა, რომლებსაც თავიანთი ეგზოტიზმის მეტი არაფერი აქვთ საჩვენებელი და იმის ნაცვლად, რომ შეჯიბრს რამე შემატონ, პირიქით, აკლებენ კიდეც.

ამას რომ ვამბობ, არ მინდა, ცუდად გამიგონ და იფიქრონ, თითქოს თექვსმეტგუნდიანი გათამაშების მომხრე ვარ, მაგრამ ყველა ფეხბურთის მოყვარულმა უნდა იცოდეს, რომ ნაღდ, ლამაზ და უშეღავათო თამაშებს ისინი მხოლოდ და მხოლოდ უძლიერესი ნაკრებების შეხვედრისას იხილავენ. განა წინასწარ არ ვიცოდით, რომ გერმანია — იუგოსლავია, ნიგერია — ესპანეთი, ბელგია — ჰოლანდია, არგენტინა — ხორვატია, საფრანგეთი — დანია საინტერესო მატჩები იქნებოდა ხოლო ამ შეხვედრებიდან რომელი იქნებოდა უკეთესი და რომელი უარესი, რომელი მოგვეწონებოდა და რომელი არა, ეს უკვე სხვა ამბავია, რადგან ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ამასთანავე, გერმანია — იუგოსლავიას მერე თამამად იტყოდი, რისი შემძლეა თითოეული მათგანი, რა ღირსებები და რა ნაკლოვანებები აქვთ, რადგან ეს თამაში უმაღლესი დონის იყო და არც ერთ გუნდს არ უცდია რაიმეს დამალვა. სამაგიეროდ, ბევრია ისეთი ნაკრები, რომელმაც მერვედფინალს ძალთა მაქსიმალური დაძაბვის გარეშე მიაღწია. მათზე ობიექტური წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. ავიღოთ ბრაზილია, ვერაფერს ვიტყვი მათ სიძლიერეზე, რადგან არ ვიცი, კარგი თამაში იმიტომ არ აჩვენეს, რომ არ დასჭირდათ, თუ უბრალოდ მეტი არ შეუძლიათ.

თითქმის იგივე შეიძლება ვთქვათ ნიდერლანდების შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა თანამემამულეებმა ბელგიის წინააღმდეგაც ითამაშეს და მექსიკისაც, შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მათაც რაღაც დაუმალეს მომავალ მეტოქეებს, რადგან თავს ემდურად ძლიერად თვლიდნენ, რომ მთელი ძალით თამაში არ დასჭირდათ ჯგუფური ბარიერის დასაძლევად. ხორვატია, არგენტინა და საფრანგეთიც უპრობლემოდ გავიდნენ მერვედფინალში, თუმც მასპინძლები უფრო გულუხვნი აღმოჩნდნენ თავიანთ მატჩებში, ვიდრე სხვა გუნდები. ვფიქრობ, ეს იმის ბრალია, რომ ფრანგები თავის ქვეყანაში თამაშობენ და თავიანთ პულიკაზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა სურთ. ამიტომაც მეტ-ნაკლებად თავი არ დაზოგეს და ბევრი რამაც არ დაუმალავთ. საფრანგეთმა კარგად „იმუშავა“, თუმცა ხშირ შემთხვევებში დაგვანახა, რომ მშვენიერი „ოქროს შუალედის“ მიღწევა შეუძლია სანახაობასა და შედეგს შორის. ფეხბურთელები, რომლებიც ემე ჟაკეს განკარგულებაში იმყოფებიან, მეტად დიდ ძალას წარმოადგენენ და დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტს შეუტევს საფრანგეთი, მით უფრო სახიფათო და საშიში იქნება ის მეტოქეთათვის. ადრე ვამბობდი, რომ ერთადერთი განსხვავება ამ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ნაკრებებს შორის ერთი ან ორი თავდამსხმელით შეტევა იქნებოდა. ჰოდა, საფრანგეთს აქაც უპირატესობა აქვს თავისი შეტევაში გაწაფული უკანახაზელების გამო. თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი წავა თუ არა ჟაკე ამ რისკზე, როცა მისი მოწინააღმდეგე გაცილებით მაღალი კლასის იქნება, ვიდრე აქამდე.

ამ ორმოცდაათიოდე მატჩის ნახვისას კიდევ ერთმა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება — დიდი ინდივიდუალისტების არყოფნამ. რონალდომ რამდენჯერმე გაიბრწყინა, თუმცა ეს ძალიან ცოტაა მისი შესაძლებლობების ფეხბურთელისთვის. შეიძლება ეს მისი ბრალი კი არაა, არამედ ბარზილიური სისტემისა, რომელიც მთლიანად რონალდოზე არ თამაშობს. ზოგიერთმა ბომბარდირმა თავისი საქმე უკვე გააკეთა — ვიერი, ბატისტუტა, ჰოლსტერი, შუკერი, სალასი. მაგრამ ენა არ მოგიბრუნდება იმის სათქმელად, რომ ვინმემ ყველაფერი კარგად გააკეთა. ამ თემას უფრო დაწვრილებით ჩემს შემდეგ წერილებში დავუბრუნდები, დღეს კი ამით დავამთავროთ.

თარგმნა
გაგი გურულმა

გაგრძელება მომდევნო შაბათის „სარბიელში“

ის, ვინც თითქმის ყოველთვის მართალია



ფრანც ბეკენბაუერი

როგორც კი გერმანულ ფეხბურთში რაიმე საგანგაშო ხდება, საშველად ფრენც ბეკენბაუერს ეძახიან. ახლაც ასე იყო, ისევ „კაიზერს“ მიმართეს.

ბეკენბაუერი 53 წლისაა და როგორც ჩანს, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გახდება. პრესასთან საუბარში მან თვალსაჩინო ცვლილებათა პირობა დადო.

„ამ ქვეყანაში ფეხბურთს მიხედვა სჭირდება“ — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა ლიბერომ მას მერე, რაც საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა თავისი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის შეცვლა აღუთქვა.

—„ახალმა ქარმა უნდა დაუბეროს. ახლებური სტრუქტურა და ახალი ხალხი გვჭირდება“.

ბრაუნი ამბობს, რომ ბეკენბაუერი ახალი იდეებითაა სავსე, გერმანიას კი მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა აქვს ჩაფიქრებული.

„კაიზერს“ ფუნქციას საფეხბურთო კავშირის ოქტომბრის ყრილობა მოუძებნის, თავად კი არ უარყოფს, რომ ვიცეპრეზიდენტობა უნდა.

„ის ჩვენი ფეხბურთის გადასარჩენად მოდის“ — ასეთი ხმამაღალი სათაური ჰქონდა გერმანიის ყველაზე დიდტირაჟიან „ბილდს“. იგი წერდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავისგან მხოლოდ დიდებულ გადაწყვეტილებებს უნდა ელოდონ.

სულ ორი კაცია მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ფეხბურთელობის დროსაც რომ აქვს მოპოვებული და მწვრთნელობის დროსაც. ერთია ბრაზილიელი მარიო ზაგალო, მეორე კი ბეკენბაუერი, რომელიც გერმანული ფეხბურთის ბოლო 30 წლის უდიდეს წარმატებათა სიმბოლოდაა ქცეული.

„კარგია და მნიშვნელოვანი, დღეს, ასეთ ცხელ პერიოდში საქმეს ის რომ ჩაიბარებს“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა.

დედამიწის ერთ-ერთი საფეხბურთო გიგანტი, გერმანია, დღეს თავისი ისტორიის უიმშვიათეს და უძნელეს კრიზისს ებრძვის. მას მერე, რაც ივლისში, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ამ ქვეყნის ნაკრებმა ხორვატიასთან მარცხი იწვნია, ძველი გვარდიის რამდენიმე ლიდერმა, მაგალითად იურგენ კლინსმანმა, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. ღირსეული შემცვლელები კი, არ ჩანან.

პრესის ზეწოლის ქვეშ მოქცეულმა ბერტი ფოგთსმა ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობა დატოვა და გამოცდილი, მაგრამ უტტიულო რიბეკი ახალი გუნდის აგების ამოცანის წინაშე დააყენა.

„ფართო გაგებით ნორმალური ბაზისი გვაქვს. მაგრამ ჩვენ ელიტაზე თუ დავიწყებთ ლაპარაკს, დავინახავთ, რომ პრობლემების წინაშე ვდგავართ. არც მეტი, არც ნაკლები, ბრწყინვალე ფეხბურთელები გვაკლია“ — ამბობს ბეკენბაუერი.

ბეკენბაუერი ამბობს, რომ იგი რიბეკს ჯერჯერობით დატოვებს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე. რიბეკის თანაშემწედ დანიშნული ული შტილიკე კი მომავალ მწვრთნელად ისევ „კაიზერს“ ხედავს.

„ვფიქრობ, ეროვნული გუნდის გაძღოლა მისი ბედია“ — თქვა შტილიკემ — „ყველა პასუხისმგებელი პირიც ამასვე ამბობს და ფიქრობს“.

და მაინც, რომც არ ისურვოს ბეკენბაუერმა ნაკრების თავკაცობა, საქმე არ გამოელევა. როგორც ხედავთ, კონსერვატორობაში ბრალდადებული 73 წლის ბრაუნი ამბობს, რომ „კაიზერს“ ახალი იდეების მოტანა შეუძლია. ალბათ, ასეც არის.

„გერმანიის საფეხბურთო კავშირის არსებული სტრუქტურა 1963 წლიდან მოქმედებს“ — განიხილავს საკითხს ბეკენბაუერი — „საპატიო წევრებზე დანდობა არაფრით შეიძლება. პროფესიონალთა საქმეს პროფესიონალები უნდა გაუძღვნენ“.

ბეკენბაუერის კიდევ ერთი ბერკეტი გერმანიის წამყვან კლუბთა „სპორტული კლუბებიდან“ მდიდრულ, სახალხო მფლობელობის კომპანიებად გარდაქმნა გახლავთ.

„საფეხბურთო კავშირმა კლუბებს თავიანთი სტატუსის გადახალისების საშუალება უნდა მისცეს და ისინი საფონდო ბირჟაზე უნდა გავიდნენ“ — ამბობს ბეკენბაუერი.

უმაღლესი და მეორე ეშელონის პროფესიული კლუბები საფეხბურთო კავშირს დაქვემდებარებაში არიან, კავშირი კი თავისთავად სამოყვარულო ორგაინზაცია გახლავთ. ბეკენბაუერი ალბათ, ამ საკითხსაც მოაგვარებს.

„ბუნდესლიგამ საკუთარ თავს უნდა მოუაროს. ჩვენ უნდა შევქმნად პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც კავშირისგან დამოუკიდებელი იქნება და ლიგას თავად უხელმძღვანელებს. მასვე ექნება ტელეტრანსლაციათა უფლებების საჭეც“.

1984 წელს, როდესაც გერმანიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან იუპ დერვალი გადადგა, დახმარება ბეკენბაუერს სთხოვეს. ის დათანხმდა და ქვეყანა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა.

1994 წელს, როდესაც გუნდი მეოთხედფინალიდან ბულგარელებმა გამოთიშეს, ბეკენბაუერს ისევ შველა თხოვეს, მაგრამ ამჯერად მან უარი განაცხადა. ფოგთსის გადადგომის მერეც უარი თქვა „კაიზერმა“.

„მე ჩემი უკვე გავაკეთე“ — განმარტა მან.

ბეკენბაუერი მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტია, მაგრამ კლუბის ყოველდღიური მართვის ნებას ული ჰაინესს აძლევს. სანამ „ბაიერნში“ მივიდოდა, ის ძირითადად „ბილდთან“ და საკაბელო ტელეარხ RTL-თან თანამშრომლობით იყო დაკავებული. გარდა ამისა, სპონსორულ გარიგებებში მონაწილეობდა და წილს იღებდა.

დღეს იგი აცხადებს, რომ სპორტული პიჟამოს ჩაცმა და მწვრთნელის სკამზე დაჯდომა მისი საქმე აღარაა, მაგრამ როგორც ამბობენ, შორიახლოს ტრიალით „ბაიერნის“ ბოლო პერიოდის მწვრთნელებს ძალიან უშლიდა ხელს.

გეხსომებათ, 1996 წელს ბეკენბაუერმა უეფას თასის ფინალის საპასუხო შეხვედრის წინ გაათავისუფლა თანამდებობიდან მწვრთნელი ოტო რეჰაგელი და „ბორდოსთან“ ის მეორე მატჩში თავად ჩაატარებინა „ბაიერნს“. ჯილდოც მან აღმართა.

მართალია, მას მერე მწვრთნელობა საკუთარ თავზე აღარ აუღია, მაგრამ თურმე სულ შენიშვნების დარიგებაშია და ამ ჩვევას ვერავინ გადააჩვია.

„ის სულ ლაპარაკობს, არადა როდესაც თვით ბეკენბაუერი ლაპარაკობს, იძულებული ხარ უსმინო. თანაც ხშირად სრულიად მართალია“ — ამბობს „ბაიერნის“ ყოფილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი.

ტრაპატონი ის კაცია, ვინც ბოლოხანს მიუნხენელთა თავკაცის თანამდებობაზე ყველაზე დიდხანს გაჩერდა, მაგრამ ისიც თქვეს სინამდვილეში თავი მწვრთნელად არასოდეს უგრძვნია, რადგან ყველაფერს, მათ რიცხვში თითოეული თამაშის შემადგენლობასა და ტაქტიკას კი პრეზიდენტი განსაზღვრა- ვდაო.

ავტორიტეტი ბეკენბაუერმა ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს მოიპოვა, როდესაც როგორც ლიბერო ჩინებულად ხელმძღვანელობდა დაცვას და იმავდროულად ნახევარმცველთა და მცველთა დირიჟორობასაც ახერხებდა.

დღეს მას თმა გაუჭაღარავდა, ლურჯი თვალები სათვალეს ამოეფარა, მაგრამ უშეცდომო ალღო და გონი არსად წასულა, ბეკენბაუერი ბეკენბაუერად დარჩა.

ახლა ერთხელაც უნდა დაამტკიცოს, რომ ყველაფერი, რასაც ხელს შეახებს, უკეთესობისკენ იცვლება — გერმანია მსოფლიო საფეხბურთო ელიტას უნდა დაუბრუნოს.

პატრიკ ვიგნალი, როიტერი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VI ტური

26 სექტემბერი

დორტმუნდი — ვოლფსბურგი	1,5	3,3	6,0
შალკე — ლევერკუზენი	2,4	2,8	2,7
ვერდერი — ბაიერნი	3,6	2,9	1,9
ფრაიბურგი — დუისბურგი	1,6	3,2	5,0
კაიზერსლაუტერნი — ბოხუმი	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	2,9	2,6
მიონხენგლადბახი — შტუტგარტი	2,1	2,9	3,2

27 სექტემბერი

აინტრახტი — ნიურნბერგი	2,2	3,0	2,9

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VIII ტური

26 სექტემბერი

არმინია — ფორტუნა	1,5	3,3	6,0

27 სექტემბერი

ეატენშაიდი — ურდინგენი	2,0	2,9	3,4
კიოლნი — ობერჰაუზენი	1,6	3,2	5,0
ფიურტი — კიკერსი	2,2	2,9	3,0
ჰანოვერი — ზტ. პაული	1,9	2,9	3,6
უნტერჰახინგი — კოტბუსი	1,8	2,8	4,4

28 სექტემბერი

ულმი — მაინცი	1,6	3,2	5,0

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VII ტური

26 სექტემბერი

ასტონ ვილა — დერბი	1,8	2,8	4,4
ჩარლტონი — ქოვენთრი	1,9	2,9	3,6
ჩელსი — მიდლსბრო	1,6	3,0	5,6
ევერტონი — ბლეკბერნი	2,0	2,8	3,5
ნიუკასლი — ნოტინგემი	1,5	3,2	6,5
შეფილდ უენსდეი — არსენალი	3,4	2,9	2,0
ტოტენჰემი — ლიდსი	2,4	2,8	2,6

27 სექტემბერი

ლესტერი — უიმბლდონი	1,9	2,9	3,6

28 სექტემბერი

ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი	1,35	3,8	7,0
0:1	1,9	3,4	2,4

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. X ტური

26 სექტემბერი

ბოლტონი — ჰადერსფილდი	1,8	3,0	4,0
ბრედფორდი — ბარნსლი	2,2	2,9	3,0
ბრისტოლი — ქრიუ	2,0	2,9	3,4
გრიმსბი — პორტ ვეილი	1,6	3,2	5,0
ნორვიჩი — ბირმინგემი	2,0	2,9	3,4
ოქსფორდი — ქუინზ პარკი	2,3	2,9	2,8
პორტსმუთი — სანდერლენდი	3,2	2,9	2,1
სტოკპორტი — ვესტ ბრომვიჩი	2,2	2,9	3,0
უოტფორდი — იფსვიჩი	2,4	2,9	2,6
ვულვერჰემპტონი — ბერი	1,9	2,9	3,6

27 სექტემბერი

კრისტალ პალასი — შეფილდ იუნაიტედი	2,2	2,9	3,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IV ტური

26 სექტემბერი

ბარი — ბოლონია	1,9	2,9	3,6
მილანი — ფიორენტინა	1,7	3,0	4,7
პარმა — იუვენტუსი	2,5	2,8	2,6
რომა — ვენეცია	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,0	2,8
უდინეზი — სალერნიტანა	1,5	3,3	6,0

27 სექტემბერი

კალიარი — სამპდორია	2,3	2,8	2,9
ემპოლი — ინტერი	4,7	3,0	1,7
პერუჯა — ლაციო	2,8	2,9	2,3
პიაჩენცა — ვიჩენცა	2,0	2,9	3,4

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. IV ტური

26 სექტემბერი

ფ. ანდრია — ლეჩე	2,7	2,8	2,4

27 სექტემბერი

ატალანტა — ტერნანა	1,6	3,0	5,6
ბრეშა — კრემონეზე	1,9	2,7	4,0
ჩეზენა — მონცა	2,2	2,8	3,1
კიეტი — პესკარა	1,8	2,8	4,4
ვენეზია — რავენა	1,7	2,9	5,0
რეჯანა — ნაპოლი	2,0	2,8	3,5
რეჯინა — ლუკეზე	1,9	2,8	3,8
ტორინო — კოზენცა	1,5	3,2	6,5
ტრევიზო — ვერონა	1,8	2,8	4,4

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IV ტური

26 სექტემბერი

ატლეტიკო — სოსიედადი	1,6	3,0	5,6
ვალიადოლიდი — სალამანკა	2,4	2,8	2,7
ბარსელონა — სელტა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ბილბაო — რეალი	2,5	2,9	2,5
ბეტისი — ესტრემადურა	1,5	3,3	6,0

27 სექტემბერი

ტენერიფე — ალავესი	1,6	3,0	5,6
მალიორკა — ოვიედო	1,5	3,4	5,6
დეპორტივო — ესპანიოლი	1,8	2,9	4,2
ვალიადოლიდი — ვალენსია	3,6	2,9	1,9
სარაგოსა — რასინგი	1,7	3,0	4,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. V ტური

26-27 სექტემბერი

რეკრეატივო — მერიდა	2,3	2,9	2,8
ორენსე — ლეგანესი	1,8	2,9	4,2
სევილია — ბადაზოსი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,0	2,8
კომპოსტელა — ოსასუნა	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,5
ნუმანსია — ერკულესი	1,8	3,1	3,8
ლეიდა — ბარსელონა B	1,5	3,3	6,0
ლოგრონიესი — ალბასეტე	1,8	3,3	3,5
რაიო — ტოლედო	1,9	2,8	3,8
ატლეტიკო B — ეიბარი	2,1	2,9	3,2
მალიორკა B — სპორტინგი	1,7	3,0	4,7
მალაგა— ლას პალმასი	2,4	2,9	2,6

პორტუგალიის ჩემპიონატი. V ტური

26 სექტემბერი

ბენფიკა — მარიტიმუ	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
პორტუ — გიმარაეში	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5

27 სექტემბერი

შავეში — ბეირა მარი	1,6	3,0	5,6
აკადემიკა — რიუ ავე	2,4	2,8	2,7
ბრაგა — ალვერკა	1,5	3,2	6,5
სალგეირუში — ბოავიშტა	2,1	2,9	3,2
კამპომაიორენსე — ლეირია	1,8	2,9	4,2

28 სექტემბერი

სეტუბალი — ფარენსე	1,9	2,9	3,6

რუსეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

26 სექტემბერი

როსტსელმაში — დინამო	2,4	2,9	2,6
ლოკომოტივი — ვეშუეინა	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1
ზენიტი — ალანია	1,9	2,9	3,8
ჩერნომორეცი — ურალანი	2,2	2,9	3,0
შინიკი — კრილია	1,9	2,7	4,0
როტორი — ბალტიკა	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
ტორპედო — ტიუმენი	1,05	8,0	14,0
0:1	1,3	4,0	5,0
ცსკა — სპარტაკი	2,5	2,9	2,5

პოლანდიის ჩემპიონატი. VII ტური

26 სექტემბერი

კამბური — ვრააფსხაპი	2,4	2,8	2,7
როდა — ვალვიკი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
ნაიმეგენი — ჰერენვენი	3,6	2,9	1,9
სიტარდი — მაასტრიხტი	1,6	3,2	5,0
ფეიენორდი — ტილბურგი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7
ვიტესი — სპარტა	1,5	3,2	6,5

27 სექტემბერი

უტრეხტი — ტვენტე	2,2	3,0	2,9
აზ 67 — ეინდჰოვენი	3,1	3,0	2,1
აიაქსი — ბრედა	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,5	3,2

ბელგიის ჩემპიონატი

26 სექტემბერი

ეკერენი — ლოკერენი	2,8	2,9	2,3
სტ. ტრუიდენი — ჰარელბეკი	1,7	3,1	4,4
ლომელი — ანდერლეხტი	2,5	2,9	2,5
შარლეროა — გენკი	3,0	2,9	2,2
ბევერენი — გენტი	1,9	2,9	3,6
ვესტერლო — ოსტენდე	1,5	3,3	6,0
ბრიუგე — ლიერსი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,7

27 სექტემბერი

კორტრაიკი — აალსტი	2,6	2,9	2,4

პოლონეთის ჩემპიონატი. X ტური

26-27 სექტემბერი

ვიძევი — ზაგლებე	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
სტომილი — პოლონია	2,3	2,9	2,8
ლეხი — ოდრა	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1
რაძიონკოვი — პოგონი	1,9	2,9	3,6
ამიცა — გურნიკი	2,0	2,8	3,5
კატოვიცე — ლკს	1,7	3,1	4,4
ლეგია — რუხი	1,5	3,3	6,0
ბელხატოვი — ვისლა	4,0	3,0	1,8

თურქეთის ჩემპიონატი

26 სექტემბერი

ბეშიქთაში — ისთანბული	1,7	3,1	4,4
დარდანელი — სამსუნი	2,1	3,0	3,1

27 სექტემბერი

გალათასარაი — გენჩლერბირლიგი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
გაზიანთეფი — ალთაი	1,5	3,3	6,0
საქარია — ერზურუმი	2,5	2,9	2,5
ქარაბუქი — ადანა	1,8	3,0	4,0
ანთალია — ბურსა	1,8	3,0	4,0
ანკარაგუჯიუ — ქოჯაელი	1,9	3,0	3,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური

26 სექტემბერი

სელტიკი — ჰართსი	1,5	3,2	6,5
დანდი — მოზერველი	2,3	2,9	2,8
დანფერმლაინი — რეინჯერსი	5,0	3,2	1,6
სენტ ჯონსტონი — დანდი იუნაიტედი	1,7	3,1	4,4

27 სექტემბერი

აბერდინი — კილმარნოკი	2,0	2,9	3,4

ავსტრიის ჩემპიონატი. X ტური

26 სექტემბერი

რაპიდი — ლუსტენაუ	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ლინცერი — რიდი	1,4	3,5	7,0
შტაირი — შტურმი	4,7	3,0	1,7

27 სექტემბერი

ტროლი — აუსტრია	2,3	2,9	2,8

შვეიცარიის ჩემპიონატი. XII ტური

26 სექტემბერი

იანგ ბოისი — სტ. გალენი	2,4	2,9	2,6
ლუგანო — ქსამაქსი	2,3	2,9	2,8

27 სექტემბერი

სიონი — ბაზელი	2,1	2,9	3,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ოლიმპიზმი

ბაგრატიონს ულოცავენ



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით დაჯილდოებას ულოცავენ არა მხოლოდ ახლობლები და მეგობრები, არამედ უცხოელი კოლეგები, ოლიმპიური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, სპორტული მოღვაწენი.

პატივცემულო პრეზიდენტო,
ძვირფასო მეგობარო,

მსურს გულითადად მოგილოცოთ ოლიმპიური ორდენით დაჯილოება, რითაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა თქვენი უდიდესი დამსახურება ოლიმპიურ მოძრაობაში არა მხოლოდ საუკეთესო სპორტსმენის, არამედ შესანიშნავი სპორტული ხელმძღვანელით სახითაც.

ველი თქვენთან შეხვედრას სანკტ-პეტერბურგში.

პატივისცემით
დოქტორი ჟაკ როგი
ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი

პატივცემულო
ჯანსუღ ირაკლის ძევ!

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის, დამოუკიდებელი ქვეყანების თანამეგობრობის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ „ოლიმპიურ ორდენის" — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდოს მონიჭებას.

სოკ-მა ამ ჯილდოთი ღირსეულად შეაფასა თქვენი პირადი დამსახურება და წვლილი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში და ქვეყნის ოლიმპიურ მოძრაობაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ოჯახურ კეთილდღეობას, შემოქმედებით წარმატებებს და ვიმედოვნებ ჩვენი ოლიმპიური კომიტეტების შემდგომი თანამშრომლობის განმტკიცებას.

დიდი პატივისცემით
ვ. სმირნოვი
რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტი

თერძებო, სტარტზე!

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე არა მხოლოდ მონაწილეობაზე და იქ წარმატებით გამოსვლაზე უნდა ვიზრუნოთ, არამედ ჩვენი ათლეტების გარეგნობასა და კოხტად ჩაცმულობაზეც, რაც საქართველოს წარმოსაჩენად, მასზე დადებითი აზრის შესაქმნელად უმნიშვნელო რამ სულაც არ არის. ამიტომ, სიდნეის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სააღლუმო და სპორტული ტანსაცმლის დასამზადებლად ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს მხატვარ-მოდელიორთა კონკურსს.

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.
2. შესრულებული ესკიზების სეოკ-ში წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1999 წლის 1 ივლისი.
3. კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ექვსი ესკიზი:
   — სააღლუმო ჩაცმულობა მამაკაცისთვის;
   — სააღლუმო ჩაცმულობა გოგონასთვის;
   — სავარჯიშო სპორტული ჩაცმულობა მამაკაცისთვის;
   — სავარჯიშო სპორტული ჩაცმულობა გოგონასთვის;
   — ოლიმპიურ სოფელში და დასვენების ადგილებში სპორტული ჩაცმულობა მამაკაცისთვის;
   — ოლიმპიურ სოფელში და დასვენების ადგილებში სპორტული ჩაცმულობა გოგონასთვის.
4. მოდელების შემოთავაზებულ ვარიანტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული შტრიხები.
5. კონკურსის შედეგები შეჯამდება 1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.
6. კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა 5000 ლარი ან სურვილისამებრ სეოკ-ის სტუმრის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს სიდნეის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში.

ფულადი ანაზღაურების შემთხვევაში იმოქმედებს დადგენილი წესები.

7. კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი ესკიზები, გარდა გამარჯვებულისა, შეიძლება ავტორებს დაუბრუნდეთ.
8. კონკურსში გამარჯვებული ამ კონკურსის პირობების ფარგლებში ხელმძღვანელობს სიდნეიში „ქართული სახლის" მხატვრული გაფორმების სამუშაოებს.
9. სეოკ-ის ხელმძღვანელობა იტოვებს უფლებას, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით შეცვალოს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ეკიპირება მთლიანად და მის ზოგიერთ ნაწილში, ე.ი. ტანსაცმლის მოდელები არ დამზადდეს კონკურსში გამარჯვებული ესკიზების შესაბამისად. ამასთან, ეს გავლენას რ იქონიებს ამ პირობების მე-6 მუხლზე.

ეს იყო ატლანტაში

სტუ-შევარდენის ბედი და უიღბლობა



დედოფალი სოფია, ინიაკი ურდანგარინი, ინფანტა კრისტინა და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

გუშინდელ „სარბიელში“ ესპანეთის „ბარსელონას“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდსა და მის ლიდერ ინიაკი ურდანგარინზე მოკლედ კი გესაუბრეთ, მაგრამ ამ ლეგენდარულ კლუბს და მეფის სიძეს, ცხადია, მეტი ეკადრებათ. ჩვენც მივდექ-მოვდექით და საქართველოს უცვლელი ჩემპიონის „სტუ-შევარდენის“ მეტოქეზე სხვაც ბევრი შევიტყვეთ. ვიდრე ინიაკი ურდანგარინის პირად ცხოვრებაზე მოგითხრობდეთ, მოდით ჯერ „ბარსელონაზე“ ვთქვათ.

„ბარსელონა“ უდიდესი ტრადიციების გუნდია, „ბარსა“ ესპანეთის სიამაყეა. კატალონიელებს არაერთხელ უსახლებიათ თავი და ქვეყანა. კლუბის მიერ ევროპასა და შინაურ ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებები ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს დასცემს. თუმცა, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი, უფრო სწორად, წაკითხული სჯობს. ამიტომ, მოდით, თვალი გადავავლოთ „ბარსელონას“ მიერ მოპოვებულ ნირგვარ ტიტულთა ნუსხას.

ესპანეთის ხელბურთელთა ლიგის თექვსმეტგზის ჩემპიონი: 1952-53, 57-58, 62-63, 68-69, 72-73, 79-80, 81-82, 85-86, 87-88, 88-89, 89-90, 90-91, 91-92, 95-96, 96-97, 97-98

ესპანეთის სამეფო თასის თორმეტგზის მფლობელი: 1968-69, 71-72, 72-73, 82-83, 83-84, 84-85, 87-88, 89-90, 92-93, 93-94, 96-97, 97-98

ესპანეთის სუპერთასის რვაგზის მფლობელი: 1986-87, 88-89, 89-90, 90-91, 91-92, 93-94, 96-97, 97-98

ევროპის თასების თასის ხუთგზის მფლობელი: 1983-84, 84-85, 85-86, 93-94, 94-95

ევროპის ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი: 1990-91, 95-96, 96-97, 97-98

ევროპის სუპერთასის ორგზის მფლობელი: 1996-97, 97-98

როგორც ხედავთ, ბოლო სამი წელია, „ბარსელონა“ არც ესპანეთში და არც ევროპაში არავის არაფერს ანებებს და კონტინენტური ხელბურთის აღიარებულ გრანდად გვევლინება. ცხადია, ამ გამარჯვებაში უპირველესად მოთამაშეთა ის ბრწყინვალე ანსამბლია „დამნაშავე“, რომელიც „ბარსას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერო რივერ ლოპესმა შემოიკრიბა.

ახლა კი, დაპირებისამებრ, „ბარსას“ სულსა და გულზე ინიაკი ურდანგარინ ლიებერტზე ვისაუბროთ:

ურდანგარინი 1968 წლის 15 იანვარს ესპანეთის ჩრდილოეთით, ქალაქ სემარაგოში მოვლინა ქვეყანას, მოკლე ხანში ოჯახი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ქალაქში ბარსელონაში გადავიდა საცხოვრებლად. ინიაკიმაც ხელბურთის თამაში იქაურ სკოლაში დაიწყო და უმალ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

ოქროს ცაცია — „ბარსას“ ყოჩი ინიაკი ურდანგარინი

როცა ინიაკი 16 წლისა მოიყარა, მამამისს, ხუან მარია ურდანგარინ ბერიოჩოას ვიტორიაში ბანკ „ვიტალის“ პრეზიდენტობა შესთავაზეს და ოჯახის თავკაცმაც ჯალაბობა ბარსელონადან აყარა და ვიტორიას მიაშურა. უმცროსმა ურდანგარინმაც იქაური კოლეჯის გუნდში დაიწყო თამაში, ტოლთაგან აშკარად გამოირჩეოდა და გუნდის ლიდერიც გახდა. მის მიერ მარცხენა ხელით გატანილ ბურთებს არაერთხელ უსნია ვიტორიელი ხელბურთელები დამარცხებისაგან, ამიტომაც ტოლ-სწორებმა „ოქროს ცაცია“ შეარქვეს. ეს მეტსახელი ურდანგარინს დღემდე შემორჩენია, რადგან ახლაც მარჯვედ სტყორცნის ბურთს მოწინააღმდეგეთა კარისაკენ თავისი მარჯვე მარცხენათი.

სწორედ ვიტორიაში შეუმჩნევია „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელ ვალერო რივერ ლოპესს 16 წლის ინიაკი და თავისთვისაც შეუგულებია. ურდანგარინზე მადრიდელებსა და ბილბაოელებსაც ეჭირათ თვალი, განსაკუთრებით ბასკები აქტიურობდნენ და ეიმედებოდათ კიდეც ხელბურთის ჯერ კიდევ უცნობი ვარსკვლავის თავისთან ხილვისა, ეიმედებოდათ იმიტომაც, რომ ინიაკი ტომით ბასკია, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც „ბარსელონა“ ირჩია და კარგა ხნის განშორების მერე კვლავ სამეფო კარის ქალაქს დაუბრუნდა.

დღეს რომ ინიაკი ურდანგარინი ხელბურთის ვარსკვლავია და არა კალათბურთის, ვალერო რივერა ლოპესის დამსახურებაა. იკითხავთ, კალათბურთი რა შუაშიაო? საქმე კი ასე ყოფილ[illegible] — „ოქროს ცაციას“ არა მარტო ხელბურთის კარის უბადლო დალაშქვრა, არამედ კალათშიც ხეირიანად ტყორცნა ემარჯვებოდა, და ერთი პირობა კალათბურთელობაზეც ოცნებობდაო. სწორედ ამ ოცნების ასრულებაში შეუშალა ხელი ლოპესმა, ბარსელონაში წაიყვანა ყმაწვილი ურდანგარინი, ხელბურთისკენ მოაბრუნა, როგორც მერე გამოჩნდა, ამით ლოპესმაც მოიგო და ინიაკიმაც გვარიანად იხეირა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ახალგაზრდა ურდანგარინი დღითი-დღე უმატებდა თამაშს და დროთა განმავლობაში „ბარსას“ ლიდერიც შეიქნა. ესპანეთში უძლეველებმა კონტინენტზეც ყველა მეტოქე დაიბრიყვეს და ათასგვარი ჯილდო-მედალი მოიპოვეს. თორმეტი წელია, „ოქროს ცაცია“ „ბარსელონასთვის“ იღწვის და მის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა და თასების თასს სამ-სამჯერ დაუფლებია, რვაჯერ ესპანეთის ლიგის ჩემპიონის ტიტული მოუპოვებია, ოთხჯერ სამეფო თასიც დაუსაკუთრებია და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ატლანტის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლითაც დაუმშვენებია მკერდი.

და, აჰა, მივადექით ატლანტას, სადაც თვისტომთა საქომაგოდ ხელბურთზე უზომოდ შეყვარებული ესპანეთის მეფის ასული, ინფანტა კრისტინა ჩაბრძანებულიყო თავისი ამალით. კეთილშობილმა ქალბატონმა თანამემამულე ხელბურთელების წარმატებით ფრიად გაიხარა და ყველას მიულოცა გამარჯვება. და მაშინ პირველად შეავლეს თვალი ერთურთს ხელბურთის პრინცმა და ქვეყნის პრინცესამ. ჯერ ესეიგი ამბობენ, ინიაკი ურდანგარინი ერთ ქალიშვილზე იყო შეყვარებული, მაგრამ იმდენად მოხიბლა მეფის ასულმა, უმალ გულში ჩაუვარდაო.

ინიაკი ურდანგარინმა მეფის სიძეობა გადაწყვიტა, მით უფრო, ეკონომისტის დიპლომიანი სასიძო იყო და არც სახელი და დიდება აკლდა, ქალიც, კრისტინა ფედერიკა ვიქტორია ანტონია დე ლა სანტისიმა ტრინიდადი თანახმა იყო და 1997 წლის ოქტომბერში, ესპანეთის მონარქთა ოჯახის, ბორბონთა მთელი დინასტიისა და ურდანგარინების სანათესაოს თანდასწრებით ინიაკიმ და კრისტინამ ბარსელონის მარია დე მარის ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს.

ამ ქორწინებას ესპანელები აღფრთოვანებით შეხვდნენ. განსაკუთრებით კი კატალონიელები ამაყობენ, ინიაკის თანაგუნდელებმა კი ეს თქვეს: „ატლანტაში რომ ვნახეთ სამეფო კარის წარმომადგენელი, ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ მალე ინიაკიმ გაგვაცნო ინფანტა და მისით ყველანი მოვიხიბლეთ, კრისტინა ჩვენი თილისმაა, თუ იგი მატჩს დაესწრო, ჩვენ ვიგებთ“.

ბედნიერი წყვილი ამჟამად ბარსელონაში ცხოვრობს, ინფანტა, ქმრის მსგავსად, ეკონომისტია და მიუხედავად თავისი მაღალი წარმომავლობისა, ბანკ „ლა კაიხაში“ მუშაობს, ინიაკი კი ძველებურად „ბარსელონაში“ ირჯება, სადაც წელიწადში 15 მილიონ პესეტს უხდიან. ინიაკი არც ოჯახის ვალდებულებებს ივიწყებს და სამეფო კარის ყველა თავყრილობას ესწრება მეუღლესთან ერთად, ეგ არის მხოლოდ, ცოტა არ იყოს, გადატვირთული სპორტული კალენდრის გამო უჭირს ამ მისიის შესრულება, მაგრამ რას იზამ. სიმამრს, ისიც მეფეს, ხომ არ აწყენინებს?! ამიტომაცაა, ინფანტა კრისტინა თავმომწონედ რომ ამბობს, ინიაკი ხომ არაჩვეულებრივი ხელბურთელია, მაგრამ უკეთესი მეუღლეაო. ინფანტას სიტყვას, რა თქმა უნდა, დაეჯერება, ერთია მხოლოდ, კარგი იქნება, კრისტინა-თილისმა ქართველ შევარდენელთა და ბარსელონელთა მატჩს თუ არ დაესწრება, ეგებ ჩვენებურთ რამე ეშველოთ.

ეძა ჯაფარიძე

ბარსელონა (ესპანეთი)

	სიმაღლე	წონა	ასაკი
1. ტომას სვენსონი	194	94	29
2. ხავიერ ოკალაგან ფერერი	186	81	25
3. ანდრეი შეპკინი	205	124	32
4. როჯერ მაგრინია მარტინესი	177	69	19
5. ენრიკ მესიპ ბორასი	192	92	28
6. ალექსანდრ დედუ	202	105	25
7. ინიაკი ურდანგარინ ლიებერტი	197	99	29
8. ჯორჯი ფერნანდეს პერესი	184	82	28
9. მატეო გარალდა ლარუმბე	196	102	27
10. ისრაელ დემონტ ლუნა	185	82	19
11. კარლოს პრიეტო მარკოსი	203	90	17
12. ხოსე-მანუელ სიერა მენდესი	193	83	19
13. პატრიკ კავარი	189	97	26
15. ფერნანდო ბარბეიტო დელგადო	177	79	28
16. დევიდ ბარუფეტ ბოფილი	197	100	27
17. რაფაელ გიხოსა კასტილიო	188	75	28
18. ჯონ ბელაუსტეჯი რუანო	195	95	18
19. ხოაკიმ სოლერ ტერუელი	197	91	24
20. ანტონიო კარლოს ორტეგა პერესი	184	86	26
21. ხოსეფ ესპარ მოია	182	80	21

„ბარსელონამ“ ახლახან დაწყებულ ესპანეთის ჩემპიონატში ხუთი თამაში გამართა, აქედან ოთხში გაიმარჯვა, ერთიც ფრედ დაასრულა

6 სექტემბერი

გრანოლესი 20:28 ბარსელონა

ბარსელონა: სვენსონი (ბარუფეტი), ოკალაგანი (2), შეპკინი (3), ურდანგარინი (2), ლოსანო 2, კავარი 4, ორტეგა 4, დედუ, გარალდა 7, გიხოსა 2, სოლერი 2.

10 სექტემბერი

ბარსელონა 38:21 კანგასი

ბარსელონა: ბარუფეტი (სვენსონი), ოკალაგანი 3, შეპკინი 3, ურდანგარინი 2, ლოსანო 4, კავარი 11, ორტეგა 5, დედუ 1, გარალდა 2, გიხოსა 5, სოლერი 2.

12 სექტემბერი

სიუდად რეალი 27:34 ბარსელონა

ბარსელონა: სვენსონი (ბარუფეტი), ოკალაგანი 6, შეპკინი 2, ურდანგარინი 7, ლოსანო 5, კავარი 4, ორტეგა 5, დედუ 2, გარალდა 2, გიხოსა, სოლერი 2.

16 სექტემბერი

ბარსელონა 36:32 ალტეა

ბარსელონა: ბარუფეტი, ორტეგა 4, ოკალაგანი 3, ურდანგარინი 5, შეპკინი 5, ლოსანო, კავარი 6, დედუ, სოლერი 5, გიხოსა 5, გარალდა 3.

19 სექტემბერი

ვალიადოლიდი 30:30 ბარსელონა

ბარსელონა: სვენსონი (ბარუფეტი), ოკალაგანი 3, შეპკინი 1, ურდანგარინი 4, ლოსანო 3, კავარი 4, ორტეგა 5, დედუ, გარალდა 4, გიხოსა 2, სოლერი 3



გარი კასპაროვი:

ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ კარპოვი მსოფლიოს ჩემპიონად იწოდებოდეს

კომუნისტების მორჩილი კარპოვი წარსულის გადმონაშთია, მისი მსოფლიოს ჩემპიონობა რაღაც საპატიო სიგელის ტოლფასია

ფიდეს პრეზიდენტი ილუმჟინოვი საქმეს ცუდად უძღვება და უამრავ უკანონობას სჩადის

კაზინოებშიც ვთამაშობ, მაგრამ ხმები ჩემს მიერ წაგებულ დიდ ფულზე გადაჭარბებულია

მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში გარი კასპაროვს წარდგენა არ სჭირდება და ამას არც ვაპირებ. ჭადრაკის ისტორიამ ბევრი კოლორიტული ფიგურა იცის, მაგრამ გარი მათ შორისაც კი გამორჩეულია. გამორჩეული არა მხოლოდ თავისი საჭადრაკო ხელწერით, არამედ ხასიათის თავისებურებებით და ცხოვრების წესით. კასპაროვის გულახდილი, კავკასიელთათვის დამახასიათებელი საუბარი ძალიან იზიდავს ჟურნალისტებს. გარისთან ინტერვიუ სულაც რომ არ გინდოდეს, იმდენ საინტერესოს გეტყვის, ძალაუნებურად კითხვებს დაგასმევინებს და ბოლოს მაინც ინტერვიუ გამოგივა. ერთი სიტყვით, თავად ნახეთ და დარწმუნდებით

— ახლა ძალიან პოპულარულია ვლადიმერ ჟირინოვსკის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „დედაჩემი რუსია, მამა კი იურისტი". თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?

— დასამალი არაფერი მაქვს და უამრავჯერაც მითქვამს, რომ კასპაროვი მამაჩემის გვარი არ არის. მამა ვაინშტეინი იყო, დედა კი კასპაროვა, ეროვნებით სომეხი.

— გვარი რატომ გამოიცვალეთ?

— როდესაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჭადრაკს უნდა გავყოლოდი, დედის რჩევით მივიღე ეს გადაწყვეტილება. მივიჩნიეთ, რომ ასე უკეთესი იქნებოდა. ხომ იცით, ხალხი ჭრელია და სხვადასხვანაირადაც ფიქრობს. გვარის გამოცვლა მხოლოდ სპორტული კარიერის უკეთ წარსამართად განვიზრახე, სხვა აზრი ამ საქციელს არ ჰქონია.

— როგორც ჩანს, დედას დიდი დამსახურება მიუძღვის თქვენს მოჭადრაკედ ჩამოყალიბებაში.

— კლარა კასპაროვა ძალიან დამოუკიდებელი ადამიანია. მისი მეცადინეობით მე არა მარტო მოჭდრაკედ, არამედ პიროვნებადაც ჩამოვყალიბდი. იგი ბავშვობიდანვე მკაცრად მექცეოდა და ცდილობდა, რისი უნარიც მქონდა, ის განმევითარებინა. ახლაც კი, როდესაც სრულიად დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, დედა გაჭირვების თუ კრიზისული სიტუაციების ჟამს ძალიან მეხმარება.

— თქვენი ჭადრაკზე მიყვანის ახლა ღიმილსაც კი მგვრის. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ასე არ თამაშობენ. სწორედ ეს გამოუცდელობა იყო მიზეზი იმისა, რომ თავდაპირველად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი, თუმცა შემდეგ შევძელი ძალების მოკრება და რამდენიმე გამარჯვებაც მოვიპოვე, რასაც ფიდეს იმჟამინდელი პრეზიდენტის, ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესის მიერ მიღებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება მოჰყვა შეხვედრის შეწყვეტის თაობაზე.

— თქვენი და ანატოლი კარპოვის ქიშპობაც ალბათ აქედან დაიწყო?

— დაახლოებით ასეა. თუმცა ქიშპობა ადრეც იყო. ახლა საქიშპო აღარაფერი მაქვს. კარპოვი, როგორც მოჭადრაკე, ბევრს აღარაფერს წარმოადგენს. მისი დრო წარსულს ჩაბარდა და ის ფორმალური მსოფლიოს ჩემპიონობა, რომელიც მას მიეკუთვნა, მხოლოდ რაღაც საპატიო სიგელის ფუნქციას თუ ასრულებს.

— საჭადრაკო მიმომხილველმა ანატოლი გერმანმა ერთხელ განაცხადა, კასპაროვსაც და კარპოვსაც საკმაოდ კარგად ვიცნობ, ისინი მთელი დღის განმავლობაში ერთ ოთახში რომ ჩავკეტოთ, მათი ხასიათებიდან გამომდინარე აუცილებლად შეძლებენ საერთო ენის გამონახვასო. რატომ არ ჩაიკეტეთ კარპოვთან ერთად ოთახში?

— კარპოვის ბანაკი ამას არც მოისურვებდა. დიდი სურვილი არც მე მქონია. საერთო ენის გამონახვაზეც ეჭვი მეპარება. ჩვენ სრულიად სხვადასხვა ადამიანები ვართ. კარპოვი ტოტალიტარული სისტემის შვილი იყო და ჩვენს მაშინდელ ლიდერებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. უფასებდნენ იმ მორჩილებას, რომლითაც სისტემას ემსახურებოდა, სხვებისგან განსხვავებით დიდი პრივილეგიებით და მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

— თქვენ დაუმორჩილებელი იყავით?

— რაშიც ეს საჭირო იყო, ვიყავი კიდეც. თავდაპირველად იმის წინააღმდეგ გავილაშქრე, რომ ჩვენ უმოწყალოდ გვძარცვავდნენ, შროშით მოპოვებულ თანხას მშვიდობის, დამხრჩვალთა და კიდევ ათასგვარ ფონდებში გვარიცხინებდნენ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ წყალში დამხრჩვალთა ოჯახის წევრები იმ ფულიდან კაპიკსაც ვერ მიიღებდნენ და ყველაფერი შეიარაღებას მოხმარდებოდა. კარპოვი ამას, ცხადია, არ იზამდა. ამიტომაც მიაჩნდათ იგი მაშინდელ იდეოლოგებს „სანიმუშო საბჭოთა სპორტსმენად და ადამიანად".

— ვიცი, რომ სპორტის სხვა სახეობების მიმართაც არ ხართ გულგრილი.

— ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ეს ჩემი საყვარელი თამაშია. არ შემიძლია, მშვიდად ვუყურო დაბალ საფეხბურთო მატჩებს. თავადაც ხშირად ვთამაშობ. დილაობით დავრბივარ ხოლმე. ხანდახან ველოსიპედით ან მოტოციკლით დავსეირნობ. მიყვარს ცურვა. ასეთი რეჟიმი ხელს მიწყობს, მუდამ ფორმაში ვიყო და სწორად ვანაწილო ჩემი ძალები.

გაკასპაროვებული ყმაწვილი გარი, მანამდე ვაინშტეინი

— მართალია, თითქოს ახალგაზრდობისას საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრების წევრებს საკმაოდ პრინციპული სანაძლეო მოუგეთ?

— იყო ასეთი რამ. საბჭოთა მძლეოსნების ნაკრები, თუ არ ვცდები, შვეიცარიაში იმყოფებოდა რაღაც შეჯიბრებაზე. იმხანად მეც იქ გახლდით. ბიჭებს დავენიძლავე, 100 მეტრს 11,2 წამზე ნაკლებ დროში გავირბენ-მეთქი, რაც მოყვარულისთვის მართლაც ჩინებული შედეგია. ისინი ამას ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ჩემი ვარჯიში მხოლოდ საჭადრაკო დაფით შემოიფარგლებოდა და მწარედაც მოტყუვდნენ. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის გამართულ მატჩებში საშუალოდ 7-8 კილოს ვიკლებდი ერთ თვეში. ამას კი მართლაც გაძლება უნდა და ამისთვის ვარჯიშიც აუცილებელია.

— ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ასაკმა თქვენც დაგატყოთ კვალი და ამჟამად დიდად განსხვავდებით უწინდელი გარი კასპაროვისგან. ამის დასტურად თქვენი ამასწინდელი დუელიც მოჰყავთ ჰოლანდიელ იან ტიმანთან, რომელშიც, მართალია, გაიმარჯვეთ, მაგრამ არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურებოდით.

— მე ასე არ ვიტყოდი. რამდენი ხანია, რაც ჩემი რეიტინგი 2800-ის ფარგლებში მერყეობს, ახლა 2800-ზე მეტიც კია. ჭადრაკში რეიტინგი საკმაოდ ზუსტად ასახავს მოჭადრაკის თამაშის ხარისხს და მის მიერ მიღწეულ შედეგებს. რაც შეეხება ტიმანთან მატჩს, ეს უკვე ტაქტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული. არ მინდოდა ყველა ჩემი საიდუმლოს გამჟღავნება, რადგან მალე შიროვთან მელის მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის.

— შეიძლება ითქვას, რომ ტიმანს ძალების დაზოგვით სძლიეთ?

— შეიძლება ასეც ვთქვათ, თუმცა ამით მის ოსტატობას არ ვაკნინებ. ტიმანი ძველებურად კარგად თამაშობს და მშვენიერ ფორმაშია.

— მსოფლიოს ჩემპიონობა ახსენეთ და ამაზეც მინდა გკითხოთ. როგორ აფასებთ სიტუაციას, როდესაც მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავს?

— ეს ჩვენი თვითმიზანი არ ყოფილა. ფიდეს მიერ წლების განმავლობაში არასწორად წარმართულმა პოლიტიკამ განხეთქილება ჩამოაგდო საჭადრაკო სამყაროში. ვითარების შესაცვლელად საჭიროა ამ ორგანიზაციის სათავეში ახალი ხალხის მოსვლა. მაშინ ალბათ ყველაფერი დალაგდება. პირადად მე მზად ვარ, ვისაც გნებავთ, იმას შევერკინო და კვლავაც დავამტკიცო ჩემი ძალა.

— ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის საქმიანობით კმაყოფილი ხართ?

— როგორ შეიძლება კმაყოფილი ვიყო, როდესაც იგი უამრავ უკანონობას სჩადის და საქმესაც არასწორად უძღვება. სრულებითაც არ ვაპირებ, ვინმეს რამე ვასწავლო, მაგრამ როდესაც ადამიანი საქმეს ცუდად აკეთებს და ეს გარკვეულწილად მეც მეხება, გაჩუმება არ შეიძლება.

— ილუმჟინოვი თითქოს თქვენთან შერიგებას აპირებდა და კასპაროვ-კარპოვის მატჩის მოწყობაც ჰქონდა განზრახული...

— ეს სულ სიტყვები იყო. თავადაც ხედავთ, რა გაკეთდა. თანაც ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ მსოფლიოს ჩემპიონად კარპოვი იწოდებოდეს და არა მე, რადგან ეს ტიტული თამაშით დავიმსახურე, ფიდემ კი რაღაც საბუთების და გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამომართვა.

— ახლანდელ მოჭადრაკეთაგან ვის გამოყოფდით?

— ანანდი, კრამნიკი, კამსკი. ეს სამეული დღესდღეობით უძლიერესად მიმაჩნია, თუმცა ამათ გარდა სხვა ძლიერი მოჭადრაკეებიც მრავლად არიან.

— თქვენი აზრი ქალთა ჭადრაკზე.

— რა გითხრათ... ითამაშონ, თუ ეს მოსწონთ, მაგრამ ისინი მამაკაცებს ვერასდროს გაუტოლდებიან. ეს ბუნებისმიერი კანონზომიერებაა.

— მაშინ რას იტყვით იუდით პოლგარზე, რომელსაც ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ამოუჭრია გულში...

— არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ: სანამ მე ჭადრაკს ვთამაშობ, ეს არ მოხდება. იუდით ჰოლგარმა ბევრად გაუსწრო ქალებს, მაგრამ ვაჟთა ჩემპიონობაზე ნურც იოცნებებს.

— ერთხელ იუდითმა კონკრეტული ვადაც კი დაასახელა — 2002 წელი.

— მის ადგილზე მე ამას არ ვიტყოდი. მომავალში მისთვისვე იქნება უარესი.

— საბჭოთა კავშირის დაშლისას პოლიტიკური და ეროვნული მიზეზების გამო იძულებული გახდით, მშობლიური ბაკო მიგეტოვებინათ. გულში ისევ გიდევთ წყენა ამის გამო?

— სხვათა შორის, ძალიან საინტერესო სიტუაცია იყო ექიმი-ფსიქიატრისთვის. ამდენი გაგიჟებული და ფსიქოზის მდგომარეობაში მყოფი ხალხი მანამდე არსად მენახა. ბაკოში უამრავი კარგი ადამიანია, ისევე, როგორც სხვაგან. უბრალოდ, არეულობათა პერიოდში ხალხი ყოველთვის ცდილობს, ვიღაცას აყვეს. სამწუხაროა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ხალხი პროვოკატორებს და არამზადებს აყვა.

— აზარტული ადამიანი ხართ? მოსკოვში ლეგენდები დადის თქვენს მიერ კაზინოში წაგებულ ფულებზე.

— ეს ხმები გადაჭარბებულია. თამაშით კი მითამაშია განტვირთვის მიზნით, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ზარალი ჩემს ბიუჯეტს არ უნახავს.

— ამხელა ბიუჯეტი გაქვთ?

— ვცხოვრობ შემოსავლებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

— არ მოგბეზრდათ ეს ორომტრიალი? თქვენ შეძლებული ადამიანი ხართ. გაერიდეთ ყველაფერს და მშვიდად იცხოვრეთ.

— ისეთი ხასიათი მაქვს, მშვიდად ცხოვრებას ვერ შევძლებ. ეს მერე იყოს, მოგვიანებით, როდესაც მოვხუცდები. ჯერჯერობით კი უამრავი საქმე მაქვს, რომელთა მოგვარებას ჩემს მეტი ვერავინ შეძლებს და არც ვცდილობ, სხვას ვაკეთებინო. თავად გავწვდები ყველაფერს.

იური ციბანიოვი
მოსკოვიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა"
საგანგებოდ სარბიელისთვის

კარპოვ-კასპაროვის 1985 წლის ისტორიულ-ისტერიული მატჩი

კასპაროვი: ფეხბურთი ჩემი საყვარელი თამაშია

სტეფანია: 16 წუთი, 6 ქულა

ევროლიგა
ოლიმპია–ტიმსისტემი

ევროლიგის პირველ მატჩში ვლადიმერ სტეფანიას ლუბლიანის „ოლიმპიამ“ იტალიურ „ტიმსისტემს“ უმასპინძლა და 57:45 დაამარცხა. გუშინ ვოვას შევეხმიანეთ და სლოვენიურ მატჩზე ვკითხეთ:

— ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო, იტალიელები და, მით უფრო, ჩვენ, არაფრის დათმობას ვაპირებდით და ამიტომ მოედანზე უხეში თამაში გაჩაღდა. ეს კი საბოლოოდ მატჩის ანგარიშსაც დაეტყო.

— შენი წვლილი როგორია „ოლიმპიას“ გამარჯვებაში?

— საერთო ჯამში 16 წუთი ვითამაშე და გუნდს 6 ქულა შევმატე.

— მომდევნო მეტოქე მადრიდის „რეალია“, ალბათ გამარჯვებისთვის იბრძოლებთ.

— ვიბრძოლებთ და მოვიგებთ კიდეც, „ოლიმპია“ საკმაოდ კარგი გუნდია და „რეალის“ დამარცხებაც შეუძლია.

— სიეტლიდან ახალი ხომ არაფერია?

— ნბა-ში კვლავ ლოკაუტია, მეც მის დასრულებას ველოდები, მანამდე კი სლოვენიაში ვითამაშებ.

— ბოისა თუ მოელაბარაჯა „ოლიმპიას“ თავკაცებს, რჩება ლუბლიანაში?

— ჯერჯერობით კონტრაქტის პირობებს ათანხმებენ. საქმეს ისეთი პირი უჭირს, ვფიქრობ, დაიტოვებენ.

ევროპა თურქებისაა?

ევროპის 24 უძლიერესი გუნდი ჩაება ევროლიგის შვიდთვიან მარათონში, რომელმაც ბებერი კონტინენტის რჩეულთა რჩეული უნდა გამოავლინოს.

პირველ ტურში ყველაზე თვალშისაცემია თურქული კლუბების ასპროცენტიანი შედეგი. ერთ დროს ევროპის მაჩანჩალა საკალათბურთო ქვეყანამ დიდძალი ფულის დატრიალებით იმას მიაღწია, რომ ევროპელ გრანდებს შინაც ჩოქებს და გარეთაც ასთმასვე შდეგს მიაღწიე ბერძნებმა, მაგრამ ეს მათგან რა გასაკვირია.

საკვირველი კი იტალიელთა, განსაკუთრებით ევროლიგის შარშანდელი გამარჯვებულის ბოლონიის „კინდერის“ ჩაფლავებაა. ბოლონიელებს ყელში დანა ყოფილმა თანაგუნდელმა, „ოლიმპიაკოსში“ გადაბარგებულმა ხორვატმა არიან კომაზეცმა გამოუსვა: 25 ქულა ჩააგდო და თან „დენვერ ნაგითსის“ ყოფილი გამთამაშებელი ენტონი გოლდვაიერიც აიყოლია. ამან კი ის მოიტანა, რომ ბერძნები ერთხანს 60:44 ივებდნენ. ერთი სიტყვით, „კინდერი“ შარშანდელის აჩრდილსღა ჰგავდა, თანაც ლიდერები, პრედრაგ დანილოვიჩი და ჰუგო სკონოჩინი აკლდა.

იტალიელებმა მეორე დარტყმა ლიუბლიანაში, „ოლიმპიასგან“ მიიღეს. ვლადიმერ სტეფანიამ ამ საქმეში ერთობ მოკრძალებული წვლილი შეიტანა: 16 წუთი ითამაშა, 3 სროლიდან 1 ჩააგდო, 6 საჯარიმოდან — 4, 3 ბურთი მოხსნა. სანაცვლოდ, თანაგუნდელებთან ერთად დაცვაში დიდებულად გაისარჯა და მეორე ტაიმის საწყის 9 (!) წუთში იტალიელებმა ბურთი ვერ ჩააგდეს. ლიუბლიანელთა გამთამაშებელმა იაკა დანეუმ თავის გუნდს შეტევა დაუწუნა, მაგრამ, ასეთი დაცვისას ყველაფერი გვეპატიებაო, დასძინა.

ისტორიულმა მტრებმა, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ და ხორვატიის „ციბონამ“ ბელგრადში ცარიელ დარბაზში ითამაშეს. ფიბამ იუგოსლავიელები წინა სეზონის ცოდვებისთვის დასაჯა: კორაჩის თასის ფინალში იქაურ ფანებს დარბაზი მიულეწ-მოულეწიათ და ამიტომ მატჩს ტელევიზორშიღა უცქირეს. მათ საყვარელ გუნდს კი ქომაგობა მოაკლდა და გათამაშებაც წაგებით დაიწყო.

„პანათინაიკოსმა“ წელში გადატეხა „მაკაბი“, ძირითადად ბოდირიგა-რაჯას დუეტის და ნიკოს ეკონომუს წყალობით. ამ კაცმა თამაშიდან ყველა, 8 სროლა ჩააგდო და ფარზეც საუკეთესო იყო.

თურქებმა კი გაიძლიერეს გუნდები: „ეფესმა“ იუგოსლავიელ დრობნიაკს ანდო ლიდერობა, „ფენერბაჰჩემ“ NBA-ს სკოლაგამოვლილი სამი კაცი გამოიყვანა: ხორვატი ჟან ტაბაკი, სლოვენი მარკო მილიჩი და ექს-დენვერელი მაჰმუდ აბდულ-რაუფი. ამ სამეულს გვერდი დაუმშვენა ენდენმა, ოლონდ ცნობილ ესტონელ კალათბურელ ჰეინო ენდენში ნუ აურევთ: „ფენერბაჰჩეს“ ზაზა ენდენი ქუთაისელი ზაზა ენდელაძე გახლავთ, რომელმაც კარგა ხნის წინ მიიღო თურქეთის მოქალაქეობა. ზაზამ ერთი წუთი ითამაშა და ამ ხანში თითო სროლისა და საჯარიმოს მიღება მოასწრო.



მაყურებელთა არყოფნამ პეკოვიჩი (ბურთით) და მისი „ცრვენა ზვეზდა“ ძალიან აზარალა

ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. I წრე. 23-24 სექტემბერი

A ჯგუფი

ფენერბაჰჩე 99:84 ულგირისი

ფენერბაჰჩე: ქუთლუაი (33), მილიჩი (24), აბდულ-რაუფი (19), ტაბაკი (11), მაკრეი (7), აფაიდინი (3), ტოფსაკალი (2), კალამიზა, ენდენი

ულგირისი: მ. ეუკაუსკასი (17), მასიულისი (14), ედნი (14), ადომაიტისი (13), ბოუი (11), ზიდეკი (5), ე. ეუკაუსკასი (5), შტომბერგასი (3), მასკოლიუნასი (2)

ავტოდორი 73:70 ვარეზე

ავტოდორი: ეინიკისი (22), ფეტისოვი (20), ხიჟნიაკი, ხრიაპა (2), მილოსერდოვი (9), ზ. პაშუტინი (11), ე. პაშუტინი (5), შეპელევი, შტელმახერსი (2)

ვარეზე: მრშიჩი (17), პოცეკო (12), გალანდა (10), დე პოლი (7), მენეგინი (7), ზანუს-ფორტესი (6), სანტიაგო (6), ჯადინი (5), ვესკოვი

ტაუგრესი 88:84 პო ორტეზი

ტაუგრესი: ანგულო (9), ბენეტი (16), ბერინი (19), ესპილი (3), გარბოსა (7), გერკე, მილერა (12), ვინტერსი (13), ცვიკერი (9)

პო ორტეზი: აიშა (11), ფატუ (5), ფუარე (8), გადუ (18), გრანტი (7), ლორთრიჯი (13), მონკადი, სხოლტენი (2), სმიტი (20)

ფენერბაჰჩე	1	1	0	99:84	2
ტაუგრესი	1	1	0	88:84	2
ავტოდორი	1	1	0	73:70	2
ვარეზე	1	0	1	70:73	1
პო ორტეზი	1	0	1	84:88	1
ულგირისი	1	0	1	84:99	1

II ტური. 1.10: ფენერბაჰჩე — ტაუგრესი, ულგირისი — ვარეზე, პო ორტეზი — ავტოდორი

B ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა 66:69 ციბონა

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (1), იესტრატიევიჩი (5), პავიჩევიჩი (9), პეკოვიჩი (11), პოპოვიჩი (5), სტანოევიჩი (14), ტოპიჩი (21), ვიდაჩიჩი

ციბონა: ატკინსი (28), გრგატი (10), კრსტიჩი (7), მარცელიჩი (6), სარლია (4), ვრანკოვიჩი (4), პრკაჩინი (4), გირიჩეკი (4), გრეი (2)

მაკაბი 62:84 პანათინაიკოსი

მაკაბი: ალექსანდერი (14), ანდერსონი (2), გუდესი (8), ჰენფელდი (10), ლონჩარი (2), პოპა (6), რადოვიჩი (2), შარფი (11), შეფერი (5), შელეფი (2)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (16), ბოდირიგა (14), ბურკი (6), ეკონომუ (22), ჯენტილე (9), კოხი (5), მაგლოსი, პატავუკასი, რაჯა (12)

ტდკ 67:68 ეფესი

ტდკ: მოტი (24), მილზი (16), კაპდევილა (11), კრეუსი (9), ლავინია (4), ვასკესი (2), მოია (1), გონსალესი

ეფესი: დრობნიაკი (21), ნაუმოსკი (16), ევლიაოღლუ (14), ბესოქი (9), თურქოღლუ (8), აიდინი, სარიქა, დალი

პანათინაიკოსი	1	1	0	84:62	2
ციბონა	1	1	0	69:66	2
ეფესი	1	1	0	68:67	2
ტდკ	1	0	1	67:68	1
ცრვენა ზვეზდა	1	0	1	66:69	1
მაკაბი	1	0	1	62:84	1

II ტური. 30.09: ციბონა — ტდკ, პანათინაიკოსი — ცრვენა ზვეზდა. 1.10: მაკაბი — ეფესი.

C ჯგუფი

ულქერი 62:55 ზადარი

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (15), ერდენი (17), ფირინჯიოღლუ (11), კოტუროვიჩი, რანკინი (1), თექინალფი (11), ილდირიმი (7)

ზადარი: კოვაჩიჩი (16), ლუისი (4), მალოჩა, მუიაჯიჩი (9), ნაგლიჩი (18), პესტიჩი, მ. რუჟიჩი (4), ი. რუჟიჩი (4)

ალბა 63:70 ცსკა

ალბა: ალექსისი (20), ბოგოევიჩი (3), ფემერლინგი (3), გარისი (6), ჰამინკი (7), ლუტკე (12), ნაკიჩი (1), პეშიჩი (9), როდლი (2)

ცსკა: დაინეკო (4), გუტოროვი, კარასიოვი (12), კისურინი (6), კუდელინი (4), ნოსოვი (4), პანოვი (13), ტინონენკო (7), ვეტრა (5), ვაიტი (15)

კინდერი 67:72 ოლიმპიაკოსი

კინდერი: აბიო (11), ბინელი (4), კრიპა, ფროსინი (2), მაკრისი (18), ოსალივანი, პასპალი (10), რიგოდო (22)

ოლიმპიაკოსი: კომაზეცი (25), გოლდვაიერი (17), ობერტო (10), როჯერსი (9), ტარლაკი (8), ფასულასი (3), ადე, პაპანიკოლაუ, ცალიკისი

ცსკა	1	1	0	70:63	2
ულქერი	1	1	0	62:55	2
ოლიმპიაკოსი	1	1	0	72:67	2
კინდერი	1	0	1	67:72	1
ალბა	1	0	1	63:70	1
ზადარი	1	0	1	55:62	1

II ტური. 1.10: ალბა — ოლიმპიაკოსი, ცსკა — ულქერი, ზადარი — კინდერი

D ჯგუფი

სამარა 74:78 ვილერბანი

სამარა: ჰიუსტონი (15), პეტენევი (4), ევანსი (6), მელეშჩენკო (21), დოლოპჩი (4), გრაჩოვი (22), მალცევი (2), კისელიოვი

ვილერბანი: რადი (14), სონკო (14), პერსევო, დიგბო (3), ბლომი (4), ჰენრი (14), ადამსი (7), ბილბა (11), პალმერი (1)

პაოკ 87:75 რეალი

პაოკ: ბალიანისი (13), ბერი (14), კოლდებელა (6), იანულისი (8), კინგი (23), მასლარინოსი, მორალესი (12), ნიკოლაიდისი (11)

რეალი: ანგულო (8), ბირდი (13), ერეროსი (29), იტურბე, ლასა (3), ლიუკი, მარტინი, სანტოსი, სტრუელენსი (22)

ოლიმპია 57:45 ტიმსისტემი

ოლიმპია: იურკოვიჩი (11), ტეილორი (11), დანეუ (7), კრალიევიჩი (6), სტეფანია (6), მაკდონალდი (6), ზდოვეცი (3), მუტავჯიჩი (3), დუშჩაკი (2), პრაისი (2)

ტიმსისტემი: ჩაკიგი (3), დილგლაი (2), ფუჩკა (3), გაი (6), კარნიშოვასი (10), ლაცისი, მულაომეროვიჩი (10), მაიერსი (9), პილუტი (2)

პაოკ	1	1	0	87:75	2
ოლიმპია	1	1	0	57:45	2
ვილერბანი	1	1	0	78:74	2
სამარა	1	0	1	74:78	1
რეალი	1	0	1	75:87	1
ტიმსისტემი	1	0	1	45:57	1

II ტური. 30.09: ვილერბანი — პაოკ. 1.10: ტიმსისტემი — სამარა, ოლიმპია — რეალი.

თსუ: ფულს და განაცხადს ორშაბათს მოგართმევთ

REUTERS ბელგრადიდან

მერვე ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში 1 ოქტომბერს დაიწყება — გვამცნო გუშინ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა და გუნდების განაცხადების მისაღებად გენერალურ მდივანთან, კაკო მეგრელაძესთან გაგვისტუმრა. სწორედ აქ შევიტყვეთ, რომ უკვე ყველა გუნდმა წარმოადგინა განაცხადი, თსუ კი არსად ჩანდა.

სიმართლე გითხრათ, გაოცება ვერ დავფარეთ. ამას წინათ თსუ-ს მწვრთნელ ნუგზარ მარკოიშვილს რომ შევხვედით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, გუნდის სამზადისზე გვიამბო, დასახულ მიზნებზეც გვესაუბრა და ფედერაციაში წარსადგენად გამზადებული განაცხადიც გვიჩვენა. ჯერ მაინც ადრეა, 25-მდე, ანუ შეტანის ბოლო ვადამდე, სამონაწილეო ფულსაც გადავიხდით და განაცხადსაც მივიტანთო, გვითხრა.

სინამდვილეში კი რა გამოვიდა. ჩემპიონატში ჩასაბმელად ყველა მზად აღმოჩნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი კი... ამით მეგრელაძეც გვარიანად შეფიქრიანებულიყო, კალენდარი უკვე გამზადებული გვაქვს და ახლა თუ თავიდან შესადგენი გაგვიხდა, მერე იკითხეთო.

მოკლედ, საქმის ვითარებაში უკეთ გასარკვევად ფედერაციიდან პირდაპირ უნივერსიტეტისკენ ავიღეთ გეზი და ბედად **ნუგზარ მარკოიშვილიც** უმალ მოვიხელთეთ და ამ ამბავთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ:

— ადრეც გითხარით, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, არჩილ ჟღენტი და ზვიად ბაბიაშვილი კორაჩზე სათამაშოდ „აზოტს“ ვათხოვეთ. ახლა, როცა რუსთავმა განაცხადი წარადგინა, გამოდის, რომ ეს ბიჭები სეზონს მათთან ითამაშებენ. ჩვენ არც ჟღენტი და არც ბაბიაშვილი პირადად არ გვინახავს. ასე რომ, მათი აზრი არ ვიცით. არადა, ვიმეორებ, შეთანხმებულები ასე არ ვყოფილვართ. ნებისმიერ შემთხვევაში აჩიკო და ზვიადი ჩვენ უნდა დაგვბრუნებოდნენ.

განაცხადის მიტანა ამიტომაც დაგვაიგვიანდა, რის შესახებაც ეს-ესაა ხომერიკს ველაპარაკე და ნება დაგვრთო, პრობლემები ორშაბათამდე მოვაგვაროთ. „აზოტი“ დონეცკიდან დღეს ბრუნდება. შაბათ-კვირას აუცილებლად დაკუკავშირდებით მოთამაშეებსაც და რუსთაველთა ხელმძღვანელებსაც. ყველაფერიც შემდეგ გაირკვევა.

— გამოდის, რომ თქვენი ჩემპიონატში მონაწილეობა ამ ორ კალათბურთელზე ყოფილა დამოკიდებული, მათ რუსთავში დარჩენა რომ ისურვონ?

— შემდეგ ყველაფერს კლუბის პრეზიდენტი გადაწყვეტს. ეს მოთამაშეები ჩვენთვის დიდი ძალაა და იმ მიზნების განხორციელება, რაც პირველობაში დაგვიასახეს, მათ გარეშე უკიდურესად გაგვიძნელდება.

თუ გადაწყდა და მონაწილეობას მაინც მივიღებთ, შედეგიც, ბუნებრივია, მოკრძალებული გვექნება.

ჩვენც დაველოდოთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. 3-4 დღეში ყველაფერს უნდა მოეფინოს ნათელი. მოცილე მხარეები როგორმე გაიყოფენ ამ ბიჭებს, მაგრამ საეჭვოა, საქმე ისე მოგვარდეს, რომელიმე მათგანი ნაწყენი არ დარჩეს.

გიორგი ბიძაშვილი

კოლხა მიზნებს არ აკონკრეტებს

სოხუმის „კოლხა“, ბავშვთა საკალათბურთო გუნდიდან აღმოცენდა და უკვე სამი სეზონია, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობს. ეს კლუბი წელსაც ყველა მეტოქესთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ამას რომ ვამბობ, არა მგონია, ვაჭარბებდე, რადგან „კოლხა“ ერთ-ერთი ტანმაღალი, ახალგაზრდული გუნდია და სპეციალისტების აზრითაც სამომავლო პერსპექტივაც კარგი აქვს.

ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს, თუმცა კლუბის სადღეისო ამოცანებზე და სამომავლო მიზნებზე სჯერს, „კოლხას“ მწვრთნელს, **ვაშა კპარაცხელიას** მოვუსმინოთ:

— წლევანდელ ჩემპიონატში გუნდი სოხუმის უნივერსიტეტის ღირსებას დაიცავს. პრეზიდენტიც ახალი გვყავს — კლუბს „აგრობანკის“ ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე თოდუა უთავკაცებს. ამ კაცის დიდი იმედი გვაქვს, რაც დაგვპირდა, გაგვიკეთა და თუ ასე გაგრძელდა, სერიოზულ წარმატებებზეც შეგვეძლება ფიქრი.

— ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა თუ შეიტანეთ ფედერაციაში?

— ამ თანხას აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი გვაძლევს, ანგარიში უკვე გავხსენით და ფინანსური პრობლემებიც მოვაწესრიგეთ. ასე რომ, „კოლხა“ ჩემპიონატში შეუფერხებლად ჩაებმება.

— ჩემპიონატის დაწყებას, ჩვეულებისამებრ, გუნდებში ცვლილებები უძღვის, ზოგი მიდის, ზოგიც მოდის. თქვენთან თუა რაიმე სიახლე?

— მალე ალბათ ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა ცქიტიშვილი გამოგვაკლდება. იგი სულ ახლახან სლოვენიაში იმყოფებოდა გასასინჯად „ოლიმპიას“ თავკაცობის მიწვევით. თითქოს კონტრაქტიც გამზადებული... არ ვიცი, ნიკა რას იზამს, რადგან ამერიკიდანაც აქეს მიწვევა და ენახოთ, რას გადაწყვეტს. მისი წასვლით, მართალია, ვიზარალებთ, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ჩემი აღზრდილი დიდ კალათბურთს ითამაშებს...

რაც შეეხება ახალწვეულთ, ესაა, რომ „დინამოდან“ გოგიტა ბერია დაგვიბრუნდა, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალაა. დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა გიორგი ბენდიანიშვილს. გუნდის ლიდერი დავით კვაჭაძე მოსკოვის „სპარტაკში“ იყო გასასინჯად, მაგრამ დაბრუნდა.

— მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ხართ?

— როგორც ყველა სხვა კლუბი, ჩვენც უსახსრობას ვუჩივით, ასე რომ, ევროპული ტურნეები ჩვენთვის ჯერაც საოცნებოა.

საწვრთნელ შეკრებაზე შოვში ვიყავით ორი კვირით. ჩემი აზრით, ფიზიკური კონდიციებით ერთ-ერთი საუკეთესონი ვართ.

— რომელ ადგილს უმიზნებთ?

— მოდით, ჩვენს მიზნებს ნუ დავაკონკრეტებთ. მთავარია, ღირსეულად ვითამაშოთ და ლამაზი კალათბურთი ვაჩვენოთ მაყურებელს. ერთს კი ვიტყვი, ოღონდ ქადილში ნუ ჩამითვლით: „კოლხა“ უბრძოლველად არავის არაფერს დაუთმობს. მგონი, არ ვაჭარბებ: შარშან რომ ცოტა იღბალი გვქონოდა, მეტს შევძლებდით.

მამუკა ტულუში

მაქაბის მეგობრები ეხმარებიან

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი კარს მოგვდგომია და დღეს ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილეს თბილისის „მაქაბის“ წარმოგიდგენთ.

ამ კლუბის პრეზიდენტის ჯამლეთ ხუხაშვილის თქმით, „მაქაბი“ ჩემპიონატისწინა მზადებას თბილისში გადიოდა და ისრაელის „ჰაპოელთან“ შეხვედრისათვის ემზადებოდა. მოგეხსენებათ, ეს მატჩი ქართველ ებრაელთა შვიდქულიანი გამარჯვებით დამთავრდა.

მერვე ჩემპიონატში კი, კლუბის პრეზიდენტის აზრით, თანაბარი ძალის გუნდები იქნებიან და ბრძოლა ყველა მათგანს ძალუძს. გამონაკლისი არც „მაქაბია“. მისი შემადგენლობა თითქმის უცვლელია. გუნდში დამრტყმელ ძალად კვლავაც ალექსანდრე ფერიაშვილი, დავით ტალაძე-სარიშვილი, მალხაზ ანდღულაძე და სიმონ დავარაშვილი რჩებიან.

რაც შეეხება გუნდის კაპიტანს, მიხეილ ხუხაშვილს, მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა „ჰაპოელთან“ და მოსალოდნელია, ჩემპიონატში მოთამაშე მწვრთნელის ამპლუაშიც მოგვევლინოს. გუნდი დატოვეს ვახტანგ იაშვილმა და გულიავერ ახალკაცმა. მოვიდნენ ახალგაზრდები: ზურაბ ხუხაშვილი, მჭედლიშვილი, რიჟინაშვილი, პაპასკირი და ჩხაიძე.

რაც შეეხება გუნდის ფინანსურ მდგომარეობას, სტაბილურად ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს. ძირითადად საქელმოქმედო ორგანიზაციები და მეგობრები უდგანან მხარში. კლუბს ჩემპიონატში შესატანი თანხაც სწორედ მათ გადაურიცხეს.

ხუხაშვილმა ბოლოს დასძინა: ისრაელში საპასუხო მატჩზე მიგვიწვია „ჰაპოელმა“, ოქტომბერში კი ერევნის საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. მომავალი წლის იანვარში შოტლანდიაში გაიმართება მსოფლიო მაქაბიადა და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ამ ამ შეჯიბრებაზე ჩვენც ვითამაშებთ.

ეროვნულ ჩემპიონატზე კი მძიმე ბრძოლები გველის. შეუძლებელია დაასახელო გამოკვეთილი ლიდერი ან აუტსაიდერი და ჩვენი ექვსეულში მოხვედრა კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ზურაბ გონაშვილი

ჰაკინენი შუმის აშინებს

ლუქსემბურგის დიდი პრიზი წლეულს მეორედ გაიმართება. მისი მასპინძელი გახლავთ სახელგანთქმული „ნიურბურგრინგი“, რომელიც წლების განმავლობაში მასპინძლობდა გერმანიის დიდ პრიზს. 1976 წელს, ნიკი ლაუდას ავარიის შემდეგ, 22,772 კმ სიგრძის ტრასის რეკონსტრუქცია წამოიწყეს და 1984-ში პირველი რბოლაც გაიმართა 4,556 კმ-იან ტრასაზე, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხოდ და სწრაფად ითვლება. აქ გამარჯვების იმედი იმას უნდა ჰქონდეს, ვინც საწვავს, მუხრუჭებსა და საბურავებს გაუფრთხილდება.

იტალიაში გამარჯვებით შუმი ქულებით გაუთანაბრდა ლიდერ ჰაკინენს და ჩემპიონატში დამბულობამ პიკს მიაღწია. „ნიურბურგრინგზე“ გამარჯვებული ბოლო ეტაპის წინ გარკვეულ უპირატესობას მიიღებს. შედარებით უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა „მაკლარენი“, რომლის უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ამიტომაც მისი ლიდერი ჰაკინენი და გუნდის ტექპერსონალი დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვას განიცდიან. თუმცა არც „ფერარის“ უდგას მშვიდი დღენი და სწორედ ახლა მართებს დიდი გარჯა და მარიფათი წარმატების მისაღწევად.

მაშ ასე, უპირველესი ფავორიტები არიან შუმი და ჰაკინენი, რომელსაც 28-ში 30 წელი უსრულდება და რბოლაში წარმატებით საუკეთესო საჩუქარს უძვნის თავს. მათთან ერთად გამარჯვებისთვის კულჰარდიც იბრძოლებს, თუმც ალბათ მაინც მოუწევს გუნდური სუბორდინაციის დაცვა. საპრიზო ადგილებს, ალბათ, ედი ირვინი (იგი მე-80 რბოლას ატარებს) და ჟაკ ვილნევიც წაეპოტენციალებიან. ამ უკანასკნელმა სწორედ აქ მოიპოვა თავისი პირველი გამარჯვება და ბოლო 2 წელია, ტოლი არ ჰყავს „ნიურბურგრინგზე“. ექვსეულში მოსახვედრად ზემოთ ჩამოთვლილთა მხარდამხარ თავისას ეცდებიან ფრენცენი, ალეზი, ჰილი, ვურცი, ფიზიკელა და რალფ შუმახერი.

ლუქსემბურგის დიდი პრიზი „მაკლარენისთვის“ 475-ე იქნება, „ეროუსისთვის“ 320-ე, „მინარდისთვის“ 220-ე.

პილოტთა შორის კი მე-80 რბოლით „იუბილარები“ იქნებიან ფრენცენი და ირვინი, დინიცი 65-ედ ირბოლებს, ტაკაჯი და ტუერო მე-15-ედ.

პარასკევის თავისუფალი ვარჯიშის ბოლო წუთებზე მიკა ჰაკინენმა საუკეთესო დრო 1.19,689 აჩვენა და დაამტიცა, რომ მზად არის შუმისთან საბრძოლველად. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ფინელმა მოახერხა 1 წუთსა და 20 წამზე ნაკლებ დროში „ჩატევა“. მეორე ფიზიკელა გახლდათ, მესამე ჟაკ ვილნევი, რომელიც მხოლოდ 0,001-ით ჩამორჩა იტალიელს. ჩემპიონის ტიტულის მეორე მაძიებელი მიხაელ შუმახერი მხოლოდ მეოთხე იყო. ვარჯიში 6 წუთით შეწყდა ტორი ტაკაჯის ავარიის გამო. საბოლოოდ მან მე-18 დრო, 1.22,792 აჩვენა, უკანასკნელ, 22-ე ადგილზე კი „ეროუსის“ ფინელი პილოტი მიკა სალო აღმოჩნდა (1.24,004). პარასკევის ვარჯიშის პირველი ექვსეული ასე გამოიყურება:

1. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.19,689; 2. ფიზიკელა (ბენეტონ მეკაქრომი) 1.20,325; 3. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 1.20,326; 4. მ. შუმახერი (ფერარი) 1.20,461; 5. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1.20,577; 6. ირვინი (ფერარი) 1.20,841.

ალეკო ბაბუკიპანი

ფორმულა 1

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

XV ეტაპი

ლუქსემბურგის დიდი პრიზი

27 სექტემბერი. „ნიურბურგრინგი“ (გერმანია)

ტრასის სიგრძე 4,556 კმ; რბოლის დისტანცია 67 წრე, 305,252 კმ

რბოლის დასაწყისი 16 სთ



1997 წლის შედეგები:

1.	*ვილნევი* (უილიამსი)	1:31.27,834 (200,222 კმ/სთ)
2.	*ალეზი* (ბენეტონი)	ჩამორჩა 11,770 წმ-ით
3.	*ფრენცენი* (უილიამსი)	13,480 წმ-ით
4.	*ბერგერი* (ბენეტონი)	16,416 წმ-ით
5.	*დინიკი* (ეროუსი)	43,147 წმ-ით
6.	*პანი* (პროსტი)	43,750 წმ-ით

საუკეთესო წრე: *ფრენცენი* (უილიამსი) 1.18,805 (208,128 კმ/სთ)
პოული: *ჰაკინენი* (მაკლარენი) 1.16,602 (214,114)

ნიურბერგრინგზე გამართული რბოლების გამარჯვებულები

1984	(ევროპის დიდი პრიზი)	*პროსტი* (მაკლარენი)
1985	(გერმანიის დიდი პრიზი)	*ალბორეტო* (ფერარი)
1996	(ევროპის დიდი პრიზი)	*ვილნევი* (უილიამსი)

ახალი სისხლი

ჩოგბურთელმა ქალებმა 1998 წლის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონი უკვე გაარკვიეს, კაცები კი დევისის თასზე ამ უქმეებზე მხოლოდ ნახევარფინალში შეერკინებიან ერთმანეთს. მილუოკისა და სტოკჰოლმში ფავორიტებად მასპინძლები ითვლებიან, თუმცა მიზეზთა და მიზეზთა გამო გამორიცხული არაფერია.

შვედეთი — ესპანეთი

ნახევარფინალებიდან მეტ ინტერესს უეჭველად შვედეთისა და ესპანეთის შეხვედრა იწვევს.



ტომას იოჰანსონი და ალექს კორეტხა ამ უქმეებზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბმებიან

სკანდინავიელები ბოლო წლების განმავლობაში თითქმის ყოველთვის ფინალის სტუმრები არიან და შინ, თავიანთთვის მოსახერხებელ საფარზე, თანაც გადაჭედილ „კუნგლიგა ტენისჰალეში“ უდავო ფავორიტებად ითვლებიან.

ის, რომ პირველ ჩოგნად მასპინძლები იონას ბიორკმანს აირჩევდნენ, არავის გაჰკვირვებია — მსოფლიოს მე-13 ჩოგანმა თავისიანების გაჩემპიონებაში შარშან ლიმის წილი დაიდო, მაგრამ ნოემბერში გამართული ფინალის ერთ-ერთი გმირის, გამოცდილი მაგნუს ლარსონის ნაცვლად კაპიტანმა კარლ - აქსელ ჰაგესკამმა რომ დევისის თასის დებიუტანტი ტომას იოჰანსონი აირჩია, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

„კალე (ჰაგესკოგის მეტსახელი) გუშინ, ვარჯიშის შემდეგ შემეკითხა, მზად თუ ვიყავი სათამაშოდ, რაზეც ვუთხარი, რა თქმა უნდა, ხომ არ მეხუმრები-მეთქი. შინ დევისის თასზე ასპარეზობა განსაკუთრებული გრძნობაა“ — განაცხადა 23 წლის იოჰანსონმა, რომლის გამოცდილება მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე 1988 წლის შვედეთ-ჩეხოსლოვაკიის შეხვედრის დროს ბურთის მიმტანი ბიჭის როლით ამოიწურება.

„ვარჯიშის დროს ყველა კარგად ირჯებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ტომასი მზად არის ერთეულებში სათამაშოდ. ამ ზაფხულში მან შესამჩნევად აიმაღლა დონე“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება თავად ჰაგესკოგმა. შვედების ერთ-ერთი ძლიერი წერტილი მათი წყვილებია — ბიორკმანი და ნიკლას კულტი დევისის თასზე ორი წელია, არ დამარცხებულან, ტენისჰალეს დარბაზი კი სტუმართმასპინძლებს ესპანელებისთვის მაქსიმალურად მოუხერხებლად მოაწყვეს — ბიორკმანის თქმით, საფარი სწორედ ისეთია, მათ რომ სურდათ. „ბურთი ძალიან დაბალზე ხტის, ეს კი, როგორც ვიცით, ესპანელებს ყველაზე ნაკლებ აწყობთ.“

სტუმრებს შვედების მიერ შეთავაზებული ხალიჩის საფარი მაინცდამაინც არ გაუხარებიათ. კორეტხამ ერთ-ერთ ინტერვიუში იხუმრა კიდეც, ამაზე თამაში კი არა, მოძრაობაც მიჭირს, როგორ უნდა მოვიგო, წარმოდგენა არა მაქვსო. მაგრამ ამ ბოლო ხანებში თიხნარის ოსტატი ესპანელების პროგრესი უფრო სწრაფ კორტებზე ყველასათვის ცხადია — იგივე კორეტხამ წლეულს ჰარდზე ორი საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი მოიგო, როლან გაროსის ჩემპიონი კარლოს მოია ახლახანს დამთავრებული ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალისტიც გახლდათ, თანაც ორივენი, აგრე უკვე მეორე კვირაა, სწორედ მსგავს საფარზე ვარჯიშობენ.

ასე რომ, სტოკჰოლმში სულ მთლად წყალწაღებულებად არც სტუმრები იგრძნობენ თავს და მიუხედავად იმისა, რომ წყვილების შეხვედრა წინდაწინ წაგებულად ეგულებათ, 1967 წლის შემდეგ ფინალში პირველად გაღწევის იმედიც აქვთ.

აშშ — იტალია

მსოფლიოს მპყრობელი ქვეყნის ჩოგბურთელებს პატრიოტული გრძნობა რომ აწუხებდეთ, აშშ-ის გუნდის ფინალში გასვლის საქმე მხოლოდ დროის გადასაწყვეტი იქნებოდა, მაგრამ რაკიღა მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი წარუმატებელ სეზონს შარშან, დევისის თასის ფინალში მიღებულ ტრავმას აბრალებს, ხოტორა ლასვეგასელი პლეიბოი ანდრე აგასი საკუთარი საქველმოქმედო ორგანიზაციის გამართულ სადილზე არჩევს დასწრებას, მაიკლ ჩანგი კი ძველი წყენის გამოა გვერზე გამდგარი, ამერიკელთა კაპიტან ტომ გალიქსონსაც აუტკივარი თავი სტკივა — იგი უიმედო ბებრებითა და გამოუცდელი ახალგაზრდებით აპირებს ფონს გასვლას.

გალიქსონმა გუნდში დიდი სლემის ტურნირების ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე კი მოიწვია, მაგრამ ამას ათწლიანი პროფკარიერის მანძილზე დაუსრულებელი გარჯით ხელის კუნთები ისე გადაღლია, ზოგჯერ აბსოლუტურად არ ემორჩილება და აგვისტოს დასაწყისიდან მოყოლებული ერთი მატჩიც აღარ უთამაშია.

სწორედ ამის გამო კურიეს ნაცვლად მილუოკიში 21 წლის ჯან-მაიკლ გემბილის დებიუტი შედგება, რომელიც წლეულს კლასიფიკაციაში 227-დან 50-ე ადგილზე აღწევდა. ვეტერან ამერიკელს ეს ამბავი მაინცდამაინც არ სწყენია: „ტომმა ალბათ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩემს ნაცვლად გემბილი აირჩია, იგი ამ ბოლო ხანებში კარგად თამაშობს და ყველანაც ვენდობით. მე კი რაღაც მეორე მწვრთნელის მაგვარი ვიქნები, თუ ახალგაზრდებს რჩევა დასჭირდებათ, ყოველთვის შემეძლება დავეხმარო.“

გემბილის გარდა ამერიკელთა გუნდში კიდევ ერთი დებიუტანტი იქნება — შაბათს ასევე 21 წლის ჯასტინ გიმელშტობი შეუწყვილდება ტოდ მარტინს, რომელიც ნახევარფინალში გალიქსონის მრტყმელ ძალას წარმოადგენს.

იტალიელები დევისის თასის ნახევარფინალში ზედიზედ მესამე წელია, გადიან, მაგრამ ფინალში გაღწევის ამაზე უკეთესი შანსი არასოდეს მისცემიათ. მათ მილუოკიში წლეულს არცთუ ურიგოდ მოსახპარეზე ანდრეა გაუდენციასა და უიმბლდონის მეოთხედფინალისტის, დავიდ სანგვინეტის იმედი ექნებათ, რომელთაც დარბაზის ნელი ჰარდის საფარი ერთობ ესიამოვნათ, და გაოცებული ვართ ჩვენ კი რაღაც საშინელებას ველოდითო.

ამ უქმეებზე ნახევარფინალების გარდა 8 საკვალიფიკაციო მატჩიც გაიმართება, რომელთა გამარჯვებულები გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ:

ავსტრალია — უზბეკეთი
ბრაზილია — რუმინეთი
ჩეხეთი — სამხრეთ აფრიკა
ისრაელი — საფრანგეთი
ინგლისი — ინდოეთი
ჰოლანდია — ეკვადორი
იაპონია — რუსეთი
არგენტინა — სლოვაკეთი

პირველად მითითებულია მასპინძელი ქვეყანა

ავთანდილ სვანიძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა ვოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

უდოპინგოდ ვერც აქ გაძლეს

მე-19 ეტაპი. ავილადან სეგოვიამდე. 170 კილომეტრი

ამ ზაფხულში „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგთან დაკავშირებით ატეხილი ამბის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მრბოლები ჭკუას ვერ ისწავლიდნენ და აკრძალული ნივთიერებების გამოყენებაზე უარს არ იტყოდნენ.

არადა, ასე კი მოხდა. „ვიტალისიო სეგუროსის“ ორ წევრს მეოცე ეტაპის წინ სავალდებულო დოპინგ-ტესტი ჩაუფლავდა და ახლა ისინი დარჩენილი რბოლების განმავლობაში რიგითი მაყურებლების როლში ყოფნით უნდა დაკმაყოფილდნენ.

დამნაშავენი კი წლევანდელ „ვუელტაზე“ საკმაოდ დამაჯერებლად მოასპარეზე ესპანელი დანიელ კლავერო და მისი თანაგუნდელი კარლოს დომინგესი არიან, რომელთაც სეგოვიას სასტუმროში ჩატარებულ შემოწმებაზე ჩავარდნის გამო ველორბოლის საერთაშორისო ფედერაციის (UCI) ხელმძღვანელებისგან მეტად მძიმე სასჯელი ელით.

ძალიან საეჭვოა, კლავეროსა და დომინგესს მხოლოდ „ვუელტადან“ მოხსნა აკმარონ. მათ ალბათ უახლოეს ხანებში გამართული ტურნირების გამოტოვება მოუწევთ და იქნებ, სპორტიდან სამუდამოდაც მოკვეთონ.

მე-19 ეტაპი საინტერესო ტაქტიკური დაპირისპირებებითა და მაღალი სიჩქარეებით არ გამოირჩეოდა. აშკარად ჩანდა, რომ მრბოლები ძირითად ძალებს შემდეგი, წლევანდელ „ვუელტაზე“ უკანასკნელი მთიანი ეტაპისთვის ინახავდნენ, რომელმაც ფაქტობრივად უნდა გადაწყვიტოს კიდეც ესპანეთის ტურის გამარჯვებულის ბედი.

ალბათ მრბოლთა ასეთი განწყობის გამო იყო, რომ წინგაჭრილ ესპანელ რობერტო ერასს ხელი არავინ შეუშალა და ამანაც აუღელვებლად, უახლოეს მდევარზე 30 წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მეორე ადგილზე ასევე „კელმეს“ მრბოლი ფერნანდო ესკარტინი გავიდა, მესამე კი „ესკალტელის“ ალვარო გალდანო იყო.

1. **რობერტო ერასი (ესპანეთი) 4სთ 13წთ 26წმ; 2. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +30; 3. ალვარო გალდანო (ესპანეთი) +30.**

საერთო ჩათვლა

1. **აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 83 სთ 14 წთ 13 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +22; 3. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +31; 4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +37; 5. რობერტო ერასი (ესპანეთი) +2,05.**

მე-20 ეტაპი. სეგოვიადან ალტო დე ნავასერადამდე. 206 კილომეტრი

ეტაპი რუსმა ანდრეი ხიმენკომ მოიგო, საერთო ჩათვლაში კი ლიდერობა ირგუნა ესპანელმა ხოსე მარია ხიმენესმა, რომელიც ფინიშზე ზიმენკოსთან ერთად მივიდა და 1 წუთითა 07 წამით გაუსწრო აქამდე ყვითელი მაისურის მფლობელ აბრაჰამ ოლანოს

კახა არჯევანიძე